პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლიტერატურული საქართველო

1936 წ. აპრილის 28 | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ათდღიური ორგანო | ფასი 50 კ. № 5.

# „მაიაკოვსკი იყო და რჩება ჩვენი საბჭოთა ეპოქის უკეთეს და უნიჭიერეს პოეტად“ (სტალინი)

## რევოლუციის უდიდესი პოეტი

ექვსი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც უაზრო გასროლამ შესწყვიტა პროლეტარული რევოლუციის უდიდესი პოეტის, ვლადიმერ მაიაკოვსკის სიცოცხლე.

და რაც უფრო დრო გადის, რაც უფრო ძლევამოსილად ვითარდება სოციალისტური მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში, რაც უფრო მაღლა იწევს საბჭოთა ქვეყნის მშრომელი მასების კულტურული დონე, მით უფრო თვალსაჩინო ხდება ვლადიმერ მაიაკოვსკის დამსახურება და მნიშვნელობა სოციალისტური კულტურის მშენებლობის საქმეში.

ჩვენი პარტიის ბელადმა და მთელი ქვეყნის მშრომელთა უდიდესმა მასწავლებელმა ამხანაგმა **სტალინმა** მაიაკოვსკი დაახასიათა როგორც „საბჭოთა ეპოქის საუკეთესო, უნიჭიერესი პოეტი“. ბელადის ამ სიტყვებში მთელი სიზუსტით არის გამოხატული ის უდიდესი სიყვარული და დაფასება, რომლითაც სარგებლობს მაიაკოვსკის შემოქმედება მშრომელ ხალხის უფართოეს ფენებში.

საკუთარ წვრილბურჟუაზიულ ინდივიდუალისტურ წარსულთან თანმიმდევრული ბრძოლით, რევოლუციურ სინამდვილის ღრმათ შესწავლით, მუშათა კლასის საბრძოლო პრაქტიკასთან დაკავშირებით მაიაკოვსკიმ თავისი მდიდარი შემოქმედება და მაღალი ოსტატობა გადააქცია სოციალიზმისთვის ბრძოლის მახვილ იარაღად. მაიაკოვსკის ლექსი საბრძოლო აღფრთოვანებას მატებს სოციალიზმის მშენებელ მასებს, რაზმავს და ამახვილებს მათ შეგნებას პროლეტარიატის საბრძოლო ამოცანათა ირგვლივ. მაიაკოვსკის პოეზია იბრძვის ადამიანთა შეგნებიდან კაპიტალისტურ ნაშთების აღმოფხვრისათვის, მასებში კომუნისტურ სულისკვეთების ჩამოყალიბებისა და განმტკიცებისათვის.

მებრძოლი ოპტიმიზმი, სოციალიზმის სამშობლოსადმი განუსაზღვრელი სიყვარული, მუშათა კლასის იდეებისადმი გმირული თავგანწირულების გრძნობა ასულდგმულებს მაიაკოვსკის ყოველ ლექსს, მის ყოველ სტრიქონს.

მრავალფეროვანია მაიაკოვსკის თემატიკა, მაგრამ მისი შემოქმედების განუსაზღვრელ თემას—სოციალიზმის გამარჯვება, საბჭოთა ქვეყნის ძლიერება წარმოადგენს. შეურიგებლობით და მძლევარებით თავს ესხმის მაიაკოვსკი, ამხელს და ნიღაბს ხდის ჩვენ სინამდვილეში ჩარჩენილ ძველი ყოფისა და ტრადიციების ყველა ნაშთს. უსაზღვრო აღფრთოვანებით უმღერის იგი ახალი ქვეყნის მშენებლობის ყოველდღიურობას, ყოველ კონკრეტულ ფაქტს, რომელიც მოწმობს მუშათა კლასის რევოლუციური იდეალის განხორციელებას და გამარჯვებას. ამიტომ მაიაკოვსკის პოეზია უაღრესად ტენდენციური და იდეური პოეზიაა.

მაიაკოვსკისათვის არ არსებობს პოეზიის ესთეტიურ თვითმიზნური ღირებულება. მისთვის უცხოა და სავსებით მოუთმენელი სინამდვილისაგან განყენებული მხატვრობა. მაიაკოვსკის შთაგონების ერთ-ერთ წყაროს ჩვენი სოციალისტური სინამდვილე და რევოლუციური კლასის საბრძოლო იდეები წარმოადგენს.

მაიაკოვსკი—პოეტური მეტყველების უდიდესი ნოვატორია. მან მთელი რევოლუცია მოახდინა რუსულ ლექსის განვითარებაში. მან დაუნდობლად დაარღვია დეკადენტური პოეზიის კამერულ-სალონური ტრადიციები და მისი ყოველი ლექსი მხატვრულ მეტყველების ახალ ფორმათა ძიებისა და მიგნების ნიმუშს წარმოადგენს. მან გაამდიდრა ლექსიკური მარაგი ახალი პოეზიისა, მან შექმნა სავსებით განსხვავებული პოეტური სინტაქსი, პოეტური სახეების სრულიად ახალი სისტემა და ლექსის მანამდე უცნობი ხმოვანება. მაგრამ მაიაკოვსკის ბრძოლა ახალი პოეტური ფორმებისათვის ყოველთვის ღრმად იყო დაკავშირებული გარკვეულ იდეურ მიზანდასახულობასთან.

მაიაკოვსკის ნოვატორობას არაფერი აქვს საერთო იმ უსულგულო ვერსიფიკატორების ფორმალისტურ ოინბაზობასთან, რომელთაც სურთ უსაგნო ფორმათა აბსტრაქციებით, უცნაური და გაუგებარი კომბინაციებით, ნაძალადევი ორიგინალობით გამოისყიდონ თავიანთი შემოქმედების უშინაარსობა, სიცარიელე და უმწეობა.

მაიაკოვსკი ცდილობდა გამოენახა პოეტური მეტყველების ისეთი ახალი საშუალებანი, რომლებიც უფრო ინტენსიურად და მძლავრად იმოქმედებდნენ მასების შეგნებაზე, უფრო ღრმად განაცდევინებდნენ მკითხველს მისი შემოქმედების იდეას. მაიაკოვსკი ეძიებდა რევოლუციურ მასებისათვის მისაწვდომ და გასაგებ პოეტურ ხმას. ამას იგი აღწევდა მრავალგვარი საშუალებებით, მაგრამ ყველა ამ საშუალებათა გამოსავალ პრინციპს პოეზიის ხალხურობა წარმოადგენდა.

მაიაკოვსკიმ ფართოდ გაუხსნა გზა თავის შემოქმედებაში ხალხის ცოცხალ ენას. მისი ყოველი ლექსი გამიზნულია ფართო მასებისათვის. იგი ჭეშმარიტად მებრძოლი კლასის მგზნებარე ტრიბუნია, რომლის პოეტური სიტყვა ბასრ იარაღს წარმოადგენს რევოლუციური კლასის ხელში.

მაიაკოვსკიმ მთელი სიღრმით შემოიტანა საბჭოთა პოეზიაში სოციალისტური სამშობლოს, საბჭოთა პატრიოტიზმის თემა. მან მძლავრად გამოხატა საბჭოთა ქვეყნის სიამაყის გრძნობა იმ თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრებით, რომელიც მოიპოვა საბჭოთა კავშირის მშრომელმა ხალხმა. მთელ რიგ ლექსებში მაიაკოვსკიმ სრული სიმძაფრით გამოხატა მომაკვდავი კაპიტალიზმის აგონია.

მაიაკოვსკის პოეზიამ უდიდესი ზეგავლენა მოახდინა საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ლიტერატურის განვითარებაზე. აგრეთვე დიდია მაიაკოვსკის გავლენა დასავლეთის რევოლუციური პოეზიის საუკეთესო წარმომადგენლებზე. ამიტომ მაიაკოვსკის შემოქმედებამ მოიპოვა უაღრესად ინტერნაციონალური ღირებულება.

პოეზიის ხალხურობისა და სისადავისათვის ბრძოლის დღევანდელ ეტაპზე განსაკუთრებით თვალსაჩინო და საყურადღებოა ის შემოქმედებითი თავისებურებანი, რომელთა მეოხებითაც ვლადიმერ მაიაკოვსკიმ საბჭოთა ეპოქის უდიდესი პოეტის სახელი დაიმსახურა.

მაიაკოვსკის პოეზია უაღრესად რეალისტურია. სინამდვილის ღრმად გაგებისა და შესწავლის ნიადაგზეა აშენებული ეს რეალიზმი. მაიაკოვსკის პოეზიაში უხვადაა მოცემული ჯანსაღი ფანტაზია, ოცნება, რომელიც მაიაკოვსკის პოეზიას რევოლუციის რომანტიკის თვისებითაც ამდიდრებს.

მაიაკოვსკის შემოქმედება დღესაც აქტიურად იბრძვის საბჭოთა ლიტერატურის მოწინავე პოზიციებზე. მაიაკოვსკი მისაბაძ ნიმუშს წარმოადგენს ყველა საბჭოთა პოეტისათვის, რომელიც სდგას პოეზიის სისადავისა და ხალხურობის ფართო გზაზე. მაიაკოვსკისაგან უნდა ისწავლოს ჩვენმა ლიტერატურულმა ახალგაზრდობამ. მაგრამ ცხადია, ეს არ ნიშნავს, მაიაკოვსკისადმი ეპიგონურ დამოკიდებულებას, ბრმა წამბაძველობას და კანონიზაციას. მაიაკოვსკის შემოქმედებითი გზა, პირველ ყოვლისა, ეპიგონობისა და წამბაძველობის წინააღმდეგ ბრძოლით ხასიათდება.

მაიაკოვსკის შემოქმედების ძირითად თავისებურებათა გაღრმავებით, მაიაკოვსკისებური იდეურობით, ხალხურობით, ოსტატობის ახალი ხარისხით საბჭოთა პოეზიის თანამედროვე ოსტატებმა ახალ უმაღლეს საფეხურზე უნდა აიყვანონ სოციალიზმის ქვეყნის პოეტური კულტურა.




ნახ. ს. კეცხოველისა

## მაიაკოვსკი და ჩვენი თაობა

ლევან ასათიანი

ჩვენს ლიტერატურულ თაობას მუდამ საამაყოდ დარჩება იმის შეგნება, რომ იგი იყო თანამედროვე და მოწმე რევოლუციის უდიდესი პოეტის ცხოვრების, ბრძოლის და შემოქმედებისა.

ექვსმა წელმა განვლო მაიაკოვსკის გარდაცვალებიდან, მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ მისი პოეტური მემკვიდრეობის მნიშვნელობა კი არ კლებულობს, არამედ დღითი-დღე მატულობს. იგი იქცევა აქტიურ მომქმედ ძალად, მისი გავლენა ღრმავდება და ფართოვდება. მაიაკოვსკი ხდება ჩვენი დროის უდიდეს სახალხო პოეტად.

მაიაკოვსკი დღეს ნიშანია საბჭოთა პოეტური კულტურის შემდგომი განვითარებისათვის. მისი ცხოვრება, როგორც პოეტისა და მოქალაქისა, რჩება მაგალითად ახალი პოეტური თაობებისათვის. ყველაზე მეტად და დამაჯერებლად მაიაკოვსკიმ შესძლო გაესწორებინა თავისი პოეტური ხმა უდიდესი რევოლუციონური მოვლენებისათვის, გამოენახა შემოქმედებითი ფორმები ახალი ცხოვრების დამამკვიდრებლად მებრძოლი ხალხის გრძნობებისა და მისწრაფებებისათვის. მან თავის თავში შეაერთა უდიდესი პოეტი და უდიდესი მოქალაქე და დღეს იგი აღიარებულია, როგორც საბჭოთა პოეზიის სინდისი.

მთავარი დამახასიათებელი თვისებები მაიაკოვსკის პოეტური შემოქმედებისა წარმოადგენენ იმ ღირსებებს, რომლისთვისაც დღესაც განაგრძობს ბრძოლას საბჭოთა ლიტერატურა. ერთ ასეთ თვისებას შეადგენს მაიაკოვსკის **ხალხურობა.** მაიაკოვსკი აღიარებულია „საუკეთესო უნიჭიერეს პოეტად ჩვენი საბჭოთა ეპოქისა“, იმიტომ რომ მან შესძლო რევოლუციონური ხალხის იდეების, ფიქრების, იმედებისა და ოცნებების საუკეთესოდ ასახვა თავის ლექსებსა და პოემებში. მაიაკოვსკი დაუძინებელი მტერი იყო ადამიანის შემბორკველი ტრადიციებისა არა მარტო სოციალურ გარემოში, არამედ პირადი ცხოვრების ყოველ დარგში. მან თავისი პოეტური მუშაობა დაიწყო ძველი ლიტერატურული ტრადიციების წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლით, მაგრამ ამავე დროს იგი შეიქმნა გამომხატველი უდიდესი სოციალური პროტესტისა ძველი სამყაროს მიმართ; იგი იმ თავითვე გახდა გამომხატველი ახალი ჰუმანიზმის ძლევამოსილი იდეისა, რომელიც შეადგენს ერთ უმთავრეს ელემენტს დღევანდელი საბჭოთა ლიტერატურისათვის. მაიაკოვსკი ერთი უდიდესი **ჰუმანისტთაგანი** არის ჩვენი ეპოქის რევოლუციონურ პოეზიაში.

მაიაკოვსკიმ უარყო ძველი ფორმები პოეტური მეტყველებისა. იგი მოვიდა რუსულ პოეზიაში იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ უძლეველ სიმაგრედ იდგა დეკადენტურ სიმბოლისტური კულტურის ტრადიციები. ცხადია, ბურჟუაზიულ სამყაროს წიაღში აღმოცენებულს და მისი იდეებით გაჟღენთილ პოეტურ მეტყველებას არ შეეძლო გამოეხატა ახალ სოციალურ ქარტეხილებში ნაშობი სამყაროს დიადი მისწრაფებები. საჭირო იყო სრულიად ახალი შემოქმედებითი ფორმები პოეტური კულტურისა, საჭირო იყო ახალი ენა, ახალი სახეები ამ ახალი ცხოვრების გამოსახატავად. მაიაკოვსკიმ შეასრულა უდიდესი საქმე, რომელიც ტვირთად ეკოფოდა მთელ პოეტურ თაობას. მან შეგნებულად დაარღვია ძველი პოეტური ტრადიციები და როგორც ჭეშმარიტმა **ნოვატორმა** ახალი ცხოვრების, ახალი რევოლუციონური ეპოქის შინაარსს გამოუძებნა ახალი ფორმები მხატვრული მეტყველებისა. ამგვარად პოეტური კულტურის პოეტური ფორმის დარგში მაიაკოვსკის ნოვატორობა აღმოცენებული იყო და განპირობებული შინაარსისა და თემატიკის სფეროში ნოვატორობით.

მაიაკოვსკიმ თავის ცხოვრებით და შემოქმედებით მოგვცა სახე ახალი პოეტის — მოქალაქისა, ის იყო უპირველეს ყოვლისა **ახალი ადამიანი,** წევრი ახალი სოციალისტური საზოგადოებისა, მებრძოლი და გამომხატველი თავისი ეპოქის იდეებისა. მან თავისი პოეტური შემოქმედებით რუსულ ლიტერატურაში აღადგინა დეკადენტური პოეზიის მიერ გატეხილი ხაზი რევოლუციონურ - დემოკრატიული იდეური ტრადიციებისა, რომელიც მოდიოდა ბელინსკიდან და ჩერნიშევსკიდან. ამგვარად რუსული პოეტური კულტურა მან გამოიყვანა ახალ გზაზე და შეუქმნა მას ახალი ფორმები, შესაფერი რევოლუციონურ ეპოქის იდეებისა და მიზნებისათვის. და შემთხვევითი არ არის, რომ მაიაკოვსკის შემოქმედებითი ღვაწლი რუსულ პოეზიაში ხშირად ფასდება ანალოგიურად იმ შემოქმედებითი დამსახურებისა, რომელიც ერთი საუკუნით ადრე მიუძღვის პუშკინს. მაგრამ არის შესამჩნევი სხვაობაც ამ ორ უდიდეს შემოქმედს შორის. ეს სხვაობა განპირობებულია იმ სპეციფიური სოციალური გარემოთი, რომელშიაც უხდებოდათ ცხოვრება და მუშაობა ამ ორ დიდ პოეტს. პუშკინი იყო მრავალფეროვანი და მრავალსახოვანი თავის შემოქმედებაში. იგი იყო ლირიკოსი და ეპიკოსი, მან თავის ლირიკულ ლექსებში გამოხატა თავისი საზოგადოების სულისკვეთება, ამავე დროს შექმნა ეპოსი, სადაც უდიდესი ოსტატობით და სიღრმით ასახა თანამედროვე საზოგადოების ყოფა-ცხოვრება. პუშკინი იყო ამასთან ერთად ძლიერი ბელეტრისტი, გონებამახვილი კრიტიკოსი და ავტორი დრამატურგიული ნაწარმოებებისა. ამგვარად მან სათავე დაუდვა რუსული პოეტური კულტურის მრავალფეროვან გამოხატულებას. და ძნელია თქმა, სად უფრო ძლიერია პუშკინი — ლირიკაში თუ ეპოსში, ერთი კი ცხადია, რომ ის იყო ორგანული პოეტი, დაკავშირებული თავისი ხალხის ისტორიულ ცხოვრებასთან და კულტურასთან.

მაიაკოვსკის განსაკუთრებულ ისტორიულ ეპოქაში მოუხდა ცხოვრება. ეს იყო ეპოქა ისტორიაში უნახავი სოციალური გარდატეხისა, როდესაც რევოლუციონურ პროლეტარიატის მეთაურობით მრავალმილიონიანი მშრომელი მასები აღიმართნენ ძველი სოციალური წყობის დასანგრევად და ახალი ცხოვრების შესაქმნელად. ამ უდიდესი სოციალური ქარტეხილების დროს საჭირო იყო მქუხარე ხმა ტრიბუნისა და ფოლადის ნერვები მებრძოლი პოეტისა. მაიაკოვსკის აღმოაჩნდა ყველა ეს თვისებები ეპოქის პოეტისა. ის იყო უდიდესი შემომქმედი და ტრიბუნი თავისი დროისა, აგიტატორი ახალი იდეების, მებრძოლი-სატირიკოსი, რომელმაც პოეტური შემოქმედების მთელი ძალა მოახმარა თავისი კლასისა და ხალხის საბრძოლო ამოცანებს. მას არ ჰქონდა არც საშუალება, არც დრო გულდაჯერებით ჩაკვირვებოდა დაუწყნარებელ ცხოვრებას და მიეცა მისი მხატვრული სახე ეპიურ ფორმებში. ეს არც შეადგენდა მის სპეციფიურ პოეტურ თვისებას. მაგრამ ის, რაც ანსხვავებდა მას, როგორც გარკვეული ხასიათის, გარკვეული თავისებურების შემოქმედს, მისი თაობის სხვა პოეტებისაგან, მაიაკოვსკიმ გამოაჩინა გიგანტური, განსაცვიფრებელი შემოქმედებითი სიღრმით და სიძლიერით.

ჩვენს დაუდევრობას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ ჯერ კიდევ კარგად არა გვაქვს გათვალისწინებული, თუ რა გავლენა იქონია მაიაკოვსკიმ უახლოესი ქართული საბჭოთა პოეზიის განვითარებაზე. ეს გავლენა კი უეჭველი და უდავოა. საუკეთესო ჩვენი პოეტების შემოქმედებითი პრაქტიკა გვიჩვენებს, თუ რა ახლობელი და ორგანიული იყო მაიაკოვსკი თავისი რევოლუციონური თემატიკითა და პოეტური კულტურის ხასიათით საერთოდ ჩვენი პოეზიისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ქართულ პოეზიაზე განსაკუთრებით ცხოველმყოფელი იყო გავლენა რუსული რევოლუციონურ - პროლეტარული პოეზიისა, კერძოდ გავლენა ვლადიმერ მაიაკოვსკის შემოქმედებისა. თავისი თემატიკით, რევოლუციონური პათოსით, პოეტური კულტურის ახალი ფორმებით მაიაკოვსკი განსაკუთრებით ახლობელი და ორგანიული აღმოჩნდა ქართული პოეზიისათვის. მაგრამ ეს არის ცალკე თემა და მოითხოვს სერიოზულ გამოკვლევას.

მაიაკოვსკი თავისი ბიოგრაფიით და შემოქმედი ცხოვრებით მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოსთან, ჩვენი ხალხის პოეტურ კულტურასთან და რევოლუციონურ სინამდვილესთან.

იგი აღიზარდა იმერულ სოფელში, თავისი ბავშვობა გაატარა რიონის ნაპირებზე, იგი მეგობრობდა ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს, იგი იცნობდა ქართველ რევოლუციონურ - დემოკრატიულ პოეტებს, მას უყვარდა ევდოშვილის ლექსები და პირველი რევოლუციონური ნათლობა 1905 წლისა მიიღო ქუთაისში, ჩვენს რევოლუციონურ ახალგაზრდობასთან ერთად.

მაიაკოვსკიმ თავისი ცხოვრებით უფრო მეტად დააკავშირა ქართველი ხალხი რუსეთის დიადი მშრომელი ხალხის ცხოვრებასთან და რევოლუციონურ - მხატვრულ კულტურასთან.

ჩვენი თაობისათვის მაიაკოვსკი დარჩება მუდამ ახლობელ და უსაყვარლეს შემოქმედად, ჩვენი ქვეყანა მუდამ იამაყებს იმით, რომ მან თავის წიაღში აღზარდა რუსეთის უდიდესი რევოლუციონური პოეტი და მოქალაქე.

## საბჭოთა პასპორტი

ვლ. მაიაკოვსკი

ბიუროკრატიზმს მე შევსჭამდი მგელივით,
მანდატების რიდიც არ მიგვყვება დარდად.
მეც შევაგინებ, ჯანდაბისკენ ვისვრი და შეველევი
ყოველგვარ საბუთს... ამ ერთის გარდა.

კუპეები, კაიუტები ფრონტად გაბაწრულა,
თავაზიანი მოხელე ამ ფრონტზე მოძრაობს კარგა ხანია:
პასპორტებს მოითხოვს. მეც მაას ვასრულებ,
და ვაბარებ ჩემს წიგნაკს წითელკანიანს.

ზოგ პასპორტს შეჰხარის, თითქო ემთხვიოს უნდა.
ზოგს კი—აგდებულად შეულრენს, თითქოს ვიგინდარას შესწყრომი-
ან.

დიდის მოწიწებით სინჯავს თუნდაც,
მაგალითად, ინგლისურ პასპორტს, ორლომიანს.

ამერიკელის გარდა, ვგონებ, შეხედვაც არავისი სურდა,
ფეხქვეშ ეგება, რომ კეთილშა ძიაძ მონად იგულოს,
ისე აიღებს პასპორტს ამერიკულს,
როგორც ლაქია ღებულობს ნაჩუქარ ხურდას.

თითქოს გაშტერდაო, წინ წააბიჯებს.
პოლონურ პასპორტს შეხეცდავს. როგორც თხა—აფიშას.
და შეტორტმანდება პოლიციურ სპილოსებრი ლონეთი,—
ესაო და, რა გეოგრაფიული ახალი ამბავია: პოლონეთი!?

არ შეარხევს კომბოსტოსებურ გოგრას განიერს,
არც შეიმჩნევს რაიმე გრძნობის მოქმედებას—
უგულებელჰყოფს პასპორტს რომელლაც დანიის,
და შემდეგ პასპორტებს ვილაც შვედების.

უეცრად, თითქოს პირი გამოფჩუფქა მდუღარემ—
ჩემი პასპორტი აიღო ამ კაცმა მწუხარემ.
გამომართვა, როგორც ყუმბარა, ზღარბი, ანუ სამართებელი ორპი-
რიანი,
ანუ—გველი, ორი მეტრის სიგრძე და შხამკბილიანი.

შებარგე მუშამ თვალი მიქცია. ის თვალი მიცინის,—
შენს ბარგსო უფასოდაც წავიღებ სადაც გინდა.
ჟანდარმის თვალი კი დაესო პოლიციელს,
პოლიციელის—ჟანდარმისას შეხვდა და შეიბინდა.

რა სიამოვნებით შემსწვავდა ეს ჟანდარმთა წოდება,
დამჩეჩქავდა, ჯვარსმაცვამდა, შემჭამდა მთლიანად,
შეუწყნარებელია ჩემი შეცოდება:
ეს პასპორტი—დაჩაქუჩებული და ალესილ—ნამგლიანი.

მაგრამ უზარმაზარი შარვლის ჯიბიდან ისევ ამომაქვს ჯიბრზე
ძვირფასი საბუთი, რომლის ძალით ეს გზები გადავჭერი:
შეხედეთ, წაიკითხეთ, სიხარბით გასკდით ჭიპზე—
მე ვარ მოქალაქე დიადი საბჭოთა კავშირის.

სთარგმნა **ნიკოლო მიწიშვილმა**

## მაიაკოვსკის საღამო

საქართველოს მწერალთა კავშირი 29 აპრილს სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში აწყობს **ვ. მაიაკოვსკის** გარდაცვალებიდან ექვსი წლის თავის აღსანიშნავ საღამოს.

მოხსენებას მაიაკოვსკის შემოქმედების შესახებ გააკეთებს ორდენოსანი პოეტი **პავლე იაშვილი.**

მაიაკოვსკისადმი მიძღვნილ ლექსებით, მოგონებით და სიტყვებით გამოვლენ: ორდენოსანი პოეტი **ალიო მაშაშვილი, ნიკოლო მიწიშვილი, სიმონ ჩიქოვანი, სანდრო ეული, გ. ლეონიძე, ბ. ჟღენტი, ტ. ტაბიძე, კარლო კალაძე, პ. ჩხიკვაძე და გერონტი ქიქოძე.**

მაიაკოვსკის ლექსების თარგმანებს წაიკითხავენ პოეტები: პ. იაშვილი, ვ. გაფრინდაშვილი, ირ. აბაშიძე, ნ. მიწიშვილი, გ. ლეონიძე, ი. მოსაშვილი, სიმ. ჩიქოვანი, გრ. ცეცხლაძე, მ. პატარიძე, დ. გაჩეჩილაძე და ორდენოსანი მსახიობი **თამარ ჭავჭავაძე.** საღამოზე აგრეთვე მონაწილეობას მიიღებს ტფილისში ჩამოსული დონბასელ მწერლების დელეგაცია.

საღამოზე მოწვეულნი არიან: მწერლები, ხელოვნებისა და მეცნიერების მუშაკები, სტახანოველები, სალიტერატურო წრეების წევრები და ფართო ლიტერატურული საზოგადოებრივობა.

საღამოზე შესვლა მოსაწვევი ბილეთებით.



## და ბელადობას, ტელმან, გავალებს

### ტიციან ტაბიძე

ვარდებს ვარდებით სავსე კალათი
მოაქვთ, ყვირიან: — „მუდამ მზად ვართო!"
ნუ გაიხარებს შენი ჯალათი,
ტყვეს თავის კლასის გული აქვს ფართო.
ქვეყნიდან ქვეყნით, კიდით კიდემდე,
თუ ფეთქავს სადმე პატარა გული,
იმის მხნეობას მკერდში იდებდე,
შენი სული აქვთ ბავშვებს ჩადგმული.
პიონერების ჟღჟილი ღელავს,
მოგესალმება პატიმარ ტელმანს!..

ცეცხლი ვერ დასწვავს ჰაინის ლექსებს,
როდის დაუწვავს ცეცხლის ალს ალი?
მხოლოდ სიმწარით აშორიკვნესებს,
პოეტს საფლავში თუ დარჩა ძვალი...
ბერლინის ქუჩებს ნაცარი ფარავს,
უცდის ევროპა თავის შავ დილას;
მორეკავს ომი სახორცე ფარას,
გზა გაუკაფავს ახალ ატილლას.
დამწვარ წიგნების ბოლი მოღელავს,
მოგესალმება პატიმარ ტელმანს!

შენა ხარ დროშა და სატევარი,
ბარბაროსების შენ ხარ მძევალი.
უფრო იტაცებს, როცა ტყვედ არი,
არწივს მაღალი მთათა მწვერვალი.
ჩვენი ქედმაღალ მთების შვილია,
ვისიც შენს გულში ფეთქავს იმედი,
ვისი დროშებიც გადაშლილია, —
ახალ სამყაროს ამ არქიმედის.
თავის ბარტყების ტყვეობის ბუდეს
არწივი რისხვით შეუნგრევს ზღუდეს!..

ბაქოს ციხეში იჯდა ჭაბუკი,
შემოხეოდა ტანზე ხალათი.
რევოლუციის ჩადგა ქარბუქი
და მძვინვარებდა მეფე-ჯალათი.
ხიშტების მწყობრში ის გაატარეს,
და წიგნით ხელში, შეუდრეკელი,
სულთა მხუთავთაც არწივს ადარეს,
დასალადრავად უნახეს ყელი.
რამდენი უნდა გავიდეს წელი,
ეს მოგონება არ იყოს მწველი?

ყოველი დღე და ყოველი წამი
შენთვის მუშების ნაჩუქარია,
რომ გათენდება დილა სისხამი,
ეს მხოლოდ შენთვის ხალხს ოხარია.
და საუკუნის ეს ნახევარი,
რომელსაც მარტო ხვდები ციხეში,
შევა სტალინის შენატევარი
საუკუნეთა დანარიცხებში...

დღეს აპრილია ჩვენს მთა და ბარში,
ასკდებათ ხეებს ნედლი კვირტები.
ერთად ჰყვავიან: ატამი, ვაშლი,
თეთრ ყვავილების სდგანან ზვირთები.
ფეხი აუდგამს ბედნიერებას
და ყოველ კაცის შედის ეზოში,
და გაზაფხულიც სიუხვით სუნთქავს,
როგორც სტალინის დიდი მედროშე.
შენთან წამოსვლას თითქო აპირებს,
უნდა რეინის გასცდეს ნაპირებს...

დასწვან ჰაინეს ლექსის წიგნები,
ორჯერ დამწვარი ლექსი აღსდგება!
გმირი ციხეშიც გმირი იქნები,
რომ დასჭრან გული თუნდა ას წყებად.
დასდგან რეინზე მათ მორტირები,
რომ ლორელეას ხმა გაიგუდოს,
არ ეყოლება გამომტირები
ტევტონების და ბანდიტთა ურდოს.

რაც ქვეყანაზე პატიოსანი
მუშის მარჯვენის ოფლი იღვრება,
საბჭოთა ყველა ფრიადოსანი
შენს ფანჯარისკენ დღეს იყურება.
მიესალმება გერმანიის ხალხს,
შენსავით ტყვესა და პატივაყრილს,
მის წითელ დროშის ჭერქვეშა ფართხალს,
ფაშისტებისგან დროებით დახრილს.

სირცხვილი, წყევლა მოყიდულ მგოსნებს,
ვინც რომ ჰაინეს აილეს ჩანგი,
ცილისწამების გუდები მოხსნეს,
იუდას გახდნენ ძმა - ამხანაგი,
რომ უნამუსოდ უმღერონ ქება
კაცობრიობის ახალ მტარვალებს!
სხვა გერმანია მაინც აღსდგება
და ბელადობას, ტელმან გავალებს!

# ვლადიმერ მაიაკოვსკი

### ნიკოლო მიწიშვილი

საქართველოს გეოგრაფიული სივრცეები ხშირად გადუსერავს გიგანტების იმ გზას, რომელსაც რუსული მწერლობის გენიოსები მიჰყავდა ეროვნული დიდებისა და მსოფლიო აღიარებისაკენ. გასული საუკუნის მანძილზე ალმაფრენის „მაღალ მწვერვალებს" არა ერთხელ მოუხიბლავთ და გაუთბიათ რუსი პოეტები საქართველოს მიწიერ მზეში.

მაგრამ სულ სხვაა მაიაკოვსკი. ის ჩვენი მზის შვილი იყო, საქართველოს ეპიური მიწის ბელტი, რომელიც შემდეგ მატერიკად გადაიქცა.

და ვლადიმერ მაიაკოვსკის ხსოვნის დღეს ბუნებრივია, რომ ჩვენ, ქართველი პოეტები ორმაგ მწუხარებას განვიცდით: ჩვენ ვიგონებთ ბაღდადში დაბადებულს და ჩვენთვის მახლობელ ადამიანს და ამავე დროს — უდროოდ დაკარგულს მსოფლიო მოქალაქეს, ახალი კაცობრიობის პირველ პოეტს.

რა მხრივაც არ უნა მივუდგეთ აქ, თითქოს არა გეომეტრიული კანონებით გამოკვეთილ ფიგურას, ჩვენ მასში ყოველთვის დავინახავთ დიადსა და მსოფლიურს. და როცა ჩვენ მაიაკოვსკის შესახებ ვლაპარაკობთ, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ვლაპარაკობთ რევოლიუციის შემოქმედებაზე, პოეზიის მწვერვალებზე, კაცობრიობაზე; ვლაპარაკობთ საქართველოზე და იმ ქვეყნის შესახებ, რომლის ენაზედაც ეს პოეტი ამეტყველებდა გრანიტივით გამოკვეთილ ლექსს.

რანაირად გვესახება ამჟამად იგი, ვლადიმერ მაიაკოვსკი, და რა აზროებს იწვევს ჩვენში მისი ალმაცერა ჩრდილი, რომელმაც მერიდიანივით გადახაზა ჩვენი ქვეყანაც.

კერძოდ მე მაიაკოვსკი ავითვისე რუსული და ქართული ეროვნული კულტურების ურთიერთ დამოკიდებულების ფონზე და აქედან ჩემს წარმოდგენაში ჩნდება მისი სახე, სახე რევოლუციის პოეტისა.

პუშკინი, გრიბოედოვი, ლერმონტოვი, ტოლსტოი,—და არა მარტო ეს სახელები — ისინი ბევრნი იყვნენ. ჩვენთვის სასიხარულოა უმთავრესად ის, რომ ეს „დევნილები, ლტოლვილები და პოეტები", სულშეხუთულნი უზარმაზარი იმპერიის მიერ, აღტაცებით შესცქეროდენ ჩვენს ქვეყანას, „ამ ლურჯი ცის ნატეხს, დედამიწაზე ჩამოვარდნილს".

ამ მწერალთა ბედსა და შემოქმედებაში თემა — კავკასია და საქართველო შედის, როგორც წითელი ძაფი ბრიტანეთის ფლოტის გემების საზომალდო ბაგირში.

და თუ რუსეთის მეფე გვახრჩობდა ამ ძაფით და უფრო მკვიდროდ აბამდა ჩვენს ქვეყანას პეტერბურგის გრანიტს, იმავე ძაფს ჩვენ ვიყუკოთ სისხლამდე, ნახევარი საუკუნის განმავლობაში ნიაღვარივით რომ იღვრებოდა გუნიბიდან შავ ზღვამდე; გულისხმობს აგრეთვე იმასაც, რომ ყინვიან დეკემბერში ამ სისხლის ტალღამ სენატის მოედნამდეც მიაღწია.

და მაინც წარსული საუკუნის ქართულ პოეზიას არ აცისკროვნებდენ რუსული ლიტერატურის ეპიგონები, რამდენადაც ამ უკანასკნელთ არ შეუმჩნევიათ ჩვენი პოეზია, თითქოს არც კი იცოდენ მისი არსებობა.

მაგრამ ამ ბოროტი ეპოქის საწყისი ნიშანი, რომელიც ასე მკვეთრად აღიბეჭდა მაშინდელი რუსეთის საუკეთესო ადამიანთა სახეზე, ბევრ რამეს გვეუბნება: გრიბოედოვის კუბომ განვლო საქართველოზე ჭრიალა ურმით და ამით გაიხსნა საქართველოს სამხედრო გზაზე სასიკვდილოდ განწირულთა მსვლელობა. ერთმა და იმავე მოწამლულმა ტყვიამ გაუპო გული გრიბოედოვსაც, პუშკინსაც, ლერმონტოვსაც, კიუხელბეკერსაც, დეკაბრისტებსაც, ჩვენს ბესიკსა და ბარათაშვილსაც და საქართველოს მრავალ შესანიშნავ ადამიანს.

ეს საწამლავი ყველაფერს შხამავდა, ჰფარავდა ყველაფერს და მისი მოქმედება აქ, ჩვენს კოლონიალურ ქვეყანაში, ყველაზე უფრო დამღუპველი იყო.

და ჩვენი კულტურათა კონტაქტი შეიქმნა ისეთი, როგორი კონტაქტიც არსებობს ხესა და მეხს შორის...

„საქართველოს ქედებს ღამის ნისლი გადაეფარა", ყველაფერი შეიმოსა სამხედრო წესდებისა და სასჯელთა დებულების შავი სუდარით.

ასე დამთავრდა მეცხრამეტე საუკუნე და ასე მივადექით ოქტომბერს. აქედან იწყება ახალი, მეორე ფაზა ჩვენი კულტურული ურთიერთობისა. თუმცა ამ ახალ ურთიერთობის გენეალოგიას უფრო ადრე იწყებს გორკი და ის ალმავალი კლასი, რომელმაც გორკი მოგვცა. გორკი, ეს ყველაზე უფრო ნაციონალური რუსის მწერალი, ნახევარი საუკუნეა სდგას, როგორც ინტერნაციონალიზმის მაგნიტის პოლიუსი, იგი გარს იკრებს ყველა ხალხთა საუკეთესო ადამიანებს, აახლოებს, ზრდის, ხელმძღვანელობს მათ მშრომელი კაცობრიობის ძმობისა და იდეალების სიბრძნით. იგი პირველი და სავალდებულო სახელია.

შემდეგ მოდიან — მაიაკოვსკი, ესენინი, ანდრეი ბელი, პასტერნაკი, ტიხონოვი და სხვები. ისინი ჩვენი თანამედროვეები და ნაწილობრივ ჩვენი თანატოლები არიან და ჩვენი მწერლობა რუსულ მწერლობასთან ერთად დღეს წარმოადგენს სულის ინჟინერიას იმ რევოლუციისა, რომელსაც დიადი სტალინი მეთაურობს.

ამ აზრით ქართული სიტყვა დღეს უფრო გასაგები ხდება რუსისათვის და პირიქით, და მართალია ნიკო მარრი, რომელიც ამტკიცებდა ერთი და იმავე კლასის ენათა სიახლოვეს სხვადასხვა ერთა შორის.

ასე უკავშირდებიან, ასე ხვდებიან ერთმანეთს დღეს კულტურები საბჭოთა კავშირში. და ამგვარ კონტაქტში დღითიდღე იზრდება ჩვენთვის მაიაკოვსკის დიდი ფიგურა.

მაიაკოვსკი ჰგავდა ლეგენდარულ როლანდს, ვაჟკაცურ მებრძოლს. და სჩანდა — მოვა დრო და მისი მომხიბლავი ნაღარა დასჭექს იმნაირადვე, როგორც საყვირი როლანდისა და ამ შემთხვევაში მაიაკოვსკი არ დაზოგავს არც თავის ფილტვებს და არც თავის გულს, როგორც არ დაზოგა როლანდმა რონსევალის ტრაგიკულ დღეს.

...მე რამდენიმეჯერ შევხვედრივარ საქართველოში მაიაკოვსკის ზოგიერთ ქართველ პოეტთა წრეში. ერთი გარემოება აღიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში ამ შეხვედრების დროს. თითქოს მაიაკოვსკი უცხო იყო იმ ქართველი პოეტებისათვის, რომელნიც მის ირგვლივ ისხდნენ. ეს განკერძოება, რაღაც სიშორე შესამჩნევი იყო, თუმცა ადამიანურად ყველა იქ მყოფ პოეტს მაიაკოვსკი კარგად იცნობდა. შესაძლებელია, ეს იყო ქედმაღლობა იმ კაცისა, რომელიც თავის მოსაუბრეებში ხედავდა მხოლოდ თანამესუფრეებს, მორიგ ნაცნობებს და არა ერთი საქმისათვის თანამებრძოლებს.

მე ვცდილობდი ამეხსნა ჩემთვის ამის მიზეზი და ერთერთი შეხვედრის დროს, 1927 წელს, ზოგიერთი ქართველი პოეტის თანდასწრებით შევეხე მის წინაშე ამ საკითხს და შევეცადე ამეხსნა ის თუ, ჩემის აზრით რა აშორებდა მას ირგვლივ მჯდომ ამხანაგებისაგან.

..„ამიტომ, — ვამბობდი მე, შეიძლება ვიკითხოთ: რა გაძლევთ თქვენ უფლებას იყოთ ჩვენ შორის ესოდენ ზვიადი? ნიჭი? აქ საკმაოდ ნიჭიერი პოეტები სხედან. ცოდნა? არა მგონია. ჰერკულესის გარეგნობა? არც ეს არის საკმაო. ვთქვათ მეტიც — ყველაფერი ეს ერთად აღებული, ვერ ახსნის თქვენს ერთგვარ დაშორებას, თუ შეიძლება ქედმაღლობასაც. მე მგონია აქ გადამწყვეტი, მთავარი არის ერთი რამ: რევოლუცია და ის შეგნება, რომ თქვენ რევოლუციის პოეტი ხართ, იქნებ ყველაზე უფრო დიდი და ნიჭიერი პოეტი.

ჩვენ კი, ირგვლივ მსხდომნი, ამ მხრივ ჯერ კიდევ შორსა ვართ თქვენგან. თქვენ დარწმუნებული ხართ ამაში. რევოლუციას თქვენ ორგანიულად განიცდით. თქვენ შეისისხლხორცეთ რევოლუციის თემას, მის პათოსს და ეს გვაშორებს თქვენგან აქ მყოფთ. ამიტომაც სიცივეა ჩვენს გარშემო.

...თქვენ მღერით საკუთარი, მძლავრი ხმით. სოციალური რევოლუციის ტალღებს თქვენი სახელი საბჭოთა ქვეყნის ყოველ კუთხეში გააქვს.

და აქ, საქართველოში ჩამოსვლისას თქვენ თითქოს გრძნობთ, რომ მოხვდით არა იმ წრეში, თუმცა ესეც საბჭოთა ქვეყანაა. აქ სხვა ხმები გაისმის, და თუმცა ჩვენც საბჭოთა პოეტები ვართ, რევოლუცია ამ პოეტების ხმებში იმდენად არ იგრძნობა.

შეიძლება ვცდებოდე, მაგრამ ეს ლაპარაკი ჩამოვაგდე იმიტომ, რომ არ მინდა რუსი პოეტი მაიაკოვსკი უცხო იყოს ჩვენთვის, საქართველოს საბჭოთა პოეტებისათვის. ვფიქრობ არც თქვენ გინდათ ეს.

ვიტყვი გულახდილად: თქვენ მართალი უნდა იყოთ. დიახ, ჩვენ გვაშორებს ის, რომ მართლაც ვერ ვხედავთ ჩვენ შორის თქვენი სტილის პოეტს.

ამ წლების ქართული პოეზია ჯერ იმდენად არ შესისხლხორცებია ოქტომბრის სტიქიას და თქვენი მჭექარე ხმა ბევრს აფრთხობს აქ. ზოგი კი მასში მარტო ოდენ რუსის ხმა მოესმის.

მაგრამ ახალი ქართული პოეზიის ტენდენციები უკვე დასახულია როდის გადაიშლება ეს ტენდენციები სავსებით? ვფიქრობ მაშინ, როდესაც ქართული პოეზია დაეუფლება საკუთარი ქვეყნის თემას და მთლიან შემოქმედების სინთეზში გააერთიანებს ნაციონალურს სოციალისტურთან, ე. ი. შესძლებს იმას, რაც შესძელით თქვენ.

ეს ჯერჯერობით არ არის. ამიტომ ყოველივე ის, რაც თქვენ ქართველი პოეტებისაგან გესმით, შეიძლება მოგეჩვენოთ მიძველებულად, წვრილმანად, ვულგარულადაც. ყოველივე ეს თითქოს უცხოა თქვენთვის.

თქვენ გამოგზარდათ ოქტომბრის გრიგალმა. ჩვენში კი ჯერ კიდევ რომანტიული სამშობლო ამძიმებს ზოგიერთი პოეტის შემოქმედებას. თქვენ ჰპოვეთ თქვენი საკუთარი ხმა, ახალი სამშობლო. აქ კი ნაკლებად ხელშესახებია ჯერ ახალის ფორმები. მაგრამ ამ ახალისაკენ ჩვენ უკვე მივდივართ, მივდივართ ჩქარის ნაბიჯით და მალე დავეუფლებით მას.

და როდესაც ახალი ქართული პოეზია ორგანიულად მივა თავის ხალხთან: ქართველ მუშასთან, გლეხთან, ყოველ კარგ ადამიანთან, — მაშინ კავკასიონის ქედი [illegible] გადაგება და ქართული პოეზია ალაპარაკებს თქვენთან და რუსის ხალხთან, როგორც თანასწორი"....

ეს ითქვა 1927 წელს.

მას შემდეგ თითქმის ათმა წელმა განვლო. მაიაკოვსკი უკვე აღარ არის ჩვენს შორის.

და ამ მოგონების დღეს ჩვენ სიხარულით უნდა ვსთქვათ: დიახ, ეს მოხდა. ეს უკვე ფაქტია: ქართული პოეზია თავის ქვეყნის ორგანიულ ნაწილად გადაიქცა, იგი შეესისხლხორცა თავის ქვეყანას და მასთან ერთად ისეთ იდეურ სიმაღლეს მიაღწია, სადამდე ასვლაც შეუძლია მხოლოდ რევოლუციის გრიგალით განაყოფიერებულ სულს. ჩვენმა პოეზიამ უკვე გადალახა ნაციონალური საზღვრები და ოქტომბრის ძალა ქართულ ლექსს სამყაროში ისვრის, როგორც საიმედო ყუმბარას, აქ გაისმის ჩვენი მეგობრების, რუსი პოეტების ხმასთან ერთად, ვლადიმერ მაიაკოვსკის ფუთიან სი[illegible]თან.

# მაიაკოვსკი ტფილისში

### იაკობ გალახაშვილი

1

მსოფლიო ომის კვირაძალში ოქტომბრის რევოლუციის აკვანის დამრწევ ქალაქიდან რუსეთის ცენტრალურ ადგილებში ლიტერატურული გამოსვლების მოსაწყობად გაემართა რუს ფუტურისტთა ჯგუფი დავით ბურლიუკი, ვასილ კამენსკი და ოცი წლის ვლადიმერ მაიაკოვსკის შემადგენლობით.

სამეულმა მოიარა: ხარკოვი, პოლტავა, ოდესა, კიშინოვი, ნიკოლაევი, კიევი, ყაზანი და პენზა.

ქალაქ პენზაში მაიაკოვსკის აზრად მოუვიდა ტფილისში წამოსვლა.

ვასილ კამენსკი მოგვითხრობს:

...მუდმივი აყალმაყალითა და ჩხუბით ოდნავ მოღლილმა მაიაკოვსკიმ მტკიცე წინადადება მოგვცა:

— „წავიდეთ, ყმაწვილებო, ტფილისში ეს ერთად-ერთი ქალაქია, ჩემი ქალაქი, სადაც არ მოხდება არავითარი უსიამოვნება, სადაც უყვართ პოეტები და იციან მათი ღირსეულად მიღება" 1).

თანამგზავრნი უსიტყვოდ დაეთანხმნენ მაიაკოვსკის.

1914 წლის 25 მარტს ჩამოვიდნენ ისინი ტფილისში და დასახლდნენ რუსთაველის პროსპექტზე—„გრანდ-ოტელში".

„მაიაკოვსკი მაშინვე გაჰქრა,—სწერს თავის მოგონებაში კამენსკი—და ნახევარი საათის შემდეგ მას თან მოჰყვა ქართველი ახალგაზრდების ჯგუფი. მაიაკოვსკი ეხვეოდა მათ. ჰკოცნიდა და ლაპარაკობდა ქართულად ისევე, როგორც რუსულად.

ჰკითხულობდა თავის ბავშობის მეგობრებს ქუთაისის გიმნაზიიდან, ბაღდადით მხიარულებდა და რამდენჯერმე ლეკურის ცეკვაც კი სცადა.

კითხულობდა თავის ლექსებს და ჩვენც გვაკითხებდა. ერთის სიტყვით, ცხადი იყო, რომ მაიაკოვსკი თავის სახლშია, მძლე და მედგარი მეგობართა შორის.

აშკარად ჩანდა, რომ ფუტურისტული გამარჯვება ტფილისში ყოველმხრივ უზრუნველყოფილი იყო და არავითარ უსიამოვნებას აქ ადგილი არ ექნებოდა.

ასეც მოხდა.

როცა გააკრეს ყველგან მაიაკოვსკის კერესივით (კოფტასავით) ყვითელი აფიშები ჩვენი სადღესასწაულო გამოსვლის შესახებ, ახალგაზრდობის გრანდიოზული ჯგუფი თან დაგვდევდა ჩვენ და გაიძახოდა: „გაუმარჯოს პოეტებს".

ქუჩის ეს სანახაობა ჰგავდა დღესასწაულს, არაჩვეულებრივ მოვლენას.

სურათი ამგვარი იყო: აჭრელებულ ტანისამოსში გამოწყობილი სამი პოეტი დასეირნობს გოლოვინის მზიან ქუჩაზე.

გარშემო კი წყალვარდნილია ახალგაზრდობისა, გაზაფხულისა, სიმღერებისა და აღფრთოვანებული ხმებისა.

„ფუტურისტები ჩამოვიდნენ". „ფუტურისტები სეირნობენ". „ფუტურისტები ფოროთხალს სჭამენ". „ფუტურისტები დამტკიცებენ". „გაუმარჯოს..." 2).

მონარქიული ხელისუფლება დაფრთხა. პოლიცია ფეხზე დადგა.

თავაროების ოფიციოზი ილანძღებოდა. გაზ. „ტიფლისკი ლისტოკი" ნერვიული და აღშფოთებული სტილით სწერდა:

„25 მარტს გოლოვინის პროსპექტზე უსაქმურთა ხროვა, უმთავრესად მოზარდთაგან შემდგარი, დაჰყვებოდა სამ მეტად უცნაურად გამოწყობილ პირს. ერთი მათგანი ყვითელ კერესში იყო, მეორეს თავზე უცნაური რამ ეხურა, მესამეს პირისახე სალებავებით ჰქონდა შეთითხნილი. „ცირკი ჩამოსულაო—ამბობდნენ ბრბოში—ჯამბაზები დასეირნობენ რეკლამის შესაქმნელად. ამ „სახელმოხვეჭილ „მომავლის მედგაბელთათვის" სივიწროვეა თეატრში. ამიტომაც ისინი დასეირნობენ ყვითელი სამოსით გოლოვინის პროსპექტზე. დროა აიკრძალოს ეს სისაძაგლე".

ორი დღის შემდეგ ტფილისის სახელმწიფო ოპერის თეატრში მოეწყო რუს ფუტურისტთა ლიტერატურული გამოსვლა.

საღამოს ერთ-ერთი დამსწრე, პოეტი სერგეი სპასკი იგონებს:

„დანიშნულ დროს მივიჩქაროდი თეატრისაკენ. ხალხის წინ ჩაიარა მაიაკოვსკიმ. ის ხელებს იქნევდა და ხალხს არღვევდა პირდაპირი სვლით. მაიაკოვსკის მოჰყვებოდა ვილაც გიმნაზიელი, მგონი, მისი ნათესავი. იგი ისე ხმამაღლა ლაპარაკობდა, თითქოს გამზირი მისი საკუთარი ბინა ყოფილიყოს".

სახელმწიფო ოპერის თეატრის ფარდის უკან მთელი დეკორაციები აელაგებინათ. უკან კი გაფენილი იყო თეთრი ტილო დიაპოზიტივების საჩვენებლად. გასწვრივ გრძელი მაგიდა და მასზე მარაოების მსგავსად დალაგებული ფუტურისტების პრელი გამოცემები. გვერდით ღია კათედრა. კათედრაზე დირიჟორისათვის ნოტების პიუპიტრი.

მაიაკოვსკი შეიჭრა სცენაზე გვერდზე ჩაზნექილი ფესკით.

— ვეფხვი, ჩვენი ვეფხვი!—წარმოსთქვა მაშინვე აღტაცებულმა ბურლიუკმა.

ფარდა ხმაურით აიწია.

სცენაზე მაგიდას ფუტურისტები ესხდნენ.

ბურლიუკმა პატარა პაუზის შემდეგ აიღო მაგიდიდან უზარმაზარი ზარი, გააყრუა დარბაზი მისი საძაგელი ხმით და მერე სიტყვა მისცა მაიაკოვსკის.

მაიაკოვსკიმ დაადგო მაგიდაზე ფესკა და აშლილი თმის გაუსწორებლად ახტა გადასასვლელზე პიუპიტრით ხელში. ლაპარაკის დროს იგი მთელი ტანით ირხეოდა. მისი ხმა ფართოდ იშლებოდა დარბაზში.

—მოწყალეო ქალბატონებო და მოწყალეო ბატონებო!—წარმოსთქვა მან.—თქვენ აქ მოხვედით აყალმაყალისათვის. გაფრთხილებთ, აყალმაყალსა და აურზაურს აქ ადგილი არ ექნება.

მისი სიტყვა მონოლოგი არ იყო. მაიაკოვსკი აუდიტორიას ესაუბრებოდა. პასუხს აძლევდა ხალხის მიერ ნასროლ რეპლიკებს. საუბარი მიმდინარეობდა წინასწარ მოფიქრებული და შედგენილი გეგმის გარეშე. მისი სიტყვა დაფუძნებული იყო მახვილ მოულოდნელ გამოთქმებზე.

მაიაკოვსკი კითხულობდა აუდიტორიის წინაშე ლექსის ნიმუშებს და ამით დამსწრეთ აცნობდა ახალ პოეზიას ხან დარბაისლურად, ხან ამაღლებულად. ხან ფართოდ გაშიმავდა სიტყვებს ხმოვანთა საშუალებით, ხან მოაქცევდა მათ გამოთქმის მაგარ ფორმებში და ასე აძლევდა დარბაზს ლექსის სტროფებს.

იმ საღამოს მაიაკოვსკიმ წაიკითხა სევერიანინის „ტიანა". ამ უბრალო პიესას იგი ტრაგედიის იერს აძლევდა. წაიკითხა ველემირ ხლებნიკოვის «Смехачи» და თავისი ლექსების მთელი სერია" 3).

ვასილ კამენსკი ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შენიშნავს:

„გავარვარებული აუდიტორია ყოველი ორი-სამი წამის შემდეგ აფეთქებდა მაიაკოვსკის ანთებული აპლოდისმენტების ღელვით" 4).

საოპერო თეატრში გამართულ საღამოს შემდეგ გამარჯვებით გახარებულნი და აღტაცებულნი დადიოდნენ ისინი სტუმრად სხვადასხვა ადგილას, სამიკიტნოებში, საყავეებში, ბაზრებში და ჰკითხულობდნენ თავიანთ ლექსებს.

არა ერთხელ ესტუმრნენ მამადავითის მთასაც, ფუნიკულორის ზემო სადგურს. ერთი ასეთი ასვლის დროს მაიაკოვსკიმ გადახედა სიმაღლიდან მთების მიტინგს და სთქვა:

— „აი ეს არის აუდიტორია. ამ მთის ესტრადიდან თამამად შეიძლება მსოფლიოს ელაპარაკო" 5).

ტფილისიდან ფუტურისტთა სამეული გაემგზავრა ჯერ ქუთაისს, მაიაკოვსკების სახლში, შემდეგ კი—რუსეთში.

2

გაიარა ათმა წელმა.

ოქტომბრის რევოლუციითა და—ლენინის უკვდავი სახელით შთაგონებული მაიაკოვსკი 1924 წლის 29 აგვისტოს ჩამოვიდა საბჭოთა საქართველოს დედა-ქალაქ ტფილისში.

ამ ჩამოსვლას საბაბი მისცა შემდეგმა გარემოებამ.

ზამთრის სეზონის დასრულების შემდეგ რუსთაველის სახელობის თეატრი დაუვიწყარ კოტე მარჯანიშვილთან ერთად მანგლისში ისვენებდა. ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მხატვარი ირაკლი გამრეკელი მოგვითხრობს:

„მანგლისში დასასვენებლად ჩასულნი, გახურებულ შემოქმედებით მუშაობას ვაწარმოებდით—ვამზადებდით შემოდგომისათვის ახალ დადგმებს. საღამოობით იწყებოდა ხოლმე გაცხოველებული კამათი სარეპერტუარო როლების, სახის სწორი გახსნის, კონსტრუქტივიზმისა და რეალიზმის შესახებ. კოტე მარჯანიშვილი ამ კამათში მხურვალე მონაწილეობას იღებდა. ჩვენ მაშინ არაფერი ვიცოდით მის გრანდიოზულ განზრახვაზე—„მისტერია ბუფფ"-ის დადგმის განზრახვაზე. ვიცოდით მხოლოდ, რომ მან ეს პიესა მოსკოვიდან მიიღო, მგონი, თითონ მაიაკოვსკისაგან და დიდხანს მუშაობდა მასზე.

ერთ საღამოს მარჯანიშვილმა გადაგვიშალა „მისტერია ბუფფ"-ის დადგმის თავისი გეგმა.

პირველი ვარიანტით ეს პიესა უნდა დადგმულიყო მამადავითის მთაზე— ფუნიკულორზე. კ. მარჯანიშვილი მაშინვე გაემართა ტფილისს ადგილ-მდებარეობის დასათვალიერებლად. მაგრამ, როცა დარწმუნდა, რომ ფუნიკულორის ზემო პლატოზე დადგმის განხორციელება ძნელია, გადასწყვიტა პიესის დადგმა ფუნიკულორის ქვემო სადგურთან, გორაზე. კ. მარჯანიშვილმა „მისტერია ბუფფ"-ის გაფორმება მე დამავალა 6).

როგორც სჩანს, კოტე მარჯანიშვილმა აცნობა მაიაკოვსკის თავისი განზრახვა და სწორედ ამან გამოიწვია მისი ტფილისში ჩამოსვლა.

იმ ხანებში ტფილისში ჩამოყალიბებული იყო „მემარცხენეთა" ჯგუფი. რომელშიაც შედიოდნენ: სიმონ ჩიქოვანი, ბესო ჟღენტი, ნიკოლოზ ჩაჩავა, ირაკლი გამრეკელი, ნიკოლოზ შენგელაია, ბანგო ღოღობერიძე და სხვა. ჯგუფი თავს იყრიდა მწერალთა სახლის პატარა ოთახში.

„ვილაცამ ჩვენი წრიდან—გადმოგვცემს მხატვარი ირაკლი გამრეკელი—მაიაკოვსკი გამაცნო. მან მაგრა ჩამომართვა ხელი და გამიღიმა. ორი დღის შემდეგ ჩვენ წრეს ესტუმრა მაიაკოვსკი. წაგვიკითხა თავისი ლექსები. ჩვენ ყველამ ბევრი ვიდავეთ.

მაიაკოვსკი ძალიან გაიტაცა „მისტერია ბუფფ"-ის ღია ცის ქვეშ დადგმის იდეამ. იგი დაწვრილებით მეკითხებოდა მაკეტების შესახებ. აინტერესებდა ხარჯთ-აღრიცხვაც.

ორი დღის შემდეგ კვლავ შევხვდი მაიაკოვსკის რუსთაველის პროსპექტზე პატარა კაფეში. ჩვენ დავსხედით უკანა ოთახში და ვსაუბრობდით მისი პიესის დადგმაზე. ლაპარაკობდა უმთავრესად მაიაკოვსკი. იგი გამუდმებით ბოლთას სცემდა ოთახში, უზარმაზარ შალვარში ხელებჩაყოფილი.

დიდხანს ვერაფერი მოვისაზრეთ, თუ როგორ გაგვეფორმებინა „ჯოჯოხეთის" სცენა. ვსდუმდით. მაიაკოვსკიმ უცებ გაიცინა და სთქვა:

— იქ ხომ პრიმუსია, ვეებერთელა ანთებული პრიმუსი და ტაფა. მოქმედებაც მასზე გაიშლება. გასაგებია, ჯოჯოხეთი და ცოდვილები.

და მაიაკოვსკიმ დაწვრილებით ამიხსნა, როგორ და რის გაკეთებაა საჭირო.

მახსოვს, მაიაკოვსკიმ წინადადება შემოიტანა, რომ უკანასკნელი მოქმედება გაგვეფორმებინა ვეებერთელა ფეხსაცმლის სახით. თასმის მაგიერ კიბე იქნება,—მიხსნიდა იგი. მისი აზრით, მოქმედებაც თანდათან აიწეოდა ქვევიდან ზევით და გაიშლებოდა ფეხსაცმლის თავზე". 7).

3

გაზ. „კომუნისტის" 1926 წლის 27 თებერვლის ნომერში დაბეჭდილმა ქრონიკამ აცნო მკითხველთ: „ტფილისში ჩამოვიდა პოეტი ვლ. მაიაკოვსკი".

ქრონიკას გამორჩა დაემატებინა სიტყვა „გუშინ", რადგან ამერიკიდან ახლად დაბრუნებული ვლ. მაიაკოვსკი ტფილისში ჩამოვიდა და რუსთაველის თეატრში გამოვიდა დასახელებული წლის 26 თებერვალს მოხსენებით „ჩემ მიერ ამერიკის აღმოჩენა".

„კომუნისტის" რეპორტიორი სწერდა: „მაიაკოვსკი დიდი პოეტია, და მართლაც, ინტერესს არ იყო მოკლებული, თუ, როგორ გატარდა მის პოეტურ პრიზმაში ამერიკის სინამდვილე. რა აღმოაჩინა პოეტის მგრძნობიარე თვალმა და ყურმა იქ, ისეთი, რაც სხვებისთვის შეუმჩნეველი და ჩაუწვდომელი რჩება" 8).

მოხსენების შემდეგ მაიაკოვსკიმ წაიკითხა თავისი ლექსები ამერიკაზე, რომლებშიაც „პოეტური ფიგურებით, მოხერხებული შედარებებით და სახეებით შორეული და უცნობი ქვეყანა მსმენელებისთვის მისაწვდომი და ადვილად საგრძნობი გახდა".

27 თებერვალს გაიმართა ვლ. მაიაკოვსკის მეორე საღამო, რომელზედაც მან თავისი თავი გამოაცხადა „პოეტური გამოგონების დიქტატორად".

4

ერთი წლის შემდეგ მაიაკოვსკი კვლავ ჩამოვიდა ტფილისში. ჩამოსვლის დღეს, 9 დეკემბერს, გაზ. „კომუნისტმა" დაბეჭდა „ვ. ე."-ის წერილი „ვლადიმერ მაიაკოვსკი".

ამავე საღამოს რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში გაიმართა ვლადიმერ მაიაკოვსკის საღამო.

ორი დღის შემდეგ გაზ. „კომუნისტმა" ასეთი ანგარიში მოათავსა ამ საღამოს შესახებ:

„მაიაკოვსკიმ თავისი ლექსების წაკითხვას წინასიტყვაობა წაუმძღვარა. ჩვეულებრივი უბრალოებით გამოსთქვა აზრი მუსიკაზე, კინოზე და თეატრზე. გარკვეულად განაცხადა, რომ პოეზიაში მთავარი მნიშვნელობა აქვს არა პირად „ღვთაებრივ" განცდებს, არამედ ყოველდღიური და არსებული სოციალური პირობების მოთხოვნილებებს, მხატვრულ დამუშავებას.

ასეთი გაგებით არის დაწერილი მისი უკანასკნელი პოემა „კარგია", საიდანაც წაუკითხა ნაწყვეტები აუდიტორიას.

საღამოს მეორე ნახევარში უპასუხა იმ მრავალ შეკითხვას, რომელნიც მიიღო აუდიტორიიდან წერილების სახით. შეკითხვების მეტი ნაწილი სენსაციური ხასიათის იყო, მხოლოდ რამდენიმე შეკითხვას გასცა მომხსენებელმა სერიოზული პასუხი.

ერთ-ერთ შეკითხვაზე: „რისთვის ვიბრძოდით", პოეტმა წაიკითხა ახალი ლექსი ამავე სათაურით, სადაც ობიექტიური გაგება რევოლუციისა მხატვრული სტილით გამოამჟღავნა და აუდიტორიისათვის ნათელი გახადა რევოლუციის ამგვარი გაგების რეაქციონური ბუნება.

დასასრულ, საზოგადოების თხოვნით წაიკითხა „მიმართვა სერგეი ესენინს".

საღამოს მრავალი ხალხი დაესწრო" 9).

მეორე დღეს, 10 დეკემბერს, მაიაკოვსკიმ გამართა საღამო ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

საღამოს პირველ ნაწილში პოეტმა წაუკითხა სტუდენტებს თავისი ძველი და ახალი ლექსები, სხვათა შორის, „ამბავი რომელიც შემთხვა ვლადიმერ მაიაკოვსკის აგარაკზე ზაფხულში" და განაცხადა, რომ ეს ნაწარმოები გამოხატავს ჩემს დამოკიდებულებას ლიტერატურისადმი. შემდეგ პოეტმა წაიკითხა „წერილი მაქსიმ გორკისადმი", „სევასტოპოლი და იალტა" „ბებელის სახელობის ქარხნის ლუდხანა".

განსაკუთრებული აღტაცება,—სწერს გაზ. „კომუნისტი",—გამოიწვია სტუდენტებში რევოლ. ლექსმა „მარცხენა მარშმა". საღამოს მეორე განყოფილებაში მაიაკოვსკიმ გამართა საუბარი სტუდენტებთან, გასცა პასუხი აუარებელ წერილობითს შეკითხვებზე. კამათში მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ტფ. სახ. უნივერსიტეტის სტუდენტები გაცილებით უფრო მაღალ დონეზე დგანან რუსულ ენის ცოდნაში, ვიდრე რუსეთში.

კამათი გაგრძელდა ორ საათს.

დასასრულ, მაიაკოვსკიმ წაიკითხა თავისი ახალი პოემის „კარგიას" ნაწილი. საღამოს 2.000-მდე სტუდენტი დაესწრო" 10).

11 დეკემბერს რუსთაველის სახელობის თეატრში მოეწყო მაიაკოვსკის მეორე საღამო, რომელმაც უფრო მეტი ინტერესი და ხალისი გამოიწვია დამსწრეთა შორის, ვიდრე ამავე თეატრში გამართულმა პირველმა ლიტერატურულმა გამოსვლამ.

მოხსენების თემად აღებული იყო „თანამედროვე ყოფა". მაიაკოვსკიმ მთელი რიგი დამამტკიცებელი საბუთებით სცადა გაეშუქებინა აუდიტორიისათვის საბჭოთა ყოფის უარყოფითი და დადებითი მხარეები.

მოხსენების გარშემო პოეტს უამრავი შეკითხვა მისცეს.

საღამოს დასასრულს მაიაკოვსკიმ წაიკითხა ლექსების მთელი სერია პოემიდან „კარგია". ყველაზე აღფრთოვანებულად შეხვდა აუდიტორია პოემის ნაწყვეტს „საუბარი ბლოკთან".

თავისი დამახასიათებელი ოსტატობით ვე წაიკითხა მან „მწერალ ვლადიმერ მაიაკოვსკის წერილი მწერალ მაქსიმ გორკისადმი". ყოველ ლექსს იგი უკეთებდა წინასიტყვაობას, განმარტავდა რა მისი დაწერის პრინციპს. პოეტის მიერ წაკითხულ სხვა ლექსებიდან აუდიტორიამ დიდი ყურადღებით მოისმინა და განსაკუთრებით მოეწონა „რისთვის ვიბრძოდით" და „მარცხენა მარში".

12 დეკემბერს მწერალთა სახლში საქ. პროლ. მწერალთა ასოციაციის ყველა სექციის გაერთიანებულ სხდომაზე ვ. მაიაკოვსკიმ გააკეთა მოხსენება თემაზე „ლექსი და პოეტის ამოცანები".

13 დეკემბერს ცენტრალურ მუშათა კლუბში შესდგა პოეტ ვლადიმერ მაიაკოვსკის საღამო.

„ეს საღამო,—სწერდა გაზ. „რაბოჩაია პრავდა",—უნდა აღინიშნოს, როგორც პირველი გამოსვლა მაიაკოვსკისა ტფილისის მუშათა აუდიტორიაში".

ეს იყო მისი უკანასკნელი გამოსვლა ტფილისში.

1) «Юность Маяковского,» 1931 წ.
2) იქვე.
3) ჟურ. «Литературный современник» 1935 წ. № 3.
4) «Юность Маяковского» 1935 წ.
5) იქვე.
6) გაზ. «Заря Востока» 1936 წ. 11 იანვარი № 9 (3726).
7) გაზ. „კომუნისტი" 1926 წ. № 97 წერილი „პოეტ მაიაკოვსკის მოხსენება".
8) იგივე წერილი.
9) „კომუნისტი", 1927 წ. № 281 (2026).
10) „კომუნისტი", 1927 წ. 11 დეკემბრის ნომერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სერგეი ესენინს

ვლ. მაიაკოვსკი

როგორც იტყვიან
თქვენ წახველით
იმ ქვეყანაში.
სიცარიელე...
იფრიალეთ
ვარსკვლავებს გასწვრივ...
იქ არც ავანსებს მოგართმევენ
და სადმე ქარში
ველარც ლუდხანას მიადგები,
იფხიზლეთ აწი.
არა, ესენინ,
არ დაგცინი,
დაცინვას,
მტრობას.
არ შეედრება,
როცა ყელში
მახრჩობს ნაღველი.
გხედავ—
შემდგარი,
თქვენივ ჩონჩხით
გაბაჯგულ ტომარს
არხევთ და არხევთ
გაჭრილ ხელით აცახცახებით.
ჰეი, შეჩერდით,
გონზე მოდით,
რად გინდათ ხვედრი,
ე მაგ ლაწვების
სასიკვდილო
ცარცით მფერავი...
თქვენ ხომ
უხიაგ ისეთ რამეს
გამოაფრენდით,
რომ ვერ შეიძლებს
ქვეყანაზე
იმას ვერავინ.
გაუგებრობა—
რატომ,
რისთვის,
ჩრდილავს ბურივით...
კრიტიკოსები ბუტბუტებენ:
აქ სუნი უდის
ამას თუ იმას,
მთავარი კი,
შეთაბუნება
ვერ შეიძლო და
ბევრი სვაო
ღვინო და ლუდი.
ბოჰემა
კლასით შეგეცვალათ,
მაშინ სახუმრად
დროს ვერც ნახავდით,
ჩაგითრევდათ საქმეში კლასი.
და განა კლასი
სამწყურვალოდ
სვამს მხოლოდ ბურახს?
არც სულელია,
არ იცოდეს
ნუნუას ფასი.
ნაპოსტოველი რომ მოეცათ
ქომაგად, გვერდით,
გაგიმდიდრებდათ
მაშინ ლექსებს
აზრი ულევი
დღეში
ასეულ სტრიქონობით
სწერდით და სწერდით,
ვით დორონინი.
მომქანცველად,
დაუსრულებლივ.
მართლა
ასე რომ ყოფილიყო,
მაშინ აქამდე,
ვიცი, გულ-მკერდზე
დაიწყობდით
გადაჭრილ ხელებს.
...ართქლილი
სჯობს არაფით სადმე გათავდე,
ვიდრე ნაღველი
სასიკვდილოდ
თვალს დააბნელებს.
არც ჯაყვა-დანა,
არც მარყუჟი
არ გვეტყვის მართალ
დაღუპვის მიზეზს,
საიდუმლო
ახსნას ვერავინ
იქნებ მაჯაზე
შენ ძარღვები
არ დაგეფატრა,
რომ მოგენახა
„ანგლეტერ"-ში მაშინ მელანი
მიმბაძველებმა გაიხარეს:
ბის!...
ადგა ნისლი...
საკუთარ თავზე
სათვითმკვლელოდ
ამართეს ხელნი.
რა საჭიროა
გაიზარდოს
თვითმკვლელთა რიცხვი,
ისევ სჯობია
გავადიდოთ
მარაგი მელნის.
აწ ენა პირში
ჩარჩეს მუდამ
დადუმებული,
ო, მისტერიებს ნუ გამართავთ,
მძიმეა,
მძიმე...
ეხის შემოქმედ
ხალხს მოუკვდა
თავალებული,
სიტყვის ოსტატი,
მოწკრიალე
და მოციმციმე.
წინად დაკრძალვას
რომ მიუძღვნეს,
არც შეასწორეს,
და შესანდობელ
ლექსის მოაქვთ
ნაფლეთი ოხვრით.
პატივისცემა
ნუთუ ასე
შეშვენის პოეტს,
ბლაგვი რითმები
საფლავში რომ
ჩასჭედეს ჯოხით.
არ ჩამოუსხამთ
თქვენთვის ძეგლიც,
სად არის ფუჟე
ბრინჯაოს ჟღერა.
მარმარილოს
ბროლთა ბრიალი,
რომ დააზვავეს
თქვენი ხსოვნის
მესერთან უკვე
მოსაკითხივით,
მოგონებათ ძლევენი ტიალი.
ცხვირსახოცებში
ცრემლებად წვიმს
თქვენი სახელი,
და თქვენს სტრიქონებს
ნერწყვავს ენის აცახცახებით
აქ სობინოვი...
ბებერ ხის ქვეშ,
გამღერის ოხრად:
„ო, მეგობარო, აღარც სიტყვა და აღარც
ო... ო.... ხვრა!.."
ეხ, ჩემებურად
რამე ვუთხრა,
გული მიმიწევს,
თვითონ მომღერალს,
თვით ლეონიდ
ლოენგრინის ძეს.
აქ მინდა გავხდე
მოჩხუბარი
უზარმაზარი,
ნებას არ მოგცემთ,
რომ გათელოთ,
აკნავლოთ ლექსი.
სამივე თითით
დავუსტვინო,
დავსცე თავზარი...
თქვენი ბებია...
ღმერთის სული
და მისი ფესვი!..
რომ გადიკარგოს
უნიჭობა
თავაწყვეტილი,
გაშალონ ქარში
პიჯაკები
იალქნებურებ.
რზოდეს კოგანი
წინ გაღერილ
ულვაშით წვეტებით,
ასახიჩრებდეს
გზაში გამვლელ
ჩაფიქრებულებს.
უნიჭოთ რიგი
შედარებით
შეთხელდა ვითომ.
ბევრი საქმეა,
მხოლოდ საქმეს
მოსწრება უნდა.
ჯერ საჭიროა
გადაკეთდეს
ცხოვრება თვითონ,
გადაკეთებულს
შეიძლება
ვუმღეროთ მუდამ.
ეს დრო
კალმისთვის ძნელი არი,
მაგრამ მითხარით
თქვენ,
დავრდომილო ხეიბარნო,
კაცი რჩეული
სად,
ვინ ყოფილა,
რა ხანაში,
და რომელ მხარის,
უფრო ადვილი
აერჩიოს
გზა გაკვლეული.
კაცურ ძალების
წამყვანია
სიტყვა — სარდალი.
მარშით...
რომ ძველი დრო
დაცემულ
ყუმბარის მნათობს
ველარ უძლებდეს,
ირღვეოდეს,
და ქარს ზანდალით
წარსულ დღეებთან
თმის ნაგლეჯი
მიჰქონდეს მარტო.
სასიხარულოს
ცოტას გვაძლევს
პლანეტი ვრცელი,
უნდა მოვსტაცოთ
სიხარული
მყობადს ელვიას.
თავი მოიკლა,
ცხოვრებაში
არ არის ძნელი,
ცხოვრება შექმნა —
გაცილებით უფრო ძნელია.

მთარგმნელი — დავით გაჩეჩილაძე



მაიაკოვსკი წითელ არმიელთა შორის წიგნის ბაზარზე (მოსკოვი 1928 წ.).

# ჭორიკანა

ვლ. მაიაკოვსკი

აი პეტრე საროკინი,
ვნება—
მის გულს ვერ ეწვევა.
ძასზე როგორ
ითქმის კილი:
არ სვამს,
თუთუნს არ ეწევა.
მაგრამ გრძნობამ
იდიადა
და წალეკა
საარაკოდ:
ტელეფონზე.
ჰკიდია და
საათობით ლაპარაკობს.
და ჭორებით
დატენილი
ეს თხა მირბის,
ქუჩებს ლამბავს,
ნაცნობს,
უცნობს ადრე დილით
მოუყვება
ახალ ამბავს.
მეგობრების ეძებს ბინას.
თუ მოაგნო
მან თქვენს შორეთს,
მოგიყვება
ცისას, ბრისას.
მოიგონებს
უცებ ჭორებს.
ბევრს გაცინებსთ,
სიტყვას გაძლევთ:
არ შეგრჩებათ
უცლის კანი,
მოგიყვება:
შაოვალაძემ
ვით მოსტაცა
მდივანს ქალი.
ან ცომაძემ, ჩვენმა ვანომ
იტყენერმა.
ლილის ცოლზით,
ერთი წელით
როგორ
ანდო
შარტოობას
ტურფა ცოლი.
მაპატიეთ, მაგრამ
თურმე...
დღეს
ის ქალი
ფეხმძიმეა...
გაგიჭედავს
მერე ყურებს
როზენელის
თითქოს ძის....
ის ჭორების
არის ელვა,
იცის ვინ რა
დააშავა.
და აცნობებს
ყველგან,
შველას
ბეზობელი რას ხარშავდა...
ის ყველაფრის
მნახველია,
ვის ჰყავს კურო,
რა ასაკის....
და რომელი თანხებიდან
შეიკერა ნინომ
საკი.
ჩვენ თუ ასეთს ადამიანს
ვკითხავთ
იმის გულის
ნატვრას,
ის დაგტოვებსთ
ყველას სახტად.
იტყვის:
„ნეტავ,
დედამიწა
ჰუჰრუტანა
იყოს დიდი.
ამ ნახვრეტში
შარტო ვიწვე,
როგორც მზეზე
ერთი ძლოკვი,
და ვუცქირო,
ვნახო, მივწვდე
სხვის საქმეს
და სხვების ლოგინს.

მთარგმნელი მიქელ პატარიძე

# ფორმალიზმი საბავშვო ლიტერატურის სენიაა

## ნინო ნაკაშიძის სიტყვიდან

ჩვენ გვყავს ერთ მილიონამდე პატარა მკითხველი, რომელიც მოითხოვს წიგნს, კარგად დაწერილს, ფაბულიანს, შინაარსიანს, მოითხოვს იმგვარ ლიტერატურას, რომელიც ბავშვს გაურკვევს გზას სამოღვაწეო სარბიელისაკენ და გამოსჭედს მისგან მტკიცე ნებისყოფის ახალ ადამიანს.

როგორ ასრულებენ პატარა მკითხველის ამ დაკვეთას ჩვენი ცნობილი მწერლები?

მე მინდა დავიწყო პატივცემულ პ. იაშვილისაგან. ამხ. პ. იაშვილი თვითონ სწერს გაზეთ „მოლოდოი რაბოჩი"-ს 8 აპრილის ნომერში, მე დავწერე მხოლოდ 12 საბავშო პოემაო. დაბეჭდილია ჯერჯერობით მხოლოდ ორი. ერთია იანვრის „ოქტომბრელში" და მეორე — იანვრისავე „პიონერში". ამხ. იაშვილი სწერს: „მე გულმოდგინედ ვეძებდი ლექსის ახალ ფორმას, რომელიც ძირითადად განსხვავებული ყოფილიყო იმ ლექსებისაგან, რომელიც დიდი ხანია შემოღებულია და ახასიათებს ბავშვებისათვის დაწერილ ლექსებს. მე ვიპოვე ახალი ფორმა და ვისარგებლე ამითო". მე ეჭვი არა მაქვს, რომ ამხ. პ. იაშვილმა შეისწავლა ბავშვების ფსიქოლოგია, როგორც თვითონ ამბობს ამავე წერილში, მაგრამ რომ საბავშო ლიტერატურა და საბავშო მწერლები ჰყავდეს შესწავლილი, ამაში, ბოდიშს ვიხდი, ეჭვი მეპარება.

ორი ლექსიდან, რომელიც ჯერჯერობით გამოქვეყნებულია, პირველი „მედეას ლეკვი" („ოქტომბრელი" №1, 1936 წლისა) იწყება ასე:

თუ გინახავთ დათვის ნეკი,
იმ სიგრძეა ჩემი ლეკვი.
ჯერ ოთახში, შემდეგ ბაღში
დადის, დადის კუდ აზზეკით.
ბუზს შეხედა, გაინაბა,
დამიხია ჩითის კაბა,
გულმოსულმა გადაყლაპა
მზა მურაბა ერთი კილო.
რა ლეკვია, რა ლეკვია,
ლეკვია თუ ცირკის სპილო!

მე არ ვიცი, რას გაიგებს აქედან ბავშვი. ბოლოს და ბოლოს რა სიგრძისაა მედეას ლეკვი, რამოდენაა დათვის ნეკი? ნუთუ დათვის ნეკი ცირკის სპილოს ოდენაა? თუ სპილოს ოდენაა, უთუოდ იმიტომ ჭამს ძაღლისათვის უჩვეულო საჭმელს — მურაბას. მაშინ, რასაკვირველია, ერთი კილო მურაბა არც ისე ბევრია. ჩუკოვსკის სპილოს პატარა შვილი ხუთ ფუთ შოკოლადს სჭამს და რა იქნება, რომ სპილოსოდენა ძაღლმა ერთი კილო მურაბა შეჭამოს? შოკოლადიც ხომ სპილოს საჭმელი არაა?

მისივე მეორე ლექსი „ოთარ შოფერი" („პიონერი" №1) ფორმით ძალიან გვაგონებს ჩუკოვსკის ლექსებს:



მოიტანა მამამ ავტო,
უბენზინო და უნავთო.
გრძელი არის, ჭრელი არის,
საქსაო და საალმართო.

ქვევით, როგორ გამოდის ოთარი ავტოთი:

გაროვიდა ქუჩაში.
დააჭირა პედალი
და გასრისა დედალი.
გამოვარდა მამალი,
ტირის, ყვირის,
ყვირის, ტირის,
სად ვიშოვო წამალი! და სხვ.

ესეც დიდი ლექსია, მაგრამ ნიმუშად ეს ტაეპიც კმარა. განა არ ჰგავს ეს ჩუკოვსკის ლექსთა წყობას? და ჩუკოვსკი ხომ არ არის უცოდველი და თავისუფალი ფორმალიზმისაგან? ამხ. იაშვილს საბავშვო ლიტერატურისათვის შეუძლია თავისი ხალისიანი, ტემპერამენტიანი ცოცხალი ლექსებით დიდი სამსახური გაუწიოს მოზარდ თაობას, მხოლოდ მეტი ყურადღება იდეას, მეტი ანგარიში ბავშვის ფსიქოლოგიას, საჭიროა უფრო გულდასმით შესწავლა საბავშვო ლიტერატურისა.

ახლა მინდა წაგიკითხოთ მეორე ნიჭიერი მწერლის ირ. აბაშიძის ლექსი, რომელიც უფრო რებუსსა ჰგავს. სათაურს თუ ვერ გამოიცნობთ, მერე გეტყვით. ლექსი ოქტომბრის 1 ნომერშია მოთავსებული.

გურიკო მამასთან წავიდა
და ნახა უცხო რამ ყულევთან:
ვებერთელა ზღვა იდგა შავი, და
ათას ყურს აბარტყუნებდა.
ამ ყურებს უცქირა, არჩია,
ვერ მიხვდა. სად გაქრა რომელი.
უეცრად შეხედა: — ზღვაშია
კალოში ხუთასი ნომერი.
აყვირდა კალოში.
ყვირისო!
სად თქმულა კალოში ყვირილი?
აქ რაღაც მოხდება! გურიკო
მოუსვა შინ ტირილ-ტირილით.

ამ ლექსს სათაურად ჰქვია გემის ნახვა. თუ ეს ლექსი გაიგეთ №, უთუოდ აუხსენით ბავშვს, როგორ დგას შავი ზღვა და როგორ აბარტყუნებს ათას შავ ყურს. აუხსენით, რით ჰგავს კალოში გემს. ისე კი, დამერწმუნეთ, ვერც ერთი ბავშვი ვერ გაიგებს ამ ლექსს, და განა ბავშვებს გაუგებარი ლექსები უნდა უწეროთ? განა გაუგებარი ლექსები აღზრდის ბედნიერი ქვეყნის ახალ მშენებლებს? ამხ. აბაშიძეს მართებს უფრო ყურადღებით მოეკიდოს საბავშვო მწერლობას, მას შეუძლია ბავშვებისათვის წერა, ამას ამტკიცებს, მაგ., მისი „სამხედრო კომისარი" და სხვა ლექსები.

ილო მოსაშვილი „მოლოდოი რაბოჩი"-ს 8 აპრილის №-ში სწერს: „ჩვენი პატარა მკითხველები ელიან ჩვენი სიტყვის ოსტატებისაგან სრულყოფილ ლექსებს და მოთხრობებს პროლეტარიატის გმირული წარსულის, ჩვენი მშვენიერი სამშობლოს აწმყოსა და მომავალზე" და სხვ. მე არ ვიცი, ვის გულისხმობს ამხ. მოსაშვილი. სიტყვის ოსტატებად ყოველ შემთხვევაში ამხ. მოსაშვილს ჯერ არა აქვს საფუძველი ჩასთვალოს თავისი თავი საბავშო მწერლობის ოსტატად. მართალია ამხ. ი. მოსაშვილი საბავშო მწერლობაში ამხ. პ. იაშვილზე ორი თუ სამი წლით ადრე გამოვიდა და ჯერჯერობით გამოქვეყნებული აქვს ორი პოემა და ერთი მოთხრობა, მაგრამ ერთი პოემა „როზგა ჩაფარი" შინაარსის მხრივ უთუოდ ჩავარდნაა, მეორე მოთხრობა „ძაღლის ამბავი", რამდენადაც შინაარსის მხრივ საინტერესოა ბავშვებისათვის, იმდენად ენის მხრივ ვერ აღწევს მიზანს, ი. მოსაშვილს უსათუოდ ესაჭიროება დიდი მუშაობა, თუ მართლა აპირებს ბავშვებისათვის წერას, თორემ მანამდი თავის თავის მონათვლა სიტყვის ოსტატად გადაჭარბებაა.

ყოველი დიდი ნიჭი და ყოველი დიდი მწერალი თავდაბალია. მე მქონდა შემთხვევა პირადად მომესმინა ისეთი დიდი ხელოვანის სიტყვები, როგორიც იყო ლევ. ტოლსტოი, იგი ამბობდა: „მეც მთვლიან მწერლადო". როდესაც მას უპასუხეს, თუ თქვენ არ ხართ მწერალი, მაშ ვის დაერქმევა მწერალიო, ტოლსტოი ამტკიცებდა, რომ სავსებით ვერ მოვახერხე მეთქვა ის, რისი თქმაც მსურდა მხატვრულად, მეთქვა ისე რომ მაკმაყოფილებდეს და, მაშასადამე, მე არ შემიძლია ჩემი თავის მწერლად ჩავთვალოო.

მე მოწმე ვარ, აგრეთვე, როგორ დიდი დაკვირვებით, სიფრთხილით და სიყვარულით მუშაობდნენ საბავშვო ლიტერატურისათვის ისეთი მწერლები, როგორიც იყვნენ ი. გოგებაშვილი, აკაკი, ვაჟა, თ. რაზიკაშვილი, ირ. ევდოშვილი და ბოლოს ჩვენი საბავშვო ლიტერატურის დამამშვენებელი შიო მღვიმელი.

# ლიტერატურული ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნისათვის*)

აკ. თათარიშვილი

საქართველოს საბჭოთა მწერლობა დიდის აქტივობით და სიფხიზლით გამოეხმაურა ჩვენი პარტიის ცენტრალური ორგანოს „პრავდა"-ს მიერ დასმულ საკითხებს ხელოვნებისა და ლიტერატურის ფრონტზე ფორმალისტურ და ნატურალისტურ დამახინჯებათა წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. თითქმის ყველა ქართველმა საბჭოთა მწერალმა, რომლის აზრსა და სიტყვას მნიშვნელობა აქვს ჩვენი პროლეტარული საზოგადოებრიობისათვის, გარკვეულად გამოსთქვა თავისი დამოკიდებულება დისკუსიის ცენტრში მოქცეულ საკითხებისადმი. დისკუსიამ ძირითადად სწორი გაშუქება მისცა ფორმალისტურ და ნატურალისტურ დამახინჯებათა ბუნებას, იგი არ განისაზღვრულა ამ ცნობების განყენებულ სქოლასტიურ გაგებით და ბრძოლის მახვილი უმთავრესად მიმართული იყო მწერლობის სოციალისტურ პრაქტიკისაგან გამოთიშვის ყოველგვარი საშიშროებისა და ჩვენი სოციალისტური სინამდვილისადმი ვიწრო ემპირიული და ნეიტრალურ დამოკიდებულების წინააღმდეგ. ჩვენი დისკუსია არ განისაზღვრულა მარტო ფორმალიზმისა და ნატურალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანებით და თუმცა ყურადღების ცენტრში სრულიად მართებულად ეს პრობლემები იყო დაყენებული, მაინც დისკუსიის მსვლელობაში არსებითად გარკვეული იქნა ჩვენი შემოქმედებითი მეურნეობის მთელი რიგი სხვა მტკივნეული საკითხები (ისტორიული რომანის პრობლემა, მარქსისტულ-ლენინური სალიტერატურო კრიტიკის მდგომარეობა, მწერალთა კავშირისა და მისი სექციების მუშაობის ფორმებისა და მეთოდების გარდაქმნა, საგამომცემლო ორგანიზაციებისა და სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთების რედაქციების მუშაობა, საბჭოთა დრამატურგიის შემოქმედებითი საკითხები და სხვა).

ზოგიერთ გამონაკლისის მიუხედავად მთლიანად დისკუსია მიმდინარეობდა კონკრეტულ შემოქმედებითი მასალების ანალიზისა და გაშუქების ნიშნის ქვეშ. შეიძლება ითქვას, რომ ეს დისკუსია თითქმის პირველი იყო ჩვენს პრაქტიკაში, სადაც მწერლებმა სცადეს გულახდილად და პირდაპირ ეთქვათ სიმართლე თავის თავისა და თავის ამხანაგ მწერლების შესახებ. ამ მხრივ ეს დისკუსია საგრძნობი ნაბიჯია შემოქმედებითი თვითკრიტიკის გაშლის საქმეში, რაც ლიტერატურული ატმოსფერის გაჯანსაღების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ეს თვითკრიტიკა ჩვენს დისკუსიაზე გაიშალა, შეიძლება ითქვას, განურჩევლად პიროვნებისა და აგრეთვე, უმრავლეს შემთხვევაში ჯგუფურ და პირადი მოსაზრებათა გარეშე.

ნიშნავს თუ არა ყოველივე ეს იმას, რომ ჩვენი მწერლობის ეს შემოქმედებითი დისკუსია სავსებით იდგა იმ ამოცანათა სიმაღლეზე, რომლებსაც აყენებდა ჩვენს წინაშე „პრავდა"-ს წერილების აზრი. ამ შემთხვევაშიც ჩვენ არ გვაქვს თვითკმაყოფილების არავითარი საფუძველი.

პირველ რიგში აღსანიშნავია ის გარემოება, რომ იმ მწერალთა საგრძნობი ნაწილი, რომლებიც გაკრიტიკებული იყვნენ დისკუსიის მსვლელობაში, იჩენდნენ კრიტიკისადმი მოუთმენლობას და ზოგიერთები საკუთარ შეცდომებზე გაჯიუტების გზასაც კი დაადგნენ. მათ დისკუსიის ტრიბუნა უმთავრესად იმ მიზნისათვის გამოიყენეს, რომ დაემტკიცებიათ მათდამი მიმართული კრიტიკის უმართებულება, თავიანთი უცოდველობა და შეუმცდარობა. ასეთი შემოქმედებითი თვითკმაყოფილებისა და კრიტიკისადმი ანგარიშგაუწევლობის ნიმუშებს წარმოადგენენ, მაგალითად, ი. ვაკელის, კ. გამსახურდიას, დ. შენგელაიას, ბ. ჩხეიძის ტ. ტაბიძის და ნაწილობრივ პ. ჩხიკვაძის გამოსვლა და სხვა. ამ მწერლებისაგან ჩვენ მოველოდით უფრო გულწრფელ და გაბედულ დამოკიდებულებას თავიანთი შემოქმედებითი შეცდომებისადმი. ცხადია, მათ ვერ შეაფასეს თვითკრიტიკის უდიდესი როლი და მნიშვნელობა საერთოდ ჩვენი მწერლობის და კერძოთ თვით ამ მწერალთა შემოქმედებით მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და განვითარების საქმეში.

კრიტიკისადმი მწერლების მხრივ მოუთმენლობაში და უნდობლობაში ნაწილობრივ დამნაშავეა თვით ჩვენი სალიტერატურო კრიტიკაც. ალბათ ჩვენი მწერლები დღემდე შეჩვეული არ არიან თავიანთი შემოქმედების კონკრეტულ, ღრმა და დამაჯერებელ კრიტიკას. ხელაღებით ქებისა თუ ხელაღებით გინების ტენდენციები ჩვენს კრიტიკაში უეჭველად ასაზრდოებენ კრიტიკისადმი უნდობლობისა და მოუთმენლობის განწყობილებას საბჭოთა მწერლობის ფენებში.

ჩვენს დისკუსიაში, სამწუხაროდ, ადგილი ჰქონდა ქედმაღლობისა და თავის თავზე გადაჭარბებულ შეხედულების გამოვლინებასაც. ამის მკაფიო მაგალითს წარმოადგენდა თუნდაც პოეტ სიმონ ჩიქოვანის გამოსვლა. დისკუსიის პროცესში სრულიად ამხანაგურ და საქმიან ფორმებში აღნიშნული იყო, რომ სიმონ ჩიქოვანს, უეჭველად ერთ-ერთ ჩვენს მოწინავე საბჭოთა პოეტს, თავის დღევანდელ შემოქმედებით მუშაობაში აქვს ფორმალისტური ტრადიციების ნაშთები, რომლებიც ხელს უშლიან მას გადაიქცეს მასებისათვის გასაგებ და სავსებით მისაღებ პოეტად, ხათელ სახეების ოსტატად, ახალი ადამიანის განცდებისა და განწყობილებების ამსახველად.

და იმის ნაცვლად, რომ ჩიქოვანს გაეგო ეს და დაგვხმარებოდა როგორც მისი, ისე სხვა მწერლების შემოქმედებითი სიძნელეების გამოაშკარავებაში, ჩიქოვანმა მთელი თავისი სიტყვა ააგო მისდამი ყოველგვარი კრიტიკის უკუგდებაზე, მის დღევანდელ შემოქმედებაში რაიმე შეცდომისა ან ნაკლოვანების არსებობის უარყოფაზე. ყოველგვარი ავტორიტეტების მოშველებით ჩიქოვანი სცდილობდა თავი აერიდებია თვითკრიტიკისათვის და ანგარიში არ გაეწია ჩვენი სალიტერატურო კრიტიკისა და სამწერლო საზოგადოებრიობის აზრისათვის. მან ამაოდ წარმოიდგინა თავი დისკუსიის მსხვერპლად, თითქოს ვისმე მისი შემოქმედება უმთავრესად ფორმალისტურად გამოეცხადებინოს.

ჩიქოვანის გამოსვლა ჩვენ საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ზოგიერთი მწერალი მისდამი განსაკუთრებულ მზრუნველობასა და ყურადღებას იმგვარად აფასებს, თითქოს მას უფლება ჰქონდეს პრეტენციოზულად უკუაგდოს ის სრულიად უდაო მოთხოვნილებები, რომლებსაც მას უყენებენ ჩვენი პროლეტარული მასების კულტურულ მისწრაფებათა ნიადაგზე.

არასწორად გაიგო და გამოიყენა თვითკრიტიკა აგრეთვე მწერალმა ს. შანშიაშვილმა. მან წარმოიდგინა, თითქოს ეს დისკუსია მას სრულიად არ ეხებოდეს, თითქოს მის შემოქმედებით მუშაობაში არავითარ შეცდომას და ნაკლოვანებას არ ჰქონდეს ადგილი. ამავე დროს მან სცადა ამხანაგური თვითკრიტიკის იარაღი გადაექცია მწერლის გაბიაბრუებისა და დისკრეტიზაციის საშუალებად და ისიც ისეთი მწერლის, როგორიცაა რესპუბლიკის სახალხო პოეტი გალაკტიონ ტაბიძე.

ჩვენ პირდაპირ უნდა განვაცხადოთ, რომ არავითარ ფეტიშებს საბჭოთა ლიტერატურაში ჩვენ არ ვქმნით.

ცხადია, არც ერთი საბჭოთა მწერალი, რაგინდ დიდი იყოს მისი დამსახურებანი, არ შეიძლება დაყენებულ იქნას მიუდგომელი, ბოლშევიკური თვითკრიტიკის ორბიტის გარეშე. ამიტომ არაფერია გასაკვირი და დაუშვებელი იმაში, რომ გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედების ამა თუ იმ ნაკლოვანი მომენტის შესახებ მწერალმა თავისი აზრი გამოსთქვა, მაგრამ უდავოდ შემცდარი იყო ხელაღებით უარყოფითი შეფასება, რომელიც მისცა ს. შანშიაშვილმა გალ. ტაბიძის უკანასკნელი პერიოდის შემოქმედებას. ასეთი მტკიცება დიამეტრალურად ეწინააღმდეგება ჩვენი პროლეტარული საზოგადოებრივობის, მკითხველი მასების აზრს გალ. ტაბიძის შესახებ.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ აგრეთვე კონსტანტინე გამსახურდიას გამოსვლას, რომელმაც ბევრი რამ საყურადღებო სთქვა საკუთარი შემოქმედებითი გზისა და საერთოდ მწერლობის შემოქმედებითი საკითხების შესახებ.

ჩვენ აქ ვრცლად არ გამოვუდგებით გამსახურდიას იმ არასწორ დებულებათა კრიტიკას, როგორიც იყო ისტორიული რომანის შეუფასებლობა საბჭოთა ლიტერატურაში, გლეხობისა და სოფლის თემატიკისათვის რაღაც მეორეხარისხოვანი მნიშვნელობის მიკუთვნება და სხვა. მაგრამ მთავარი ის არის, რომ კ. გამსახურდიას სიტყვაში ჩვენ ვერ მოვისმინეთ ის, რასაც მისგან სამართლიანად მოითხოვდა და მოელოდა ჩვენი საბჭოთა საზოგადოებრივობა. მან არ [illegible] და არ გაიზიარა ამ დისკუსიის მსვლელობაში გარკვევით ჩამოყალიბებული აზრი მისი რომანის „მთვარის მოტაცების" ძირითადი იდეურ და მხატვრულ ნაკლოვანებათა შესახებ.

კ. გამსახურდიასათვის გასაგები უნდა იყოს, რომ ჩვენს ამოცანას სრულიადაც არ შეადგენს ხელაღებით უარვყოთ მისი უკანასკნელი რომანის ღირებულება და უნდობლად შევხედოთ მისი შემოქმედებითი გადაიარაღების ცდას. სწორედ იმიტომ კ. გამსახურდიამ მეტი ანგარიში უნდა გაუწიოს მის მიმართ წარმოებულ პრინციპიალურ კრიტიკას, გააკეთოს მისგან სათანადო დასკვნები.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, აგრეთვე, რომ ზოგიერთმა მწერლებმა დისკუსიის მსვლელობაში გამოიჩინეს ზედმეტი ურთიერთ მორიდება ურთიერთ „დაფარვა". ისინი გაურბოდნენ პირდაპირი და კონკრეტული მისამართებით ეწარმოებიათ კრიტიკა, ამავე დროს მიმართავდნენ უფრო ქარაგმების საეჭვო ხერხს და ეზოპის ენას.

პოეტ პავლე იაშვილის გამოსვლა მაჩვენებელია, რომ მთელ რიგ საბჭოთა მწერლებს სწორად აქვს შეგნებული საკუთარი წარსული და დღევანდელი შემოქმედებითი სიძნელეები, მხოლოდ ასეთი შეგნების ნიადაგზე შეიძლება გაიშალოს ნამდვილი იდეურ-შემოქმედებითი გარდაქმნის პროცესი.

გარკვევით უნდა ითქვას, რომ ჩვენი სამწერლო საზოგადოებრივობა ყოველმხრივად მხარს დაუჭერს საბჭოთა მწერლის გულწრფელ თვითკრიტიკულ სიტყვას. ამავე დროს მოითხოვს და მოელის ამ ტრიბუნიდან გაკეთებული ყოველი საპასუხისმგებლო განცხადების შემოქმედებითს რეალიზაციასაც.

ამხ. ბუაჩიძის სიტყვაში ბევრი სწორი და მართებული დებულება იყო, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ აქაც გამოსჩანდა ერთი მისთვის დამახასიათებელი არაჯანსაღი ტენდენცია: ზოგიერთი მწერლების მიმართ იგი ანვითარებს ხელაღებით უარყოფითს პოზიციას მაშინ, როდესაც მისთვის „რჩეულ" რამოდენიმე მწერლის მიმართ იგი კარგავს მიუდგომელი კრიტიკის ალღოს. სრულიად დაუსაბუთებელი იყო ბუაჩიძის საყვედური ცეცხლის არა სწორად განაწილების შესახებ, თითქოს სიმ. ჩიქოვანი ამ დისკუსიაში ვისმე ტიპიურ ფორმალისტად, ან მთავარ საშიშროებად გამოეცხადებინოს.

ამხ. ბუაჩიძემ ილაპარაკა მთელ რიგ მწერლებისა და კრიტიკოსების შეცდომების შესახებ, იგი სამართლიანად ამტკიცებდა თვითკრიტიკის გაღრმავების აუცილებლობას და სხვებს უსაყვედურებდა თვითკმაყოფილების გრძნობით გატაცებას, მაგრამ გარკვევით უნდა ითქვას, რომ თვით ამხ. ბუაჩიძემ ვერ მოგვცა ბოლშევიკური თვითკრიტიკის მაგალითი, მან არაფერი სთქვა საკუთარ კრიტიკულ ლიტერატურულ მუშაობაში დაშვებულ შეცდომების შესახებ. როდესაც მას მოაგონეს ელაპარაკა საკუთარ შეცდომათა შესახებაც, ბუაჩიძეს სხვა არაფერი აღმოაჩნდა სათქმელი, გარდა იმისა, რომ თურმე სევდით ყოფილა შეპყრობილი, რათა დაეწეროს დიდი წიგნები ილიასა და რუსთაველის შესახებ. ვფიქრობ, რომ ამ ფრიად სიმპატიურ განზრახვათა შესრულებისათვის სევდის გარდა საჭირო იყო უკვე დაწერილ წერილებში დაშვებულ შეცდომების შეგნება და დაძლევა.

ამხ. ბუაჩიძემ თავის სიტყვის უკანასკნელ ნაწილში მოგვცა მწერალთა ორგანიზაციის მუშაობის თავისებური შეფასება. ჩვენთვის უდავოა, რომ ქართული საბჭოთა ლიტერატურის ის სიძნელეები და მტკივნეული მხარეები, რომელთა შესახებ დისკუსიაზე საკმაოდ ბევრი ითქვა, წარმოადგენენ აგრეთვე მწერალთა კავშირის მუშაობის ნაკლოვანებებსაც. სამწუხაროდ, დისკუსიაში საკმარისად არ იყო გაშუქებული მწერალთა ორგანიზაციის მუშაობის გარდაქმნის საკითხი.

მაგრამ ყოვლად მიუღებელია მწერალთა ორგანიზაციის საქმიანობის გაბიაბრუებისა და ხელაღებით უარყოფის ისეთი ცდა, როგორსაც ადგილი ჰქონდა ამხ. ბუაჩიძის გამოსვლაში.

უმძაფრესი თვითკრიტიკის დროსაც ჩვენ არ გვაქვს უფლება დავივიწყოთ ის ყველასათვის თვალსაჩინო მიღწევები, რომლებიც მოიპოვა ქართულმა საბჭოთა მწერლობამ უკანასკნელ 3—4 წლის განმავლობაში 23 აპრილის ისტორიული დადგენილების რეალიზაციის ნიადაგზე და ჩვენი პარტიის უშუალო ხელმძღვანელობით. ეს მიღწევები ისევე დამახასიათებელი არიან ჩვენი სამწერლო ორგანიზაციის მუშაობისათვის, როგორც პ-მგებელია ჩვენი კავშირი თვითოეული საბჭოთა მწერლის შემოქმედებაში არსებული შეცდომებისა და დამახინჯებებისათვის.

კომუნისტური მწერლები პირველ რიგში არიან ვალდებულნი პრაქტიკულად უხელმძღვანელონ ლიტერატურულ ფრონტზე არსებულ ყოველგვარ ნაკლოვანების და ჩამორჩენილობის დაძლევის საქმეს.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში ამხ. ბუაჩიძეს დაკისრებული აქვს მთელი რიგი უაღრე-

*) შემოკლებული სტენოგრამა ამხ. ა. თათარიშვილის დასკვნითი სიტყვისა მწერალთა კრებაზე ა.-წ. 16 აპრილს.

# უდიდესი სტიმული ჩვენი პოეზიის გახალხურებისათვის

### სანდრო ეულის სიტყვიდან

[illegible]

დებით. ამ მოძრაობამ დღეს თავისებური ფორმა მიიღო. განა მწერალს შეეძლო ოდესმე წარმოედგინა, რომ მისი ნაწარმოები გახდებოდა მასსიური მსჯელობის საგნად, მთელი



რაიონის, ქალაქის თუ რესპუბლიკის მშრომელთა მასსების მსჯელობის საგნად? ეს დღემდე წარმოუდგენელი რამ იყო. დღეს კი რას ვხედავთ? ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ რაიონში, სახელდობრ ლაგოდეხში, ამ დღეებში შესდგა მხატვრული ლიტერატურის მკითხველ კოლმეურნეთა რაიონული კონფერენცია. კონფერენციაზე ლაპარაკობდნენ ლიტერატურის სხვადასხვა საკითხების გარშემო. იყო დასახელება მწერლებისა და მათი ნაწარმოებების, ეს კონფერენცია პირველი იყო, ხვალ მეორე გაიმართება, შემდეგ მესამე და ა. შ. მასების მსჯელობის საგნად ხდება ლიტერატურის რთული საკითხები. ეს იმას ნიშნავს, რომ ლიტერატურა გადაიქცა მასსების პირველ მოთხოვნილების საგნად. ეს გარემოება მწერლობას უყენებს მთელ რიგ მოთხოვნილებებს. მათ შორის მთავარია ნაწარმოების სისადავე, ხალხურობა, მაღალი იდეურობა. შემცდარი აზრია, თითქოს ჩვენში ფორმალიზმი, როგორც მიმართულება, არ ყოფილიყოს. მე ვამტკიცებ, რომ ფორმალიზმი ჩვენში იწყება „ცისფერყანწე-

[illegible]

ლაზე ჯანსაღი ნაკადი იყო ქართულ მწერლობაში. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ჩვენი პროლეტარული მწერალი განიცდიდნენ ფორმალისტების გავლენას. ჩვენი რიგებიდან ყველაზე ადრე ფორმალიზმის სენმა შეიპყრო ჩვენი ერთერთი მოწინავე პოეტი ამხ. ალიო მაშაშვილი, რომელმაც დაბეჭდა რამდენიმე ლექსი ფორმალისტების გავლენით დაწერილი („დარიალი“ და სხვა). ერთი ცოდვა მეც ჩავიდინე, როცა დავწერე ლექსი „ცეცხლში და მზეში“. ფორმალისტური ლექსები ჩვენი ბანაკის სხვა მწერლებსაც აქვთ დაწერილი,

დღეს საკითხი იმის შესახებ კი არ დგას, თუ რანი ვიყავით გუშინ, არამედ იმის შესახებ, თუ რანი ვართ დღეს. სწორედ ამის გარკვევა წარმოადგენს ჩვენი კრიტიკისა და თვით კრიტიკის ამოცანას.

როგორია კრიტიკისა და თვითკრიტიკის მდგომარეობა ჩვენს ფრონტზე? ძალიან ცუდი. მაგალითისთვის შორს არ წავალ. ამ დისპუტზე ერთ - ერთმა ჩვენმა მოწინავე საბჭოთა მწერალმა ამხ. ს. კლდიაშვილმა განაცხადა: მე რა უნდა ვილაპარაკო სხვებზე, როცა ჩემზე ცუდი არავის არ უთქვამსო. რას ნიშნავს ეს! თუ შენზე ვინმემ ცუდი სთქვა, შენც მასზე ცუდი უნდა ილაპარაკო თუ კარგი ილაპარაკა, შენც კარგი უნდა სთქვა, თუ არაფერი — შენც პირში წყალი უნდა ჩაიგუბო. განა ეს არის თვითკრიტიკა? თითქმის ასევე მოუვიდათ ამხ. გვეტაძეს და ამხ. ს. შანშიაშვილს რომელნიც გაექცნენ საკუთარი შემოქმედების თვითკრიტიკას, თუმცა ფორმალიზმისა და ნატურალიზმის ცოდვებისაგან არც ერთი და არც მეორე თავისუფალი არ არის.

კრიტიკაზე ჩვენ მუდამ ერთსა და იმავეს ვიმეორებთ — კრიტიკა არ ვარგა, კრიტიკა ჩამორჩა და სხვა, მაგრამ ეს არ შველის მდგომარეობას. საჭიროა რეალური საშუალებების დასახვა, კონკრეტულ ღონისძიებათა გამომუშავება. საჭიროა მოვაწყოთ კრიტიკოსების შემოქმედების საღამოები, გავარჩიოთ მათი ნაწარმოებები, ჩემის აზრით, ეს არის ერთ-ერთი რეალური საშუალება ჩვენი კრიტიკის გაჯანსაღებისათვის.

# მაიაკოვსკის ბავშვობა

### დია ჩიანელი.

## 1.

[illegible]

ნიგვზებთან, ჭურისთავების ახლოს, სადაც კონსტანტინე კუჭუხიძეს აუზი ჰქონდა, აუზში მუდამ თევზები — წვერა და ტობი თამაშობდნენ. ამავე აუზში ზაფხულობით ჩაცივებული იყო ღვინით სავსე დოქი.

სულ ახლოს, სამხრეთით, მთები იწყებოდა და, ალბათ, ამ მთის პირველ კორტოხზე, ვინ იცის, რამდენჯერ აცოცებულა პატარა ვალოდია. სახლიდან დასავლეთით მიექანებოდა ხვილიფით გარშემორტყმული ხანისწყალი. რომელიც ჩაუდიოდა სოფლებს: ბაღდადს, დიმს, ფერსათს, როკითს, დიდველას, ვარციხეს და ყვირილაში იკარგებოდა.

[illegible] ძის ოდა, მდინარე ხანისწყალზე გადმდგარი, ორსართულიანი, აივნიანი, იქვე იწყება შინდების ფერადოვანი ტყე.

აქ გაატარა მაიაკოვსკიმ თავისი ბავშობა. ამ სახლის აივანზე უყვარდა ვალოდიას ზაფხულობით ფიქრი და ოცნება, საღამოობით ჩამავალ მზის სხივებზე მიაჩერდებოდა მთებს და აკვირდებოდა ხეების ჩრდილებს, შებინდებისას რომ შეეხიზნებოდნენ ხოლმე ვალოდიას აივანს.

მე მინდა რამდენიმე ეპიზოდი გავიხსენო საბჭოთა კავშირის დიდი პოეტის ვლ. მაიაკოვსკის ბავშობიდან.

## 2.

მე სოფ. დიმიდან ვარ, დიმი და ბაღდადი ერთმანეთზე არიან მიკრული. მათ მდინარე ხანისწყალი ჰყოფს.

ქუთაისში ვსწავლობდი. თერთმეტი წლისა ვიყავი, როცა დღეებით სოფელს მიმავალი, კუჭუხიძის შვილს ლევანს შევხვდი, მან გამაცნო რუსი ბავშვი ვალოდია, რომელთანაც ბევრი არ მილაპარაკნია.

ერთმანეთს მივჩერებოდით და უხმოდ გავიარეთ აჯამეთის დაბურული ტყე. ვსტკბებოდით ჩიტების ჟივილით.

მაისი ილეოდა. გულში ვფიქრობდი: მოთიბული დამხვდებოდა თუ არა დიდი ეზო და მოლეული თუთა და შავი ბალი, მიტაცებდა ანკესები და ხანისწყალი...

## 3.

ზაფხულის ცხელი დღე იყო, როცა აღმოსავლეთის მთებიდან ამოსული მზე სწვავდა არე-მარეს და ბუღს აყენებდა.

მზე ვერას გვაკლებდა სოფლის ბიჭებს, რომელნიც ხანისწყალში ვბანაობდით. სად არ დავძვრებოდით, სად არ დავდიოდით, ერთი დინამიტის გულისთვის ხან მდინარე საკროველას ავყვებოდით და ხან აფხანაურში ჩავიდოდით. ფეხით გავივლიდით ათ-თხუთმეტ ვერსს.

სწორედ ერთი ასეთი მზიანი დღე იყო, როცა სხვა ბავშვებთან ერთად დილიდანვე ავედევნე ბაღდადისკენ მიმავალ უცნობ პირებს, რომელთაც თევზის საჭერად წყალში დინამიტი უნდა გადაესროლათ. გავედით ჯაფარიძეებში — ბაღდადის თავში. მერე ჩამოვყევით და, სწორედ იმ სახლის პირდაპირ, სადაც შერვაშიძე ცხოვრობდა, დიდ მორევში დინამიტი გადაისროლეს.

მზე გადახრილი იყო. გულის ფანცქალით ვუცდიდი, როდის გასკდებოდა დინამიტი. ბოლმა ამოსვლა იწყო, მაგრამ შემდეგ შეწყდა... გაიარა ხანმა...

— იმტყუნა, —დაიძახა ვილაცამ...

იმედგაცრუებული დავსხედით რიყეზე და სწორედ ამ დროს ხეებში გამოჩნდა ჩემი ნაცნობი გიმნაზიელი — ვალოდია.

მე თითქმის ტიტველი ვიყავი, შემრცხვა, მაგრამ არ შევმკრთალვარ, შემეძლო თავი გამომეჩინა, კარგი ცურვა და კარგი ყვინთვა ვიცოდი.

— გვიმტყუნა, — კიდევ გაიმეორეს.

— ვინ ამოიღებს?

რამდენიმე მყვინთავი წყალში გადაეშვა... მაგრამ ისევ მალე დაბრუნდნენ; ისმოდა გამაღიზიანებელი დაცინვა, ჩოჩქოლი.

მე ერთი შევხედე ჩემს ნაცნობ რუსს, რომელმაც თავი დამიქნია და გამიღიმა, გავთამამდი, მორევში შევცურდი, დავიყურყუმალე და რამდენიმე წუთში დინამიტი ამოვიღე, იგი ცალი ხელით მიჭირავს და ნაპირისკენ მოვცურავ... თავი მომ-

[illegible]

ეწყო.

თევზების გორა დავდგით.

ვალოდიაც შემოგვიერთდა, სიხარულით ტრიალებდა იგი მორევში, ეთამაშებოდა თეთრგულა ტობებსა და ბოლოწითლებს.

მას თვალები ულიმოდა, ახლოს მივედი, დაჭერილი დიდი ბოლოწითელი მივუტანე და შევთავაზე. გამომართვა, გაიღიმა.

ვალოდია ნაპირზე გამოვიდა, თევზს ხელში ათამაშებდა. თევზი დიდი იყო, ულვაშები, ლაყუჩები და ბოლო წითელი ჰქონდა.

მადლობა მითხრა და შინისკენ მიმიპატიჟა, მე უარი ვუთხარი, რადგან დასველებული ვიყავი. ეს იყო. მერე მას აღარ შევხვედრივარ.

## 4.

ვალოდია დიდი პოეტი გახდა, ხშირად მახსენდებოდა შერვაშიძის სახლი, შინდები, შერვაშიძის მორევი, ალბათ ვალოდიასაც ახსოვდა ბაღდადი.

ეს დაადასტურა მისმა დამ ლუდმილა ვლადიმიროვნამ:

„როცა მოსკოვში ერთხელ საქართველოდან ამანათი მივიღეთ, გავხსენით და შიგ სხვათაშორის იმერული ჭადი ვნახეთ, ვალოდია ჭადის დანახვაზე ატირდა“...

მე მივხვდი ყველაფერს, ჭადი ეს მოგონება იყო ბაღდადის ლურჯ ცისა და ხანისწყალის.

## 5.

1932 წელს აგვისტოში მე ქუთაისში ვალოდიას უფროსი და ლუდმილა მეწვია, ვალოდიას გახსენებაზე ატირდა და მოისურვა ბაღდადში წასვლა.

პირველად შერვაშიძის ეზოსკენ გავეშურეთ, წითელლოყა მსხლები ჩარჩენოდა გულში ლუდმილას, შარიდან დაინახა და ცრემლები გადმოყარა, — ოცდა ათი წელიწადია აქეთ აღარ ვყოფილვარ, აღარ მინახავსო — ამბობდა ლუდმილა.

შევდივართ ეზოში.

— ვინ გნებავთ — კითხულობს ვიღაც ლამაზი ქალი...

— ეს... — დავიწყე, მაგრამ ქალმა დამთავრება აღარ მაცალა და წამოიყვირა:

— ლუდია, შენ?

— მე ვარ — ქართულადვე უპასუხა ლუდმილა ვლადიმერის ასულმა... ერთმანეთს გადაეხვივნენ. როცა ლუდმილამ აცნობა ვალოდია გარდაიცვალაო, — ორივემ ტირილი დაიწყო, ეს იყო ნამდვილი მოთქმა.

ეს მაღალი ქალი — ქრისტინე შერვაშიძე ლუდმილას და ვალოდიას ბავშვობის მეგობარია.

შემდეგ კონსტანტინე კუჭუხიძეს ვეწვიეთ, დავათვალიერეთ ოთახი მეორე სართულზე, სადაც ვალოდია დაიბადა, მერე აუზი, სადაც თევზები თამაშობდნენ და ის გორაკი, რომელზედაც ვალოდია სწერს თავის დღიურში «Над лесами горы. Подрос, бегал на самую высокую...»

იქიდან შევიარეთ ევგენი კოპაძისას, რომელიც ტყისმცველად ჰყავდა ვალოდიას მამას, მოხუცმა ევგენი კოპაძემ გვიამბო, თუ რა სიყვარული და პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული პოეტის მამას — ვლადიმერს.

უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა იგი, ხელი ქაღალდების საკერავ ნემსზე შეიჭრა, გაუსივდა, მოეწამლა და უეცრად გარდაიცვალა. ასაფლავია ქუთაისში ოლასკურას სასაფლაოზე.

უკან დაბრუნებისას გზაში ლუდმილამ ბაღდადის ეკლესიის ეზოში შეუხვია, ერთ ცაცხვის ძირას საფლავზე დაემხო, ცრემლები გადმოღვარა.

აქ დასაფლავებული ყოფილა ვალოდიას უფროსი ძმა. ექვსი წლის გარდაცვლილა და აქ დაუსაფლავებიათ.

იგი ტიროდა და ალბათ იგონებდა სახელოვან ძმას — ვალოდიასაც, რომელიც მოსკოვში დამარხა.

დავტოვეთ ბაღდადის მიდამოები. ავტო მირბოდა და თან მიჰქონდა დიმი, აჯამეთი და სარბევი.

წინ მეხატებოდა ის, რაც ვნახე, და მაგონდებოდა ვლადიმერ მაიაკოვსკის სიტყვები:

«В долгу я у тебя
Багдадские небеса.»

ნახ. ს. კეცხოველისა



ვლ. მაიაკოვსკი ახალგაზრდობაში

---

სად საპასუხისმგებლო დავალებები. იმის ნაცვლად, რომ იგი ბოლშევიკური კეთილსინდისიერებით ასრულებდეს ამ დავალებებს, პრაქტიკულად ეხმარებოდეს მწერალთა ორგანიზაციას მის წინაშე დასმულ ამოცანათა განხორციელებაში იგი სისტემატურად გაურბის პრაქტიკულ მუშაობას და მწერალთა კავშირის საქმიანობაში მისი მონაწილეობის ერთად ერთ ფორმას წარმოადგენს წელიწადში ერთხელ საჯარო კრებებზე ვრცელი დეკლარაციით გამოსვლა, ისიც მწერალთა ორგანიზაციის მუშაობის დისკრედიტაციის მიზნით. გარკვევით უნდა მოვითხოვოთ ამხ. ბუაჩიძისაგან პრაქტიკულად დაადგეს მწერალთა ორგანიზაციაში პოზიტიური მუშაობის გზას და საქმით დაგვეხმაროს კავშირის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებაში.

ჩვენი დისკუსია დამთავრდა, მაგრამ მწერალთა აქტივის ამ თვალსაჩინო ამოძრავებას თან უნდა მოჰყვეს გაღრმავებული თვითკრიტიკის და გაძლიერებული შემოქმედებითი მუშაობის ნამდვილი გაშლა. საფუძვლიანად უნდა გარდაიქმნას და გადაისინჯოს, როგორც ყოველი საბჭოთა პოეტის, ბელეტრისტის, დრამატურგის თუ კრიტიკოსის შემოქმედებითი მუშაობა, ისე მთელი ჩვენი სამწერლო კოლექტივის, მწერალთა ორგანიზაციის მუშაობის ფორმები და მეთოდები.

ამ გარდაქმნას საფუძვლად უნდა დაედოს მწერლისათვის მტკიცე პოლიტიკური ხელმძღვანელობისა და საწარმოო შემოქმედებითი დახმარების უზრუნველყოფის ამოცანა.

ყოველი ახალი თვალსაჩინო ნაწარმოები, ყოველი აქტიური საბჭოთა მწერლის შემოქმედებითი გზა, უნდა გახდეს სპეციალური შესწავლისა და ყოველმხრივი შეფასების საგნად. მწერალთა კავშირის სამდივნოსა და პრეზიდიუმის პირველხარისხოვან ამოცანად უნდა დავსახოთ თვითეული მწერლისათვის ნამდვილი საწარმოო შემოქმედებითი დახმარების უზრუნველყოფა თვით მუშაობის პროცესში და მწერლის ინდივიდუალურ თავისებურებათა გათვალისწინებით. კავშირის ორგანოებმა კონკრეტული ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ მწერალს სოციალისტური სინამდვილის ღრმად შესწავლის საქმეში.

ამ მხრივ ჩვენ მიერ ჯერ კიდევ ძლიერ ცოტაა გაკეთებული. უნდა ითქვას, რომ ჩვენი კავშირის სექციები ჯერ კიდევ ვერ იჩენენ აქტივობას შემოქმედებითი საკითხების დამუშავებაში. მწერალთა საზოგადოებრივ ორგანიზაციის ამ ძირითად უჯრედების მუშაობაში ბიუროკრატიზაციის საფრთხე ჯერ კიდევ არ არის დაძლეული. ჩვენი კავშირის სექციები უნდა გადავაქციოთ ნამდვილ შემოქმედებითი ცენტრებად, სადაც უნდა გადავიტანოთ მწერლებთან იდეურ აღმზრდელობითი მუშაობის მთელი სიმძიმე. მწერალთა კავშირის პრეზიდიუმისა და აქტივის უახლოეს სხდომაზე ჩვენ უნდა დავამუშაოთ ჩვენი სექციების მუშაობის შინაარსობრივი გარდაქმნის კონკრეტული პროგრამა.

რადიკალურად უნდა შეიცვალოს აგრეთვე ჩვენი ჟურნალების რედაქციების საქმიანობა. ჟურნალების რედაქციებს უშუალო პასუხისმგებლობა ეკისრებათ ლიტერატურული პროდუქციის იდეურ-მხატვრული ხარისხისათვის. ამიტომ გადაჭრით უნდა უკუგდებულ იქნას დასაბეჭდ მასალისადმი პასიური დამოკიდებულების ყოველგვარი პრაქტიკა. მწერალთა კავშირის ორგანოები მეტი სიფხიზლით უნდა მოეპყრან რედაქციების მუშაობას.

გარკვევით უნდა ვუთხრათ ჩვენი საგამომცემლო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, რომ მხატვრულ ლიტერატურის განვითარების საქმეში მათ ეკისრებათ არა მარტო საწარმოო-საგამომცემლო, არამედ უაღრესად დიდი იდეურ-პოლიტიკური ფუნქციები. მათ თავიანთ საქმიანობის ცენტრში სარედაქციო მუშაობა უნდა მოაქციონ. ბოლო უნდა მოეღოს ლიტერატურული წუნისა და მოუმწიფებელ ნაწარმოების ბეჭდვას. წიგნის მიღებისა და დაბეჭდვის დროს უკუგებულ უნდა იქნას ყოველგვარი სხვა მოტივი და საზომი, გარდა ნაწარმოების იდეურ-მხატვრული ხარისხისა.

განსაკუთრებით დიდია მწერალთა ორგანიზაციის პ-მგებლობა ჩვენი სალიტერატურო კრიტიკის დღევანდელი მდგომარეობის გამო. ჩვენ უახლოეს დროში უნდა მოვახერხოთ კრიტიკის დარგში მომუშავე ამხანაგების კონსოლიდაცია, შევუქმნათ მათ მუშაობის ნორმალური პირობები, გამოვიჩინოთ მათ მიმართაც მზრუნველობა და აგრეთვე მოვითხოვოთ მათგან კრიტიკულ-თეორიული მუშაობის მეტი სიღრმე და კვალიფიციურობა. სავსებით სწორია იმ ამხანაგების აზრი, რომლებიც ლაპარაკობდნენ ამ დისკუსიაზე იმის შესახებ, რომ თვით საბჭოთა მწერლებიც ვალდებულნი არიან ერთმანეთის ნაწარმოებების შესწავლისა და შეფასების საქმეში პრაქტიკულად ჩაებან და ამით გააცხოველონ სალიტერატურო კრიტიკის ფრონტი. ჩვენ გვყავს არა ერთი ისეთი მწერალი, რომლისთვისაც ეს საქმე არ წარმოადგენს განსაკუთრებულ სიძნელეს, ამის მკაფიო მაგალითები ამ დისკუსიის პროცესშიაც დავინახეთ.

მწერალთა კავშირის მუშაობის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას ახალგაზრდა კადრებისათვის აღმზრდელობითი დახმარების უზრუნველყოფა წარმოადგენს. ეს საქმე დღემდე სათანადო სიმაღლეზე არ არის დაყენებული. მწერალთა კავშირის ყველა სექციებმა თავის მუშაობის ერთ-ერთ მთავარ ობიექტად დამწყებ მწერალთათვის ყოველდღიური შემოქმედებითი საწარმოო დახმარება უნდა დაისახონ. ჩვენს გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს აგრეთვე მასიურ-ლიტერატურული მოძრაობის ახალ სიმაღლეზე აყვანა. იგულისხმება, რომ ამ დიდ ამოცანათა წარმატებით განხორციელებას ჩვენ შევძლებთ მხოლოდ მწერალთა კოლექტივის შემჭიდროებით, მთელი აქტივის დახმარებით.

ყველასათვის ნათელი უნდა იყოს ის დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც ეკისრება თვითეულ საბჭოთა მწერალს და მწერალთა მთელ კოლექტივს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს თავდაცვის, ჩვენი სამხედრო უნარიანობის თემების მხატვრულად დამუშავების საქმეში. აგრეთვე უდაოდ უნდა გავიზიაროთ ის მოსაზრებები, რომლებიც გამოსთქვა აქ მწერალმა ქალმა ნინო ნაკაშიძემ, ჩვენი მოზარდი თაობისათვის მაღალმხატვრული წიგნის შექმნის აუცილებლობის შესახებ.

მწერალთა კავშირში ამას წინათ ჩატარებულმა საგანგებო თათბირმა საბავშო ლიტერატურის საკითხებზე გვიჩვენა, რომ მიუხედავად იმ საგრძნობი გაუმჯობესებისა, რომელსაც ადგილი აქვს უკანასკნელ წლებში ქართულ საბჭოთა მწერლობის ამ მეტად საპასუხისმგებლო უბანზე, მაინც ჩვენი მწერლობა ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს ჩვენი მოზარდი თაობის გაძლიერებულ მოთხოვნებს. აუცილებლივ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენი კვალიფიციური მწერლები, რომლებიც ჯერ კიდევ იჩენენ საბავშო ლიტერატურის ერთგვარ შეუფასებლობას, აქტიურად ჩაებან კომუნისტური ახალგაზრდობის შესაფერი მხატვრულ ლიტერატურის შექმნის საქმეში.

მწერალთა კავშირი უნდა წარმოადგენდეს ერთ მთლიან იდეურ-შემოქმედებითი ნებისყოფით ამოძრავებულ კოლექტივს.

ამგვარი მთლიანობის მიღწევა კი მოითხოვს გადაჭრით, მთელი სიმძაფრით შევებრძოლოთ ავადმყოფური ინდივიდუალიზმის, უპრინციპო კიხიკლაობის, წვრილბურჟუაზიულ - ბოგემური ჩვევების ყოველგვარ გამოვლინებას მწერალთა ურთიერთობაში და ჩვენს ლიტერატურულ ყოფაში. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ შემოქმედებითი დისკუსიის შემდეგ კიდევ უფრო მეტი სიძლიერით და სიღრმით გაიშლება ბრძოლა იმ შემოქმედებითი ამოცანების წარმატებითი გადაჭრისათვის, რომლებსაც აყენებენ ლიტერატურული ფრონტის წინაშე პროლეტარული სახელმწიფოებრივობა და ჩვენი მკითხველი მასები.

ამ ბრძოლებში ჩვენი გამარჯვების თავდებს წარმოადგენს ის უდიდესი მზრუნველობა და ყოველდღიური მტკიცე ხელმძღვანელობა, რომელსაც ანხორციელებს საბჭოთა ლიტერატურის მიმართ ჩვენი დიდი პარტია და მისი გენიალური მესაჭე ამხ. სტალინი; ის ფხიზელი ყურადღება და ყოველდღიური დახმარება, რომელსაც ანხორციელებს ქართული საბჭოთა მწერლობის მიმართ ამიერ-კავკასიის და საქართველოს ბოლშევიკების სახელოვანი ხელმძღვანელი ამხ. ლავრენტი ბერია.

ლიტ. საქართველო

# დადებითი ტიპის შექმნის სიძნელენი

### დემნა შენგელაიას სიტყვიდან

ლიტერატურა სადა და ნათელი უნდა იყოს. მე ვგულისხმობ იმ სისადავეს, რომელზედაც სტენდალი სწერდა თავის დროზე მერიმეს. ის უსაყვედურებდა მერიმეს, რომ შენ სწერ ლამაზად და ამიტომ ნაწარმოებს ჭეშმარიტების ელფერი აკლდებაო. ის ურჩევდა, წერის წინ იკითხე კანონთა კრებული, რომ ენა განტვირთო „ლამაზი“ გამოთქმებისაგანო. ამ სისადავისა და სიზუსტის მისაღწევად ტოლსტოი ხშირად ათარგმნინებდა უცხო ენაზე და ისე სინჯავდა თავისი ფრაზის სიმახვილეს.

ჩემთვისაც ისტორიული რომანის საკითხი ძლიერ მტკივნეული საკითხი იყო. ამ მხრივ ბევრი მიმუშავნია და თუ ეს ცოდვაა, იგი მეც მიმძიმს. ჩემის აზრით, ისტორიული რომანი არ არის წამყვანი ჟანრი. დღეს მთავარია და წამყვანი არა ისტორიული თემა, არამედ თანადროული, ეს ჩვენი შემოქმედების წამყვანი ძალა უნდა იყოს. ამაოდ ფიქრობს ამხ. კ. გამსახურდია, თითქოს ისტორიულ მასალაში ყველაფერი მზად არის მოცემული და ადვილი იყოს მისი წერა. პირიქით, აქ ბევრი დაკვირვება და რეალიების ცოდნა არის საჭირო. ამას გარდა ისტორიულ ტიპაჟს იმდენი უნდა სული ჰბერო, რომ შეიძლება, სანამ გმირი გაცოცხლდებოდეს, შემოქმედი თან გადაჰყვეს. არა ნაკლები სიძნელეები ახლავს თანათემასაც.

ახლა მინდა მოკლედ შევეხო დადებითი ტიპის საკითხს.

ჩემი აზრით, სმერდიაკოვის შექმნის დროს დოსტოევსკის იგივე ეროსი ამოქმედებდა, როგორიც ალიოშა კარამაზოვისა და მამა ზოსიმეს ხატვის დროს. თქვენ იცით, რომ მთელი თავისი მსოფლმხედველობა ამ თავში ჩასდო დოსტოევსკიმ. ასეთივე სისათუთით არის გაკეთებული ალიოშა. ამათთან შედარებით თითქმის ერთის ხელის მოსმით არის დაწერილი სმერდიაკოვი და ის თავის სიმკვეთ-



რით ყველა დადებით გმირსა ჰფარავს, რადგან უარყოფითი ტიპის გამოკვეთა უფრო ადვილია, ვიდრე დადებითის. ამ მხრივ მე უეჭველად მივდიოდი იოლი გზით. მე მყავს ბევრი მახინჯი ტიპი (მაგ. გუჯუ ლაბახუა, თამშუღ დანელია და სხვ.)

დადებითი ადამიანის დახატვაში, დოსტოევსკის გარდა, ტოლსტოიც კოჭლობდა, თქვენ იცით, რომ ლევინი ყველაზე სუსტია მის ნაწარმოებში და ეს იმიტომ, რომ მწერალს უნდოდა თავისი მსოფლმხედველობა ჩაედო შიგ, მაგრამ მხატვრულად ვერ განახორციელა. წინათ ეს სისუსტე ისე რელიეფურად არ სჩანდა, რადგან მაშინ მწერალი კონფლიქტში იყო სახელმწიფო წყობილებასთან რომელსაც იგი უარყოფდა და ებრძოდა, მაგრამ დღეს, როდესაც მწერალი აღფრთოვანებულია სოციალისტური სინამდვილით, ჩვენი გმირული ეპოქის პათოსით ესეთ დროს დადებითი ხალხია საჭირო.

ჩვენ გვსაყვედურობენ, რომ არ ვიძლევით ახალ ადამიანს. ეს საყვედური სამართლიანია, მაგრამ თქმა ადვილია, ხოლო გულახდილად უნდა მოგახსენოთ, შესრულება ძნელი, რადგან მთელის სულით და გულით უშუალო მონაწილეობას არ ვღებულებით ცხოვრებაში. ვტრიალებთ მხოლოდ ლიტერატორთა ვიწრო წრეში. აი ამიტომ ვერ ვქმნით ჩვენ ამაღელვებელ სახეებს.

აქ ამხ. დემეტრაძემ აღნიშნა, რომ როტომღაც დ. შენგელაიამ შეწყვიტა თავისი ახალი რომანის წერაო. კი არ შევწყვიტე, შევჩერდი, რადგან ჩვენ ისეთი ახალი ფაქტების წინ დავდექით, როდესაც მხოლოდ დამკვირვებლობა არ კმარა. ახალი, სტახანოვური მოძრაობა ახალ პერსპექტივებს შლის და მე მინდა, რომ ჩემი ახალი რომანი ფეხდაფეხ მიჰყვებოდეს თანადროულობის იდეებს, მინდა უფრო ხორცსხმულად ავსახო ჩემი მთავარი გმირი, რომელიც რომანის დაწყებისას მხოლოდ დამკვირვებლად მყავდა წარმოდგენილი. როცა დღეს სოციალიზმის მშენებლობაზე სწერ, უკვე გვერდს ვერ აუვლი ჩვენს დიად სტახანოვურ მოძრაობას. საჭირო ხდება ახალ ადამიანთა ყოველმხრივი შესწავლა. ამ შესწავლას კი დიდი გულმოდგინეობა, მოთმინება და უაღრესი სიყვარული სჭირდება.

გმირი ისე უნდა აამოქმედო, რომ ავტორმა მექანიკური მონაწილეობა არ მიიღოს მის მოქმედებაში და ხასიათის გამომჟღავნებაში. ფლობერი ამბობდა: ნუ მაჩვენებ შენს დამოკიდებულებას გმირთანო. რასაკვირველია, ეს სიტყვები პირდაპირ არ უნდა გავიგოთ და იგი არც გამორიცხავს ტენდენციას. ფლობერს ჰქონდა მოთმინება ცხრა წელიწადი ექთენბინა თავისი რომანები. მე მას არ ვედრები, მაგრამ მინდა მისგან ვისწავლო, ეს არის გრძნობა უდიდესი პასუხისმგებლობისა, რომლითაც მე ვეკიდები ჩემს საქმეს, როგორია ეს საქმე — ეს სულ სხვა საკითხია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჭ ა დ ა რ ი

**მამია ასათიანი**

მეფის გამოსვლას ელოდა ყველა: მოყვანილი ტყვეები, მომჩივანი ...ნაურები, სანახავად მოსული თა...დები.

ჭადრის ძირში ოქრომკერდით მო...გულ დარაიას საზაფხულო კა...ვის წინ დარაჯი იდგა. იგი ნიშანი ...ო მეფის მალე გამობრძანებისა.

მეფე ამალით გამოვიდა. წინ ...ცოვანი თავადი ვამეხ ჩიჯავაძე ...უძღოდა. მარჯვნით და მარცხნით ...ორთქიფანიძეები, ნიჟარაძეები, ...აშვილები, ჩხეიძეები, მიქელაძეები და აბაშიძეები.

სარტყელამდის დარხეულ თეთრ...ვერიანი ვამეხ ჩიჯავაძე დარ...სლური ნაბიჯით მივიდა კარავ...ან. მარჯვნით დადგა და მეფეს ...ავდახრით გზა მისცა შესასვლე...ად.

სოლომონი კარავში შევიდა. — ასლან ავალიანი ნელნელ უხმობ...ა მოსულებს, ყველაზე უწინ თავა...ები შეიხმეს. შემდეგ მომჩივანი ...ნაურები.

ძაღლების დასათვალიერებლად ...ითონ მეფე გამობრძანდა. ძაღლე... აქო და კურძალ ბოდოკიას გა...სცა ისინი მოსავლელად.

...ეზოში ვამეხის ქალი შემოვიდა. შავთვალწარბა, ჭადარივით აშოლ...ილი ცხრამეტი წლის ქალი თეთრ ...ენზე იჯდა, თეთრი უძიროები ...ვა, თეთრივე დარაიას ყაბალახით ...ვი შეეკრა და თეთრი ნაბადი წა...ესხა.

მხლებელს ხელზე ეჟვანშებმული ...პუეტი უჯდა.

მხლებელი ივანე აგიაშვილის ვა... იყო, ოქროსფერი ცხენი რომ ...მაგ სადავით ეკავა ვაჟკაცურ ხე...ში.

ვაჟი ცხენიდან ჩამოხტა, ზრდი...ად დაუჭირა ვერცხლის თეთრი ...ხანგი. ჩიჯავაძის ქალი უნაგირი...ნ ყვავილივით მოსწყდა და სანამ ...ანეს ვაჟი ხელის ხლებას მოასწ...ბდა, იგი უკვე მიწაზე იდგა.

ქალმა ვაჟს სპილოს ძვლისტარია... მათრახი გაუწოდა და თან გაუ...მა. ვაჟმა ხელზე მოწიწებით აკო..., მათრახი ჩამოართვა.

— მე მეფეს ვეახლები, გიორგი..

— ნება თქვენია, — მიუგო ვაჟმა.

ქალი რბილი რხევით შევიდა კა...ვში.

ჯახანა, ვამეხის ქალი, ძლიერ ...დოდა ივანე აგიაშვილს. იცოდა, ვამეხი მეფის კარზე ერთი პირველი კაცი იყო და ამიტომ მათი დამოყვრება მეფის ხელში ჩაგდებას ნიშნავდა. თავის ვაჟს სიტყვა გადაუკრა და მიახვედრა მის სურვილს.

ვაჟი კი მანამდე ჰყავდა ჯახანას სიყვარულ-ნაკრავი.

არც თვითონ ქალი იყო გულგრილად. ლამაზი იყო ჭაბუკი გიორგი აგიაშვილი და საომარ საქმეში გამჭრიახი და ვაჟკაცი.

უყვარდა იგი მეფეს, შვილად მიაჩნდა.

ქალს მოსწონდა მეფის კარზე გიორგის პირველობა. აბაყობდა კიდეც, რომ ასეთი ვაჟი მოუშორებლად ახლდა თან, მაგრამ თავს იჭერდა, ვაჟს არაფერს აგრძნობინებდა. სწორედ წინალამით გაუმჟღავნდა ორივეს გულში ნადები.

ჭადრის ძირს იჯდა ჯახანა. ახალგაზრდა ქალს ხანდახან ღიმილი გაუნათებდა სახეს.

სწორედ ამ დროს თვალი მოჰკრა გიორგის და თავისთან მიიხმო.

— ლამაზიაო ეს ღამე — აქო ქალმა.

— თქვენით კიდევ უფრო მშვენდებაო, — უპასუხა ვაჟმა.

ქალი ოდნავ დაიხარა და შავი თმის ტევრი შეახო ვაჟის ატლასის ახალუხს, გულის პირზე რომ მოსჩანდა ბროწეულის ფერად.

ქალმა იგრძნო ვაჟის შეტოკება და კიდევ უფრო დაიხარა.

გიორგიმ ხელი შეაშველა მოღერებულ ყელს. მაშინ კი ქალმა იგრძნო, რომ უკვე თავის თავს აღარ ეკუთვნოდა. იგი ნელა შემობრუნდა და გიორგის თვალებს, თბილი ელვარება რომ გამოსჭვიოდა, თავისი მიბნედილი, წამწამდაყრილი თვალები შეაგება. ვაჟი მიხვდა მისახვედრს.

იგი მოწიწებით ეამბორა ქალის შუბლს, მერმე დაიხარა და ტუჩებს დააცხრა...

დილით ისინი ნადიროდ წავიდნენ და როცა ეხლა ჯახანა მეფესთან შევიდა, ივანე აგიაშვილმა გუმანი ჰკრა, რომ საქმე მის შვილს უკვე გაეთავებინა.

მეფე გულგახსნილი შეხვდა ვამეხის ქალს, მოიკითხა, ხომ კარგად ინადირეო.

— ორმოცდა ორი მწყერი ვინადირეთ, მეფეო, ამის ნახევარი გვრიტი. კაკაბიც შემოგვეფეთა ცხენზე მსხდომთ და გიორგიმ გაფრენილს ფრთა მოსტეხა.

გიორგის ხსენებაზე სოლომონმა კიდევ უფრო გაიღიმა და ივანეს შეხედა. აგიაშვილმა, ნიშნად მადლობისა, თავი დახარა.

— მხოლოდ, — განაგრძობდა ქალი, მამისკენ მიბრუნებული, — წინ ივლიანე ბელთაძე შემოგვხვდა. ისე შემომხედა, ეიფიქრე, მოკვლას მიპირებს მეთქი.

ვამეხი უსიამოვნოდ შეირხა და ქალმა შეატყო, რომ მამას არ ეჭაშნიკა ბელთაძის ხსენება. ჯახანამ მოსწრებულად გადიტანა ლაპარაკი სხვა საგანზე.

— საჩინოში უფრო მსუქანი მწყერი იცისო, — საუბრობდა ქალი.

რიონის პირად საჩინოელი გლეხი ივლიანე ბელთაძე თეთრ ქვაზე ჩამომჯდარიყო და ქალამნებიანი ფეხები წყალში ჩაეყო. შავი ხშირი წარბები, გაშლილი შუბლი, ფართო ბიჭები და წელზე შემორტყმული სატევარი დევის იერს აძლევდა ივლიანე ბელთაძეს.

— ბიჭო, მეფე თუ გამოვიდა, შეხედე ერთი, — შეელაპარაკა იგი საჩინოელსავე ნიკოლეიშვილს.

— გამობრძანდაო, — როცა მიიღო პასუხად, პაიჭებზე ხელი მოიჭირა, წყალი დაწურა, ქამარ-ხანჯალი გაისწორა და კარვისაკენ პირი იბრუნა.

— თუ იცი, ვამეხი ახლავს? — შეეკითხა ისევ ნიკოლეიშვილს.

— კი, — უპასუხა მან.

წარბები ჩელტებივით ჩამოსწია და მაინც გამოემართა.

სოლომონი გარეთ გამოსულიყო და ჭადრის რტოებ-ქვეშ იგრილებდა, ივლიანე შორიდან შეამჩნია.

— ვინ არისო, — იკითხა.

—ვამეხის ყმა გახლავს, მეფეო,— უპასუხა ივანე აგიაშვილმა.

გლეხი თავგამართულად მეფეს წინ დაუდგა.

— ვამეხთან ხომ არ ჰგონია მამაძაღლს მისი თავი? — ჩაიფიქრა გიორგი ნიჟარაძემ, ასე წელგამართულს და მოურიდებლად წამოსულ გლეხს რომ შეხედა.

— მეფეო თქვენთან მოვედი. ვამეხ ჩიჯავაძემ სული გამიმწარა... სამართალს ვითხოვ თქვენთან, მეფეო.

სოლომონს ხმა არ ამოუღია. შეიჭმუხნა და აგიაშვილს გადახედა.

კარავის წინ ვამეხის თეთრი წვერი გამოჩნდა. იგი ნელა მოდიოდა და როცა ბელთაძე შეამჩნია, ნიკაპი აუკანკალდა.

— ვამეხ, — მიუბრუნდა მეფე ჩიჯავაძეს, — უზრდელი ყმები გყოლია დარბაისელ თავადს.

— მეფეო, თქვენი შუბლის სინათლე იმერეთს ანათებს, მაგრამ, თუ არ გამიწყრებით, უნდა მოგახსენოთ: ყოველი დათვი როდი შინაურდება?!

ივლიანე ნიკოლეშვილს მიუბრუნდა — ჩოხა წამომიწიეო. ნიკოლეიშვილმა ხმაამოუღებლად წამოსწია ჩოხა და ზურგი გამოუჩინა.

— აი, მეფეო, სამჯერ მცემეს ვამეხის ბრძანებით. მეც მოვითმინე და თქვენთან მოვედი.

შეხედეთ, მიუბრუნდა იგი ამალას, სამართალს ვეძებო.

ზურგი ჩაკვეთილ სისხლისფრად ჩალურჯებოდა. ალაგალაგ ხორცი აგლეჯოდა. მეფეს თვალები გაუფართოვდა, მარჯვენა ულვაში აუთრთოლდა.

— შენ მეტი გჭირიაო, — თითქოს ჩაიღიმილა მეფემ.

— რატომ, მეფეო?!

— ბატონს სამსახური უნდა და ჰკუას მოხმარება.

— უხიაკი რამ არის, მეფეო, — ხმა აუწია ვამეხმა. — წკვარამი კაცია.

მეფე კიდევ უფრო შეიჭმუხნა.

— მე ჭკვიანი მეგონე, ვამეხ! ყმას გულისყური და მათრახი არ უნდა მოაკლდეს, შენ კი ეს დაგვიწყებია. ყმა როზგს ქვეშ მღერის ბატონის ქებას.

— იმე! — გაიკვირა ბელთაძემ,— როზგს ქვეშ სიმღერა ჩიჯავაძეს თუ შეუძლია, თორემ...

— მე გასწავლი ბელთაძევ, როზგქვეშ სიმღერას. მოიწიე ჩემსკენ, ბიძია.

ბელთაძე მეფის წინ დადგა.

მოიხსენი ქამარ-ხანჯალი.

ივლიანე შეკრთა, ნიკოლეიშვილს გადახედა, და როცა იმანაც ანიშნა, ჩათრევას ჩაყოლა ჯობიაო, ბელთაძემაც თავის ხელით მოიხსნა ქამარ-ხანჯალი. იგი ისე იხსნიდა მას, თითქოს შვილს მარხავსო საფლავში.

— დაუძახეთ ჭუმბურიძეს, — გასცა მეფემ ბრძანება. სამადლიანი, ხარისთვალებიანი კაცი წინ წამოეჯგიმა მეფეს.

—აჰა, ბარნაბა, ასწავლე ამ კაცს როზგქვეშ სიმღერა.

ჭუმბურიძემ ბიჭებს თვალი უყო და თითონ ახალუხის კალთები ქამრის მაგივრად შემორტყმულ თეთრ თასმაში ჩაიკეცა.

ორმაგი თოკი მიუტანეს ფეხებთან ბელთაძეს. მსჯავრდადებული ერთხელ შეინძრა და ჭუმბურიძე მიიბრტყა, მაგრამ ბარნაბას ბიჭები რომ წამოეშველნენ და შვიდმა კაცმა ერთი გაბაწრა, დაიჩვარა ვაჟკაცი... თავდაღმა დაკიდეს ბელთაძე ჭადრის დიდ ტოტზე. ხელები ზურგთან დაუკრეს. ივლიანე თითქოს ჩუმად იყო, მაგრამ გული საშინლად უცემდა.

— აბა, ჭუმბურიძევ, ასი როზგი დაკარი, თან წვრილი ხმით იმღეროს, თუ არ შეასრულოს, ასი მიუმატე კიდევ, — ბრძანა მეფემ და თან დაუმატა, — ხმა თუ კარგი აქვს?

— ყვირილი კარგი იცის, მეფეო.

— მაშინ სიმღერაც კარგი ეცოდინება.

— ჩემი სიმღერა, მეფეო, არც შენ გაგიხარდება და არც ვამეხ ჩიჯავაძეს. იგი სხვანაირ ხმაზე იმღერება.

— დაიწყე, ჭუმბურიძევ! — გასცა განკარგულება სოლომონმა.

ჭუმბურიძემ ახალუხის სახელო იდაყვამდის წაიკაპიწა და ბელთაძეს ზურგი წამოხადა. ეს თავდაღმა დაკიდებული გაკოჭილი კაცი მოულოდნელად წამოიწია, წელში მოიხარა, თავი თითქოს ფეხებს გაუსწორა, ანთებული თვალები მეფეს მიაბრიალა, ვამეხს შეუბღვირა და ნიკოლეიშვილს შეხედა.

— მეფეო, ჩემი გაბახებით არცერთი იარა არ მოგიშუშდებათ, არც თქვენ და არც ჩიჯავაძეს. შენ კი, ნიკოლეიშვილო, კარგად დაიხსომე: ძმა-კაცს, ბიძია, თუ იგი გიყვარს, იარაღის დაყრა არ უხდა ურჩიო. წადი სოფელში და ჩემი ამბავი მიუტანე ყველას.

— დაკარი, მე ძაღლის გაგდებულო! — ვერ მოითმინა ივანე აგიაშვილმა.

საშფად დაგრეხილმა რცხილის წკნელმა გაიშხუილა ჰაერში და ბელთაძემ შეძოკვრისთანავე მხოლოდ თვალები დაახამხამა.

— ერთი! — ითვლიდა ასლან ავალიანი, — ორი, სამი, ოთხი!.. — წკნელები დატყავდნენ და დაიქურჩხენ, ხოლო ივლიანეს ზურგის კანი დასკდა და სისხლმა იწყო თქრიალი. წვეთები გადმოდიოდნენ კისერზე, წვერ-ულვაშს უსველებდნენ და თავის პირდაპირ ეცემოდნენ თეთრ მიწაზე, წითლად ღებავდნენ მას, შემდეგ კი მიწაში იჟონებოდნენ.

— ასი! — დასძახა ავალიანმა და მეფეს შეხედა.

— სიმღერა არ უთქვამს; განაგრძეთ, — ბრძანებლობდა მეფე.

ერთი, ორი, — ისევ დაიწყო ავალიანმა. ბელთაძე ხმას არ იღებდა, ჩუმად, სულ ჩუმად სუნთქავდა. მხოლოდ „ოთხმოცდა ერთიო“, რომ გასძახა ავალიანმა, ბელთაძის თავი უცნაურად დაიგრიხა და ჩვარივით ჩამოეკიდა. ნიკოლეიშვილმა ვერ მოითმინა და ისე ხმამაღლა ამოიოხრა, რომ ყველამ მისკენ მიიხედა.

ჩიჯავაძემ ბარნაბა თავისკენ მიიხმო. რაღაცა უჩურჩულა. ბარნაბა ნიკოლეიშვილისაკენ გაემართა. სწორედ ამ დროს ისეთი ხმა გაისმა, რომ ყველანი შეაკრთო. ბელთაძე თითქოს გაცოცხლებულიყო, მან რაღაცნაირად მოეხერხებინა ტანის შემობრუნება და დასისხლული წვერულვაშით მეფეს უცქეროდა. კბილებს საცეხველივით ურტყამდა ერთმანეთს. მან ჯერ პირში დაიგუბა და შემდეგ მეფეს სისხლი და ორი თეთრი კბილი სახეში შეაფურთხა. ყველანი შეკრთენ, გაინაბენ...

ჭუმბურიძემ სირბილით გადირბინა ამალა და როზგს ხელი წამოავლო. — ერთი, ორი, დაიწყო ისევ თვლა ასლანმა, და როცა დაიძახა თუთხმეტიო, ბელთაძე უკვე აღარ სუნთქავდა და აღარც ნიკოლეიშვილი იყო ამ არემარეს. მხოლოდ ჭადრის ფოთლები ირხეოდნენ ნელა და ზევიდან დაყურებდნენ ბელთაძის გაციებულ ცხედარს, ტოტზე რომ ქანაობდა.



სახლი, სადაც ცხოვრობდა მაიაკოვსკი მოწაფეობის დროს ქუთაისში

## ქუთაისელ მწერალთა შემოქმედებითი საღამო

საქართველოს მწერალთა კავშირი 7 მაისს მწერალთა სასახლეში მართავს

**ქუთაისელ მწერალთა შემოქმედებითი საღამოს**

მონაწილეობას მიიღებენ: დ. ჩიანელი, დ. თომაშვილი, ი. ხოშტარია, ბ. კეშელავა, გ. გიასელი, მ. ასათიანი, შ. ჩარკვიანი, ს. ისიანი, ვ. დარასელი.

# ვ ა ჟ ა ს

**დ. თომაშვილი.**

ვაჟაუ! ვაჟო ფშავისა,
ვაჟკაცო ომახიანო,
როგორც მაგ მთების მწვერვალნი,
გულითაც მწვერვალ-კლდიანო,
შენი ნაკვეთი სიტყვები,
ვით მთის ნაკადი, სდიანო!..

„მემღერების და ვიმღერი“.
შენგან მსმენია სმენითა:
„ყველაფერს სული უდგასო,
სცანით და შეიგენითა“...
და მთა-კლდეთ, ამეტყველებულთ
იმ დევ-გმირები ენითა!..

გვახსოვს ანდერძი ვაჟკაცის
და თან სისხლის ღვრა ფშავისა! —
რისთვის ეწვოდა ლომ-გული
იმ გამწირავსა თავისა?
სირცხვილს ურჩევნავ სიკვდილი,
დღის დაბნელება შავისა.

მთები გიყვარდა, მართალ ხარ:
მთის შვილს სწორ ეგა სჩვევია!
შენი აკვანი ბორბალოს
ქარტეხილს დაურწევია,
და შენცა მთების ხუვილი
ლექსებად დაგიფრქვევია!

სიკვდილის წინა-წუთებში
მთის წყაროს წყალი გწყუროდა:
ისლა მიგაჩნდა მკურნალად,
სულს მხოლოდ იგი ჰსუროდა,
შიო თავს გადგა მოზარედ,
ზედ გეხვეოდა სუროდა.

ვითა ხარ-ლაღის ირმისა
მთით გვესმა შენი ხმაური:
დელგმა ასტეხე კალმითა
და სიტყვის ფარიკაული...
კვლავ მთაზე დგახარ და გვესმის
შენი უკვდავი ფშაური!..

აღმოსცენდ, ვაჟო ფშავისა,
ვაჟკაცო ომახიანო.
შოთაის სულის ნატეხო,
ნაწრთობო, კალამფხიანო!
ზამთარ და ზაფხულ ჰყვავოდე...
სიტყვით და საქმით მზიანო!..

## გაზაფხულის თესვა

**შ. ჩარკვიანი**

აგიყვავილდათ მინდორი, ველი,
საგაზაფხულო გეწყებათ თესვა,
მოვა ზაფხული, შვების მომგვარე
რომ შემოდგომის სიუხვე შესვათ.ლი

აგუგუნდება ისევ ნადური
გაჰყვება გუთანს გუთანი ხნულში,
ისევ გააპობს წყალს მებადური
და ოქროს თევზებს ჩაიკრავს გულში.

იხარებს თესლი თაველნაყარი,
გადაგეშლებათ მზის შემაერთად,
და სიმინდებიც, როგორც მაყარი,
ამღერდებიან ჯეჯილთან ერთად.

შემდეგ ნიავი ხმელ ფოთლებს მიფენს
ლობესთან, ოქროდ იელვებს ზვარი,
დაიხუნძლება ხეხილი მწიფე
და საწნახელთან ჩადგება ძარი.

მიტაცებს თქვენი მკლავის დოვლათი!
თქვენ გაზაფხულს ჰქმნით ქვეყნის მარაგად.
იყოს ხანგრძლივი სიცოცხლე შაოი
ცინც დაახვავოს მეტი ბარაქა.

## ს ო ფ ე ლ შ ი

**ს. ისიანი**

მზე დაიღვრება ველზე ულევად,ლად,
ჩეროს გაიჩენს ყოველი ღერო.
დღეებს ჩამოაქვთ მხიარულება
და მათ შესახებ მინდა ვიმღერო

მინდა ვუმღერო ამ მზეს, ამ ყოფას,
დილით ყანების ახმიანებას,
ერთი სიმღერის მარადსაყოფად
მთელი სიცოცხლე არ მენანება!..

ხან გარინდებით შევსცქერი ამ ცას
ამ მთებს, რომლებმაც ველი მოჩრდილეს,
ვნატრობ: არ იყოს ისეთი განცდა,
რომელსაც სიტყვა ვერ იმორჩილებს.

ასე მღელვარებს დღეთა ალმური
და, გულო ჩემო, ვერ გაპატიებ;
ამდენი სითბო და სიხარული;
თუ სტრიქონებში ვერ დავატიე!...

# ლიტერატურული ქუთაისი

**კარლო მელაძე**

...შვიათია ქართველი პოეტი, რო...ლსაც ქუთაისისათვის არ ემღეროს. ...პოეტების შემოქმედებაში ქუთა... ყოველთვის რომანტიული შინა...სი ეძლეოდა, ისინი უმღერდნენ ...ზისს უქიმერიონს, ბაგრატის ტაძ...ს ნანგრევებს, უმღერდნენ ქუ...ისს, როგორც „სავარდო და საშა...ს“. პოეტები დღესაც უმღერიან ...ლ ქუთაისს, ინდუსტრიალურ ქუ...ისს, მაგრამ ეს სიმღერა არაა შემ...ლი იმ გრანდიოზული შინაარ...ა, რომელსაც დღევანდელი ქუთა... იტევს. ეს ქალაქი საქართველოს ...რე ინდუსტრიალურ ცენტრს წა...ადგენს, მაგრამ ჩვენმა მწერა...ბამ ვერ შესძლო ახალი ქუთაი... ნათლად ჩვენება მხატვრულ სა...ებში.

ქუთაისში მომუშავე მწერლების ...ვარ თემას **ახალი** ქუთაისი არ ...მოადგენს, ისინი საერთოდ ზო...ლ განყენებულ საკითხებზე სწე...ნ. ზოგი ისევ ბულბულს უმღე...ს, ზოგი აკაკის ლანდს მისტირის, ...გიც ფაზისის მგოსნად გველი...ა, ერთი სიტყვით, მათ შემოქმე...ბაში ყველაფერია, გარდა ახალი ...ციალისტური ქუთაისისა. ახალი ...თაისი უამრავ თემატიურ მასალას ...ევა გრანდიოზული შემოქმედე...ი ტილოსათვის, მაგრამ, როგორც ...ოდით, ამ თემატიურ მასალას მა... შემოქმედება არ ემყარება.

...თს შემოქმედებაში ჯერ კიდევ ...მჩნევია სქემატიზმი, ზერელო... ფაქტების ზემოთ ემპირიული ...ა, მოვლენების ნატურილისტუ... აღწერილობა და ფორმალისტუ... ...ოინბაზობა. ცხადია, ეს არ ითქ... ყველას შესახებ; მაგრამ უმრავ...ობას ეს უსათუოდ ახასიათებს. ...ავიწყოთ **დია ჩიანელისაგან.**

დია ჩიანელი დიდი ხანია ლიტერატურაში მუშაობს. ის მრავალფეროვანი მწერალია. მის კალამს ეკუთვნის რომანები, მოთხრობები, ნოველები და პიესები.. თავიდანვე ჩიანელი სიმბოლიზმის მძლავრ გავლენას განიცდიდა. დია ჩიანელს ეს ძველი სიმბოლისტური განწყობილებები ჩვენს დროშიაც გადმოჰყვა მის რომანში „გიონ დარანა“, სადაც აღწერილია ქუთაისი საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე და ...ს შემდეგ, მოქმედობენ არა ცოცხალი ადამიანები, არამედ სქემები. ამ რომანში დია ჩიანელმა ვერ შესძლო ეჩვენებინა ჩვენთვის თუ როგორ იცვალა ძველი ქუთაისი.. საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის ისტორიული დადგენილების შემდეგ დია ჩიანელმა შექმნა მთელი რიგი ნოველებისა და მოთხრობებისა, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია „ბრიგადირი“. ამ მოთხრობის თემას წარმოადგენს, თუ როგორ იცვლება ჩვენში ადამიანი თავისი ფსიქოლოგიით. ახალგაზრდა სვანმა სისხლის აღების ნიადაგზე მოჰკლა მეზობელი სვანი. ის დააპატიმრეს, შრომაგასწორების ბანაკში მოათავსეს და ბროწეულა - გუმბრინის რკინის გზის სამუშაოზე გაგზავნეს. პატიოსანმა და თავდადებულმა შრომამ იგი თანდათან გარდაქმნა და გახადა მოწინავე ბრიგადირად.... ყოველივე ეს ჩიანელის ნოველაში მოცემულია სათანადო მხატვრული სიძლიერით. კარგია აგრეთვე ჩიანელის „თევა დამარცხდა“. ეს ნოველა გვიხატავს, თუ სვანეთში როგორ მიფრინდა პირველი თვითმფრინავი. დია ჩიანელის მოთხრობებში ხშირად გვხვდება გაუბრალოება და გულუბრყვილობა, ამის საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ მოთხრობა „ღრბი“, რომლის თემად აღებულია საკოლმეურნეო მოძრაობა. დია ჩიანელი სახეების შერჩევას არა სერიოზულად ეპყრობა. აი ადგილი მისი რომანიდან „ქუთაისი“. „რიონმა ვეღარ ნახოს და მზით ორსულმა ცხრა კილომეტრის ბოლოს ტურბინებში მომწყვდეულად აიღმუილოს, დაიჭექოს და შვას: ელექტრო-მზე, ელექტრო ცეცხლი“.

სად თქმულა, ან სად გაგონილა მდინარის ორსულობა? ასეთი მაგალითების მოყვანა ჩვენ მრავლად შეგვიძლია ამ ავტორის მოთხრობებიდან. ჩიანელის წინაშე დგას ამოცანა უფრო კონკრეტულად და უფრო სერიოზულად იმუშაოს ამა თუ იმ თემაზე.

ძველ მწერალთა პლეადიდან ქუთაისში აქტიურად მუშაობს **დომენტი თომაშვილი.** იგი აკაკის შემდგომი თაობის მწერალია. მისი პოემა „ოკრიბა“, რომელიც ამ ორი წლის წინ გამოქვეყნდა, ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ მწერალი ცდილობს დასძლიოს ის სერიოზული შემოქმედებითი სიძნელეები, რომელიც მის წინაშე დგას. პოემა „ოკრიბა“ — იდილია და მომხდარი ფაქტების აღნუსხვაა, მაგრამ თომაშვილისათვის იგი მაინც წინსვლაა. თომაშვილში მომხდარ რადიკალურ ცვლილებებს ამჟღავნებს ახლახან გამოქვეყნებული ლექსი „ორი შეხვედრა“,

ძველ სიმბოლისტების თაობიდანაა გამოსული პოეტი **შ. ჩარკვიანი,** რომელმაც დღემდე ვერ შესძლო თავის შემოქმედებაში ბუნდოვანებისა და ფორმალიზმის მოსპობა. მისი სიმღერები სოციალისტურ ყოფაზე სქემატიურია და ჩვენი სოციალისტური სინამდვილის სრული ვერგაგებაა. ეს ავტორი ჩვეულებრივ ლექსის თემად იღებს ჩვენი სოციალისტური მშენებლობის რომელიმე უბანს და ამ თემას ჰხვევს მისტიურ სახეებში. აი ერთი ლექსი მისი პატარა წიგნიდან „რიონჰესი ლექსებში“:

„იყავ მაღალი, სისხლად იწოდი
აღმაშენებლის გამღვრევდა რაში,
პეშვად გაჰქონდა მშობელი მიწა,
მწიფე ნაყოფი ჩამტკბარი რქაში,
გახსოვს ბაგრატის ტაძრის კედლებთან
გუდებდაკრული ოსმალოს სწრაფვა“.

გახა ესაა სიმღერა რიონჰესზე? ახ რას გაიგებს მკითხველი იმავე ლექსის შემდეგი სტრიქონებიდან:

„მთებს შემოგარსულ მწვანე
დაფნებით,
მზეს ის სილურჯე აძევს ფენებად,
მახარებულნი სინათლით დგებით,
რიონჰეს მიმღერ, მომეცი ნება“.
რიონჰეს, გიმღერ, მომეცი ნება“.

თუ ჩარკვიანს რიონჰესზე სიმღერა სურს, მისთვის ამის უფლება არავის წაურთმევია. პირიქით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს „ნების“ მოთხოვა არის სწორედ იმის მაჩვენებელი, რომ მწერალს არ შეუძლია რაიმე არსებითი სთქვას რიონჰესის შესახებ..

უკანასკნელ ხანებში ჩარკვიანი ცდილობს ბურუსიდან გამოსვლას, მისი ახალი ლექსი „საგაზაფხულო თესვა“ ამის მანიშნებელია.

ქუთაისშივე აქტიურად მუშაობს პოეტი **ილია ხოშტარია.** მან გამოაქვეყნა პოემა „ისკანდერ გურჯი“, რომლის თემადაც აღებულია სამოქალაქო ბრძოლები ჩრდილოეთ-კავკასიაში. „ისკანდერ გურჯში“ მან დაგვიხატა ბოლშევიკების ბრძოლა თეთრების წინააღმდეგ, ამ პოემაში არის კარგი სახეები; თეთრები უტევენ კავკავს, ბოლშევიკების რაზმი გამზადებულია მტერთან შესაბრძოლველად, მათ ხელმძღვანელობს საშა გეგეჭკორი. ხოშტარია ამ სურათს შემდეგნაირად გვიხატავს:

„დრო არ ითმენდა, რაზმი
ქარიშხლის
ტოვებდა მთებს და მდიდარ იალალს,
წინ მიდის გურჯი, ქარი დროშად
შლის
მხრებზე მოგდებულ მეგრულ
ჩაბალახს“.

უკანასკნელ ხანებში ილია ხოშტარიამ გამოაქვეყნა ლექსები „ახალი წლის დილა“, „გაზაფხულის სიხარული“, „სამშობლო“, „აბრეშუმზე თქმული ლექსი“ და სხვა. ხოშტარიას მართებს მომავალში უფრო მეტი გულმოდგინებით იმუშაოს ლექსის ტექნიკის დაუფლებისათვის.

ქუთაისელ პოეტებიდან ყურადღებას იქცევს **ვ. დარასელი** მისი პოემა „ბუდიონელის ლურჯა“ მოწმობს ამ მწერლის პოეტურ პოტენციას. თავის უკანასკნელ ლექსში დარასელმა ფაქტების ღრმა ცოდნით მხატვრულ სახეებში მოგვცა კიკვაძის გმირული ბრძოლები სამოქალაქო ომების დროს.

პროზის დარგში მუშაობს **მამია ასათიანი.** მისი უკანასკნელი მოთხრობებიდან სჩანს, რომ მწერალი სერიოზულად ეკიდება თემას დამუშავებას. მისმა ნოველებმა „ჭეშმარიტება“ და „ბრალდებული“ სამართლიანი გამოხმაურება ჰპოვა მკითხველ მასებში, ახლახან მან დასწერა ნოველები „ჭადარი“ და „თეთრი ნაბდები“. პირველი ნოველის ფონად აღებულია ძველი იმერეთი. „თეთრი ნაბდები“ სამოქალაქო ომის ამბებს აგვიწერს. აქ მამია ასათიანმა სათანადო დაკვირვებით მოგვცა წითლების გმირული ბრძოლა თეთრების წინააღმდეგ.

ახალგაზრდა პოეტებიდან ენერგიულად მუშაობს **გიორგი გიასელი.** ის ძალზე ბევრს სწერს, მაგრამ ხარისხის მხრივ მისი ლექსები მდარეა, მას არ შეუძლია თემა მოხაზოს კონკრეტულად... მისი ლექსი „საუბარი პირად ცხოვრებაზე“ ააშკარავებს, რომ გიასელს ელემენტარული წარმოდგენაც არა აქვს ჩვენს ახალ ცხოვრებაზე. ამ ავტორის დამარცხებად უნდა ჩაითვალოს ლექსები „მინიატურა“, „დაფნის ქალაქის ვარდობა“ და სხვა. მისი ლექსებიდან ინტერესს მოკლებული არ არის „ესპანეთის ახალგაზრდობას“, „ლადო კეცხოველი“. გიასელის წინაშე დგას ამოცანა — თავი დააღწიოს ზერელობას, შტამპსა და ნატურალისტურ აღწერილობას, რომელიც მას ახასიათებს.

მწერალ **ბონდო კეშელავას** ხშირად ვხვდებით პრესის ფურცლებზე, მაგრამ ის ვერ იზრდება ისე, როგორც საჭიროა, მის ლექსებში მეფობს ისევ აბსტრაქტული და ნეიტრალური თემები. იგი იდეურ მერყეობასაც განიცდის. 1933 წელს მან გამოაქვეყნა ლექსი „პატარა მენახშირე“, ბავშვი ნახშირს ყიდის, მიდის ქუჩაში და მიიმღერის. პოეტი მას შემდეგი სიტყვებით მიმართავს:

„შენი სიმღერა მე გულს
მიჩქროლებს,
ულეველ განცდას შორიდან მესვრი.
სხვას ვერას გარგებ, გქონდეს
საჩუქრად—
ჩემგან, ძვირფასო, პატარა ლექსი!“

ბონდო კეშელავამ უნდა იცოდეს, რომ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმმა გამოაცალა სოციალური საფუძველი სევდასა და დარდს, რომ ჩვენს ბავშვებს ჰყავს ყველაზე დიდი, გულთბილი პატრონი, — სოციალისტური სამშობლო,

უკანასკნელ ხანებში მან გამოაქვეყნა ლექსი „ალექსი სტახანოვს“. პოეტმა ეს თემა ვერ დასძლია, მასში იგი საერთო ზოგად საკითხებზე მსჯელობს. ბონდო კეშელავას მართებს თავის თავზე ძალიან დიდი და სერიოზული მუშაობა.

ახალგაზრდა პოეტებიდან გამოირჩევა **სევერიან ისიანი,** რომლის ლექსები გულწრფელი კომკავშირული ლირიულობითაა გამთბარი.

ახლა, როდესაც გაშლილ ფრონტით მიმდინარეობს ბრძოლა ფორმალიზმისა და ნატურალიზმის წინააღმდეგ, ქუთაისელი ამხანაგების წინაშე, ისე, როგორც მთელი საბჭოთა მწერლობის წინაშე უდიდესი ამოცანები დგას. მათ მართებთ ენერგიული მუშაობა და ბრძოლა—ლიტერატურული წუნის, სქემატიზმისა და ზერელობის წინააღმდეგ. ქუთაისელ ამხანაგებს უნდა ახსოვდეთ ერთი რამ — პარტიამ მწერლებს მისცა ყველაფერი, მაგრამ წაართვა ცუდად წერის უფლება. ქუთაისელმა ამხანაგებმა ეს კარგად უნდა გაიკვეთონ, რადგან მათ შემოქმედებაში მრავლად გვხვდება წუნი სქემატიზმისა და გაუგებრობის სახით.

ლიტ. საქართველო

# მენდელე მოხერ-სეფარიმ

1836—1936

გერცელ ბააზოვი

„ლიტერატურა, რომელსაც არა აქვს არავითარი დამოკიდებულება ხალხთან და მის საჭიროებასთან, და ან ისეთი ლიტერატურა, რომელზედაც ხალხი არ ახდენს გავლენას — არ შეიძლება თვითონ გახდეს ზეგავლენის ფაქტორად. ხალხს იგი არ აინტერესებს და ამიტომაც ზედმეტია იგი ქვეყნად".

ეს შესანიშნავი ციტატი, რომელიც ეპიგრაფად წავუმძღვარეთ ჩვენს წერილს, მოგვყავს დიდი მოხუცის მენდელეს ნაწერებიდან. დღეს, როდესაც საბჭოთა ხელოვნებასა და ლიტერატურაში დაიწყო უდიდესი მოძრაობა ხალხურობისა და სისადავისათვის და სოციალისტური რეალიზმი უფრო და უფრო იპყრობს საუკეთესო ხელოვანთა და მწერალთა კადრებს, — აი სწორედ ამ დღეებში საბჭოთა ქვეყნის ლიტერატურულმა საზოგადოებრიობამ აღნიშნა „ებრაული ლიტერატურის პაპის" დაბადებიდან ასი წლის თავის შესრულება.

მენდელე მოხერ-სეფარიმი (მენდელე წიგნების მზიდავი, გამყიდველი — ლიტერატურული ფსევდონიმიაში შ. ი. აბრამოვიჩისა — დაიბადა 1836 წ. გარდაიცვალა 1917 წ.) სამართლიანად მიჩნეულია ებრაული ლიტერატურის საფუძვლის ჩამყრელად, მის უხუცეს კლასიკოსად და საგანმანათლებლო პერიოდის დამსრულებლად. იგი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა წვრილბურჟუაზიული მწერლისა და განმანათლებლის — „მასქილის" გოტლობერის ზეგავლენით.

ეს ის პერიოდი იყო, როდესაც დასავლეთ ევროპაში კაპიტალიზმმა გაიმარჯვა ხოლო რუსეთში კაპიტალისტური ურთიერთობის ზრდა მოასწავებდა ებრაული ბურჟუაზიისათვის უფლებების მიღებას და სხვა ერების ბურჟუაზიულ ნაწილთან გათანასწორებას. ამ პერიოდის ებრაელი განმანათლებლებისათვის ცივილიზაცია გადაიქცა ახალ სარწმუნოებად. მაგრამ ებრაელთა ქუჩაზე გამეფებული საშუალო საუკუნეების ფორმები, კარჩაკეტილობა, „ტუნეიადოვკას" ტიპიური ფანატიზმი და უვიცობა აღმართული იყო გადაულახავ გალავნად, რისგამო ჩანასახში ისპობოდა ყოველი ახალი აზრი.

საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ლიტერატურაში წვრილბურჟუაზიული განმანათლებლების მენდელეს მეთაურობით გამოსვლა იყო გაბედული და აშკარა ბრძოლის დაწყება ბურჟუაზიული განმანათლებლების წინაამდეგ, რომელთათვისაც საშუალო საუკუნეების ებრაულ ოლიგარხიასთან ბრძოლა სასხვათაშორისო მოტივი იყო.

მენდელე მოხერ სეფარიმმა, პირიქით, ეს მოტივი თავისი შემოქმედების ძირითად მოტივად გახადა. მენდელე ბურჟუაზიული საგანმანათლებლო ლიტერატურის ლეიტმოტივის — „მამებისა და შვილების" ბრძოლის წინააღმდეგ აყენებს სოციალური ქვედაფენების ბრძოლის ლოზუნგს საშუალო საუკუნეების ებრაული ოლიგარხიის წინააღმდეგ და თავის შემდგომ მუშაობაში უფრო აძლიერებს სოციალურ მოტივებს.

მენდელემ თავის ნაწერებში უალერსად დაკვირვებული თვალით



ნახ. ს. კეცხოველისა

გვიჩვენა ებრაელთა ღარიბ-ღატაკი მასების საშინელების სურათი. ამ ნაწერებში იგი იბრძვის გაყინული ებრაული პატრიარქალური ყოფის წინააღმდეგ და დაუნდობლად დასცინის და აფეთქებს ფართო მასების მესიანური ლეგენდის რწმენას.

ამ მხრივ მისი „ბენიამინ მესამის მოგზაურობა" უთუოდ ეკუთვნის კლასიკური სატირიკული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს.

რა შესანიშნავი საღებავებით აღწერა მენდელემ მიყრუებული და საცოდავი დაბა ტუნეიადოვკა და მისი მცხოვრებლები.

ტუნეიადოვკა!

ეს არ არის მარტო მიყრუებული და ბეჩავი მათხოვრების დაბა, რომლის მთავარ ფუნქციას შეადგენს ახალი მათხოვრების მომრავლება.

ცოტაა ითქვას, რომ მეცხრამეტე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ტუნეიადოვკაში ისევ საშუალო საუკუნეები იყო.

ტუნეიადოვკა დაბეჩავებულთა და რელიგიური ფანატიზმით გონებაგამოხრულ ადამიანთა ციტადელია.

ტუნეიადოვკა მეოცნებეთა ქვეყანაა, უსაქმურობის სიმბოლო.

ადამიანის ალგზნებული მშიერი კუჭი ჰქმნის ალგზნებულ ოცნებას, და მერე როგორ ოცნებას!

ტუნეიადოვკა მის მცხოვრებთათვის მთელი სამყაროა, დასრულებული და სრულქმნილი სამყარო. ხოლო ტუნეიადოვკას იქით იწყება მეორე სამყარო, მეორე ქვეყანა, მეორე მსოფლიო.

ბიბლიური ლეგენდები ის სათავეა, საიდანაც მუდმივად და განუწყვეტლივ იკვებებოდა ტუნეიადოვკელი დონკიხოტის—ბენიამინის მეოცნებე ტვინი, რომელსაც დღე და ღამე ერთი და იგივე ელანდებოდა: ალექსანდრე მაკედონელი, ბიბლიური გმირი რახაბ ჰაზონა, მითიური პიპერნოტერი, დაულალავი და გიჟმაჟი მდინარე სამბატიონი, რომლის ნაპირებს იქით ცხოვრობენ „წითური ებრაელები"—ისრაელი ერის გადაკარგული ათი ტომის შვილები. საკმარისია ბენიამინმა მიაღწიოს მათთან და მაშინ...

და იქ კვლავ იწყება დაუსრულებელი ოცნება.

ბენიამინს ჰყავს თავისი სანჩო-პანჩო, რომელსაც სუსტი ნებისყოფის გამო შეარქვეს „სენდერ დედაკაცი" —სენდერ იდენე. ბენიამინი თავისი ზღაპრებითა და ლეგენდებით ადვილად ჩაითრევს სენდერს, და ორი მათხოვარი, მშიერი და მეოცნებე, გარიჟრაჟის მოახლოებისას ჩუმად გაიპარება თავისი მარადიული ტუნეიადოვკიდან ამიერიდან „აღთქმული ქვეყნის" საძებნელად.

რამდენი „დაბრკოლება" შეხვდება მათ! ყველაფერი აოცებთ, ყველაფერი აშინებთ: პატარა ნავი გემი ჰგონიათ, მენავე—კაპიტანი, პატარა მდინარე—მთელი ოკეანე, ოდნავ მოზრდილი დაბა—სტამბოლი, სადაც ხუთასი ქუჩაა, ყოველ ქუჩაზე ხუთასი სახლია, სახლში კიდევ—ხუთასი მდგმური, ხოლო თითო მდგმურს ხუთასი ცოლი ჰყავს.

დაღლილ-დაქანცული, მშიერი მგზავრები, რომელიღაც დუქანში მიწვებიან დასაძინებლად, მაგრამ გვიანობამდე ძილი არ ეკარებათ: ელანდებათ კართოფილი, ოცნება კი მათ უსახავს ებრაულ კერძს—ფარშირებულ თევზს...

თავიანთ აღთქმულ ქვეყანას, ალექსანდრე მაკედონელს და მის ამალას, ბენიამინის დაქორწინებას მაკედონელის ქალიშვილზე, ბენიამინისათვის ბენიამინ მესამის სახელწოდების მიცემას, ისინი სიზმარში ხედავენ.

როცა მათდა მოულოდნელად მათი მგზავრობა ისევ ტუნეიადოვკაში მისვლით დასრულდა, გაოცებული ბენიამინი ეუბნება სენდერს, რომ ეს მოხდა მხოლოდ იმიტომ, რომ დედამიწა რგვალიაო.

მოგზაურობა დასრულდა. მათი წრე ისევ ტუნეიადოვკაა, ისევ ის ძველ ქვეყანა, სადაც ჩაისახა მათი ოცნება და სადაც მოუხდებათ მომავალში შრომა და ოფლის ღვრა კართოფილის შესაძენად...

„ბენიამინ მესამის მოგზაურობა" თავისი მხატვრული სიძლიერით და სოციალურ-ფსიქოლოგიური ღირებულებით ძირს უთხრის სინაგოგალურ წარმოდგენას ქვეყნის შესახებ, ებრაელ ერის ბედ-იღბლისა და მისი „განსაკუთრებულობის" შესახებ.

ეს არის უძლიერესი სატირა და მარჯვედ მოქნეული კალამი.

რასაკვირველია, ებრაული დონკიხოტის და სანჩო-პანჩოს შექმნის დროს მენდელე სერვანტესის დიდ გავლენას განიცდიდა, მაგრამ ბენიამინი და სენდერი იმდენად არა „გაებრაელებულნი", რომ ტუნეიადოვკის ეს დაუვიწყარი „მეოცნებე გმირები" გვევლინებიან ყველა იმ ადგილის განზოგადოებულ ტიპებად, რომელთაც ისტორიამ მისცა კაცთმძულვარებითა და ძველი ქვეყნის უკულმართობით აღსავსე წარწერა— გეტტო.

თავის შესანიშნავ ნაწერებში — „ნიხრი", „პატარა კაცუნა", „ჯაგლაგი ცხენი" „ფიშკა კოჭლი", „შლეიმა ძე ხაიმისა", „ჯადოსნური ბეჭედი" და სხვა.—მენდელეს ყოველთვის შეგნებული აქვს თავისი მხატვრული და საზოგადოებრივი მიზნების ერთიანობა. მისი შემოქმედება მთლიანად გაჟღენთილი იყო ერთი სურვილით: ებრძოლა მასების სოციალური განთავისუფლებისათვის.

და, რასაკვირველია, მეფის მთავრობამ კარგად იცოდა, თუ რას სჩადიოდა, როდესაც კონფისკაცია უყო „ჯაგლაგი ცხენის" რუსულ თარგმანს, რომელშიაც მენდელე აშკარად ლაპარაკობდა, რომ არა თუ მეფის მთავრობას, არამედ ბურჟუაზიული ქვეყნების არც ერთ მთავრობას არ შეუძლიან გადასჭრას არც ნაციონალური და არც სოციალური პრობლემა. მენდელეს კარგად ესმოდა, რომ „საგანმანათლებლო" ღონისძიებებით არ შეიძლებოდა მასების გამოკვება: გზა მიემართება არა განათლებიდან პურისაკენ, არამედ პურიდან განათლებისაკენ.

მენდელე მოხერ-სეფარიმი ვერ მოესწრო ჩვენს დღეებს, თორემ დიდი მოხუცი თავისი საკუთარი თვალით დარწმუნდებოდა, რომ მისი ტუნეიადოვკელი ბენიამინი და სენდერი და მათი თანამოძმენი კაბცანსკის, გლუპსკის და მათხოვრების მსგავს დაბებიდან დღეს არა თუ აღარ დაეხეტებიან ქვეყნად ლუკმა პურისა და „აღთქმული ქვეყნის" საძებნელად, არამედ ამაყობენ იმით, რომ საბჭოთა კავშირის უზარმაზარ ტერიტორიაზე, ყველგან—ქალაქებსა და კოლმეურნეობებში, თავიანთი პატიოსანი და გმირული შრომით, ყველა ხალხების მშრომელებთან ხელიხელ ჩაკიდებულნი, აგებენ ბედნიერ და სიხარულით აღსავსე ცხოვრებას.

# მხატვრული ლიტმინიმუმი კოლმეურნეთათვის

ჩვენი გაზეთის წინა ნომრებში აღვნიშნეთ ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნე მასების უდიდესი დაინტერესება მხატვრულ ლიტერატურით.

ამ ინტერესების ყოველდღიურ ზრდას ხელს უწყობს პარტიის რაიკომის კონკრეტული ხელმძღვანელობა ამ დარგში. რაიკომის პ-მ მდივანი, მისი მოადგილე და საერთოდ რაიკომის ყოველი ინსტრუქტორი სისტემატიურად პრაქტიკულ დახმარებას უწევენ კოლმეურნეობებსა და ცალკე კოლმეურნეებს მხატვრული ლიტერატურის შესწავლის საქმეში.

რაიკომი სპეციალურ სხდომაზე გაეცნო რაიონში მხატვრულ ლიტერატურის შესწავლის მდგომარეობას და დასახა კონკრეტული ღონისძიებები. გამომუშავებულ იქნა კოლმეურნეთათვის წასაკითხი მხატვრული ლიტერატურის მინიმუმი, რომელშიაც შედიან როგორც თანამედროვე ისე კლასიკური მწერლები. ამ მინიმუმის მიხედვით კოლმეურნეებმა 1936 წლის განმავლობაში 30-დე მხატვრული წიგნი უნდა წაიკითხონ.

რაიონული გაზეთი „ბრძოლა თამბაქოსათვის" სისტემატიურად აშუქებს მხატვრულ ლიტერატურის საკითხებს, ბეჭდავს ცალკე კოლმეურნეების წერილებს თუ რა წიგნებს კითხულობენ ისინი, რა გავლენას ახდენს მათზე ესა თუ ის მხატვრული წიგნი და სხვა.

## შევქმნათ მაღალხარისხოვანი თავდაცვითი ლიტერატურა

20 აპრილს ამხ. **პლატონ მიროტაძის** თავმჯდომარეობით შესდგა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის თავდაცვითი ლიტერატურის სექციის სხდომა. სხდომამ მოისმინა ამხ. **არჩილ ჩაჩიბაიას** მოხსენება მწერალთა შემოქმედებითი მუშაობის შესახებ ოქტომბრის რევოლუციის ოცი წლისთავის სამზადისთან დაკავშირებით.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: ბ. ჟღენტმა, ა. მაშაშვილმა, პ. მიროტაძემ, გ. ქუჩიშვილმა, ვ. გორგაძემ, ვ. ჩაჩიბაიამ.

კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ წითელი არმიის ნაწილებთან, მწერლების უფრო მეტი დაახლოვების, მათი გმირული საქმეების — შესწავლის საჭიროებას.

მოხსენებიდან და კამათიდან გამოირკვა, რომ მწერლები ახლა უფრო გულმოდგინედ მუშაობენ სამოქალაქო ომის თემატიკაზე, ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში უკვე არის ამ თემაზე დაწერილი მოთხრობები, პოემები და ლექსები, მაგრამ მეტ წილად ეს ნაწარმოებები სქემატიური, და მხატვრულად დაუმუშავებელია. ამ გარემოებას სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ მწერლებმა, რომლებმაც მასალაზე უფრო სერიოზულად უნდა იმუშაონ, რომ შესძლონ ისეთი მხატვრულად დამაჯერებელი და ამაღელვებელი ნაწარმოების დაწერა, როგორიც რუსულ და უკრაინულ ლიტერატურაში არის ნ. ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადი", ფადეევის „განადგურება". იანოვსკის „მხედრები", ვიშნევსკის „ჩვენ კრონშტადტიდან ვართ" და სხვა.

თავდაცვითი ლიტსექციამ გადასწყვიტა მოაწყოს დისპუტი ქართულ თავდაცვითი ლიტერატურის შესახებ.

ოქტომბრის რევოლუციის ოცი წლისთავთან დაკავშირებით თავდაცვის თემებზე მუშაობს რამდენიმე ცნობილი მწერალი: ორდენოსანი პოეტი **ალიო მაშაშვილი** სწერს პიესას წითელ არმიის ქართული ნაწილების ცხოვრებიდან, **ვასო გორგაძე** პოემას — კატელნიკოვის გმირულ ბრძოლაზე, **ვალერიან გაფრინდაშვილი** ამოუშავებს მასალებს ლეგენდარული გმირის კიკვიძის შესახებ, ე. **პოლუმორდვინოვი** სწერს რომანს ლეჩხუმის აჯანყებიდან, **კალე ბობოხიძე** — პოემას ჩრდილო - კავკასიის სამოქალაქო ომიდან.

სექციამ გამოიმუშავა კონკრეტული ღონისძიებანი მუშაობის გაღრმავებისათვის.

ვინაიდან თავდაცვითი სექციის ბიუროს ზოგიერთი წევრი არ მუშაობდა, მწერალთა კავშირმა ბიურო გადაახალისა და დაამტკიცა შემდეგი შემადგენლობით: პლ. მიროტაძე (თავმჯდომარე), ა. ჩაჩიბაია (პ. მ. მდივანი), ალიო მაშაშვილი, გალ. ტაბიძე, გ. ქუჩიშვილი, ვ. გორგაძე და ა. გომიაშვილი.

## კოტე მარჯანიშვილის მამა—ალექსანდრე დიუმას მთარგმნელი

კ. მარჯანიშვილის მონოგრაფიისათვის საჭირო მასალის ძებნის დროს **პლატონ კეშელავამ** აღმოაჩინა **ალექსანდრე დიუმას** ისტორიული რომანის „ორი დიანა" ქართული თარგმანი, რომელიც დღემდე არ დაბეჭდილა.

თარგმანი შესრულებულია კოტე მარჯანიშვილის მამის ალექსანდრე მარჯანიშვილის მიერ უშუალოდ ფრანგულიდან.

ქართული ლიტერატურისათვის ეს რომანი მრავალმხრივ საინტერესო დოკუმენტს წარმოადგენს. „ორი დიანა"-ს უშუალო გავლენით არის დაწერილი პირველი ქართული ისტორიული რომანი გრიგოლ ორბელიანისა „თამარ ბატონიშვილი" (1842), უკანასკნელი, ერთი მეორისაგან დამოუკიდებლად, გალექსეს პოეტმა **რაფიელ ერისთავმა** (გამოვიდა 1883 წ.) და **სიმონ გუგუნავამ** (გამოიცა 1888 წ.). ამას გარდა „თამარ ბატონიშვილი" **კ. მესხმა** გადააკეთა დრამად, რომელიც იდგმებოდა ქართულ სცენაზე.

ამრიგად „ორი დიანა-"დან სიუჟეტი ქართულ მწერლობაში წარმოდგენილია ოთხი მხატვრული ნაწარმოების სახით.

# უცხოეთი

### მუშათა თვითმოქმედებითი წრეები

ინგლისში დაარსდა მუსიკის მუშური თვითშემოქმედების გაერთიანებული კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში ირიცხებიან ინგლისის ცნობილი კომპოზიტორი **ალან-ბუში** (დაჯილდოვებული 1-ლი პრემიით სტრასბურგში 1935 წ. მოწყობილ მუშათა მუსიკალურ ოლიმპიადაზე), **ჯონ-მარტინი** — მუსიკის მუშათა გაერთიანებულ ლიგის მდივანი, ჩარლზ ბრილი — ცნობილი დირიჟორი და სხვა გამოჩენილი ძალები.

კომიტეტის მიზანია მუშების მუსიკალურ თვითმომქმედ ძალთა კონსოლიდაცია, არსებული მუსიკალური წრეების აქტივიზაცია. პირველი საერთო გამოსვლა მუშურ მომღერალ გუნდებისა და ორკესტრებისა მოხდა ლონდონში, ომის წინააღმდეგ მოწყობილ მუშათა სადემონსტრაციო საღამოზე.

### არ აკმაყოფილებს არიულობის მოთხოვნას

ნაციონალ - სოციალისტების მთავრობამ კატეგორიული წინადადება მისცა კლინგლერის ცნობილ გერმანულ კვარტეტს, რომლის შემადგენლობა ვერ აკმაყოფილებს მთელი 100 პროცენტით წმინდა არიულობის მოთხოვნას ან გასწმინდოს თავისი რიგები, ან დაუყონებლივ შესწყვიტოს მუშაობა. თურმე, ნუ იტყვით, კვარტეტში ვიოლონჩელისტად — ვილბერშტეინი ყოფილა.

### რუჟე-დე-ლილის გარდაცვალების 100 წლისთავი

კომუნისტ დეპუტატის შორის ტორეზის ინიციატივით, მარსელიეზას ავტორის რუჟე-დე-ლილის გარდაცვალების 100 წლისთავის აღსანიშნავად შესდგა სათანადო კომიტეტის დამფუძნებელი კრება. კომიტეტმა მოწოდებით მიმართა ყველა მუსიკალურ და სამხატვრო ორგანიზაციას გამოიყენონ ეს თარიღი „ხალხთა თავისუფლებისა და დემოკრატიისადმი ფიცის ერთგულების" სადემონსტრაციოდ.

### შიო მღვიმელის წიგნი



ამ დღეებში გამოვა შიო მღვიმელის ლექსების პირველი ტომი. წიგნს დართული აქვს ვრცელი შ. მღვიმელის ბიოგრაფია და მისი შემოქმედების გარჩევა ... რეხვიაშვილისა.

მხატვარი ლ. ქუთათელაძე.

# გოლდონი რუსთველის თეატრში

შალვა ალხაზიშვილი

ჩვენი აკადემიური თეატრების ერთერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას შეადგენს ახალგაზრდა აქტიორული კადრების მომზადება. თეატრი გაიყინება ერთ წერტილზე, თუ იგი დაკმაყოფილდება არსებული აქტიორული ძალებით და არ მიიღებს გადამჭრელ ზომებს ახალი კადრების მომზადებისათვის.

უნდა ითქვას, რომ ჩვენს თეატრებში ბოლო დრომდე არ იყო ორგანიზაციულად მოგვარებული ეს ფრიად საჭირბოროტო საკითხი. თეატრების შევსება ახალი კადრებით ხდებოდა თვითდინებების წესით. არ არსებობდნენ სათანადო სტუდიები თეატრებთან, და თუ არსებობდნენ, არავითარ პრაქტიკულ სარგებლობას არ იძლეოდნენ. სტუდია, მაგალითად, უკვე რამდენიმე წელიწადია არსებობს რუსთველის თეატრთანაც, მაგრამ ძველმა ხელმძღვანელობამ საშუალება არ მისცა ამ სტუდიას ფართოდ გაეშალა თავისი მუშაობა, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ხაზით. ამიტომ იყო, რომ ამ ხნის განმავლობაში საბჭოთა საზოგადოებრიობა ვერ ხედავდა სტუდიის მუშაობის შედეგებს.



რეჟისორი დ. ალექსიძე

რუსთველის თეატრის ახალმა ხელმძღვანელობამ ბოლო მოუღო ამ უპასუხისმგებლო და მავნე ტენდენციას და ერთი წლის განმავლობაში არა მარტო გადააკეთა სტუდიური მუშაობა, არამედ 5 აპრილს აჩვენა კიდეც საბჭოთა საზოგადოებას ამ მუშაობის ნაყოფი: რუსთველის თეატრთან არსებული სტუდიის აჭარული სექციის ძალებით დადგმულ იქნა კ. გოლდონის კომედია „სასტუმროს დიასახლისი". უნდა აღინიშნოს, რომ საერთოდ სტუდიები თავიანთ საგამოცდო საღამოებზე მეტწილად ადგენდნენ სხვადასხვა დრამატიულ ნაწყვეტებს. აქ კი საქმე გვაქვს ერთი მთლიანი დრამატიული ნაწარმოების ჩვენებასთან. ცხადია, ეს მეტად ძნელი და პასუხსაგები საქმეა, რადგან ახალგაზრდა, ჯერ კიდევ სცენიურად გამოუცდელ სტუდიელებს ვერ მოვთხოვთ მთლიანი ნაწარმოების შემოქმედებით დაძლევას, მით უფრო „სასტუმროს დიასახლისისას", რომელიც მეტად დახელოვნებული და გამოცდილი მსახიობებისათვისაც ძნელად დასაძლევ მასალას წარმოადგენს. გოლდონის კომედია შესანიშნავ მასალას იძლევა აქტიორული შესაძლებლობის ყოველმხრივი გამომჟღავნებისათვის.

მისასალმებელია ის გარემოებაც, რომ ქართულ სცენაზე ამეტყველდა გოლდონი, რომელიც უწინ რატომღაც ჩვენს სცენაზე არ იყო მაინცდამაინც მიღებული. მოლიერმა დაჩრდილა გოლდონი ქართულ სცენაზე, მაშინ, როდესაც კომედიური ხასიათების შექმნაში გოლდონი ზოგ პიესაში მოლიერს არ ჩამოუვარდება. იდეოლოგიური თვალსაზრისითაც გოლდონი, როგორც აღმავალი ბურჟუაზიის წარმომადგენელი, უფრო მთლიანია, ვიდრე მოლიერი, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში მაინც, ფეოდალიზმთან კომპრომისზე მიდის.

კარლო გოლდონი (1707—1793) ცხოვრობდა ისეთ ეპოქაში, როდესაც იტალიური ბურჟუაზია რენესანსის შემდეგ მეორეულ, განიცდიდა თავისი გაფურჩქვნის ხანის და დიდი სიძნელეებისა და წინააღმდეგობების დაძლევით თანდათან ამზადებდა ნიადაგს იტალიის ნაციონალური გაერთიანებისათვის. ჩვენ ვიცით ისტორიიდან, რომ ის რაც ვერ შესძლო რენესანსის ბურჟუაზიამ, შესძლო მეცხრამეტე საუკუნის იტალიის ბურჟუაზიამ.

ამ საქმეში უსათუოდ თავისი წვლილი შეიტანა გოლდონმაც, რადგან მან თავის დრამატიულ შემოქმედებაში პირველმა გააერთიანა და გამოიყვანა მთლიანად იტალიის იმდროინდელი ბურჟუაზია და კომედიური ლახვარი ჩასცა დეგრადაციის გზაზე დამდგარ ფეოდალურ არისტოკრატიას. გოლდონის დიდი კულტურულ-ისტორიული დამსახურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან არისტოკრატიის გამრთობ „Commedia dell'arte"-ს მაგიერ შექმნა რეალური ყოფაცხოვრებითი კომედია, რითაც იმდროინდელი თეატრალური ხელოვნების რეფორმაცია მოახდინა. წინააღმდეგ „ნიღაბების თეატრისა", გოლდონი განსაკუთრებულ ყურადღებას არ აქცევს ინტრიგისა და მდგომარეობის განვითარებას. მისთვის მთავარია შინაარსის რეალიზმი და აქედან გამომდინარე ცოცხალი ადამიანების სახეების, მთლიანი ხასიათების შექმნა. გოლდონის პიესებში მოქმედება არ არის თვითმიზნობრივი. იგი ექვემდებარება ხასიათების გახსნას. ამიტომ ითვლება გოლდონი მსოფლიო დრამატურგიაში სახასიათო კომედიის ერთ-ერთ უდიდეს ოსტატად.

შემდეგ, გოლდონის პრინციპული რეალიზმი იმაში მდგომარეობს, რომ იგი არ აგებს თავის პიესებს არარეალურ, გამოგონილ ანეგდოტებზე, „სასტუმროს დიასახლისის" ფაბულას საფუძვლად დაედო გოლდონის ცხოვრების ამბავი, ის, რაც მან პირადად განიცადა, მაგრამ ეს ამბავი გოლდონმა დიდ სოციალურ სიმაღლეზე აიყვანა.

რუსთველის თეატრის უდავო დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ მან აჭარელ სტუდიელთა საშუალებით განახორციელა უკვდავი კომედია თავის სცენაზე. ეს ახალგაზრდა ნიჭიერი რეჟისორის დოდო ალექსიძის პირველი დადგმაა ქართულ სცენაზე, და უნდა ითქვას, რომ „ბატონი ოფიცრების" შემდეგ (რუსულ დრამაში), მან საინტერესო და კულტურული სპექტაკლი შექმნა. სცენა გაცოცხლებულია, დიალოგები და მდგომარეობები იტაცებენ მაყურებელს.

ეტყობა რეჟისორს დიდი მუშაობა ჩაუტარებია ახალგაზრდა მსახიობებთან, იმდენად დიდი, რომ, მაგ., მირანდოლინას შემსრულებელი **ნ. ფხაკაძე** უკვე დასრულებულ მსახიობად გვევლინება. **ი. კობალაძე**—კავალერ რიპაფრატას ამსრულებელი, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ მომენტში ვერ ახერხებს აქცენტის დაძლევას, მაინც ჰქმნის მკვეთრად გამოქანდაკებულ სახეს. თავისუფლად და დამაჯერებლად თამაშობს ფაბრიციოს **ზ. ლლონტი**. ეს ტრიო უკვე მიღწევაა როგორც რეჟისორის, ისე სტუდიისა მთლიანად.

სამწუხაროდ, ვერ დაგვაკმაყოფილა დანარჩენ მსახიობთა თამაშმა. **ი. კაიკაციშვილი** მარკიზის როლში ძალიან ფუსფუსებს და ხასიათის გახსნას იძლევა უფრო მოქმედების გარეგნულ კომიკურ გამოხატულებაში, რაც არ შეეფერება მთლიანად კომედიის რეალისტურობას. იგივე უნდა ითქვას **გ. კობახიძეზე**, რომელიც გარეგნულად კარგ სახეს იძლევა, მაგრამ ვერა ხსნის გრაფის, გაბურჟუებული არისტოკრატის, სოციალურ შინაარს.

სამწუხაროდ, რუსთაველის თეატრის შემოქმედებითს პრაქტიკაში ჯერ კიდევ ვხვდებით ძველს რეციდივებს, რომელთაგან საბოლოო განთავისუფლება მორიგ და გადაუდებელ ამოცანად უნდა დაისახოს ახალმა სამხატვრო ხელმძღვანელობამ. ეს არის მსახიობის მიერ წარმოთქმული რეპლიკების მიზანსცენობრივი მონტაჟი, ე. ი. როდესაც მსახიობი ერთ სიტყვას ან წინადადებას იტყვის ერთ ადგილას, მერე სრულიად გაუმართლებლად და უმიზნოდ აირბენს, ვთქვათ, კიბის რამდენიმე საფეხურს და წინადადებას იქ გააგრძელებს, შემდეგ ისევ ჩამოირბენს წინანდელ ადგილზე და აქ დაათავებს თავის სიტყვას. ეს ძალიან უშლის ხელს მსახიობს შექმნას მთლიანი სახე. იგი ერთხელ და სამუდამოდ უნდა აღმოიფხვრას რუსთაველის თეატრის სცენიდან.

მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამას ხელს უწყობს პიესის დეკორატიული გაფორმებაც. ს. ქობულაძის კონსტრუქცია სრულიად არ შეეგუება გოლდონის პიესას. მოცემულია ერთი მთავარი კონსტრუქცია, რომელიც შესდგება ანტიური სტილის სვეტებისა და ზემოდან ჩამოსული ორი კიბისაგან. რამდენადაც მისაღებია ფონი, რომელიც ფლორენციის პერსპექტივს იძლევა, იმდენად არ არის გამართლებული, მთავარი კონსტრუქცია. საქმე იმაშია, რომ მოქმედება როდი სწარმოებს რომელიმე „პალას-ოტელის" მსგავს დიდ სასტუმროში, სადაც დიდი სვეტებია ამართული, კიბეებია დახლართული და ძვირფასი ავეჯია; თვითონ პიესის იტალიური სახელწოდება გვეუბნება, რომ ეს არის „ლოკანდა" ანუ ავეჯეულობით მოწყობილი გასაქირავებელი ოთახები.

ამიტომ მხატვრული გაფორმების მთავარი შეცდომა იმაშია, რომ პიესა არ არის ს. ქობულაძის მიერ რეალისტურად გახსნილი, რადგან მისი კონსტრუქციები თვითმიზნობრივია და არ გამომდინარეობენ პიესის რეალისტურ შინაარსიდან.

ს. ქობულაძემ „პლატონ კრეჩეტში" ეს შესძლო, „სასტუმროს დიასახლის"-ში კი გვერდი აუხვია ამ ხაზს, თითქოს რეალისტურად მხოლოდ თანამედროვე მასალის გაფორმება იყოს სავალდებულო, წარსულის მასალისა კი არა.

მიუხედავად აღნიშნული ნაკლულევანებისა, „სასტუმროს დიასახლისის" დადგმა რუსთაველის თეატრში მეტად საყურადღებო და მისასალმებელ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. კერძოდ თუ მივიღებთ მას აჭარული სექციის შემოქმედებითი გამოცდის ჩაბარებად, მაშინ იგი უსათუოდ დიდ მიღწევად უნდა მივიჩნიოთ. დადგმამ დაამტკიცა, რომ კადრების აღზრდის საქმისადმი სწორი მეთოდოლოგიური მიდგომით შეიძლება თეატრმა თვალსაჩინო შედეგებს მიაღწიოს.

ორიოდე სიტყვა ახალი თარგმანის შესახებ: პოეტმა ი. გრიშაშვილმა მოგვცა მშვენიერი თარგმანი, რომელიც თუმცა რუსულიდან არის გაკეთებული, მაგრამ ორიგინალის სურნელებას და კოლორიტს არ ჰკარგავს.



„სასტუმროს დიასახლისი" მე-2 მოქმედება.

# პუშკინის იუბილესათვის

### პუშკინის ძეგლი

პუშკინის საკავშირო კომიტეტის დადგენილებით. მოსკოვს ლენინგრადსა და მოძმე რესპუბლიკების დედაქალაქებში მოეწყობა პუშკინის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოფენები.

მოსკოვსა და ლენინგრადში დადგმულ იქნება პოეტის ძეგლები, რომლებზედაც მუშაობენ საუკეთესო მოქანდაკეები.

### პუშკინის თხზულებათა ახალი გამოცემები.

პუშკინის გარდაცვალებიდან 100 წლის შესრულების გამო რუსეთის გამომცემლობების მიერ გამოცემულ იქნება:

პუშკინის თხზულებათა სრული კრებული (მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა) 18 ტომად, 540.000 ცალი. პუშკინის ექვსტომეული (600.000 ცალი) პოეტის თხზულებათა ერთტომეული (500.000 ცალი.)

მიმდინარე წელს განზრახულია გამოიცეს პუშკინის სხვადასხვა ნაწარმოებები 12 მილიონ ცალის რაოდენობით.

აგრეთვე გადიდებული ტირაჟით გამოცემულ იქნება პუშკინისტების ნამუშევრები და მხატვრული ნაწერები პუშკინის გარშემო.

# ი. მანსვეტაშვილის მემუარები

დაიბეჭდა და მოკლე ხანში გამოვა ი. მანსვეტაშვილის მოგონებები, გამოცემა „ფედერაციისა". მოგონებები შეეხება 70—90-იან წლების პერიოდს, განსაკუთრებული ადგილი მოგონებებში დათმობილი აქვს **ილია ჭავჭავაძის** ცხოვრებასა და შემოქმედებას 80-იან წლებში, გაზეთ „ივერია"-ს და იმ ლიტერატურულ დაჯგუფებას, რომელიც შემოკრებილი იყო ამ გაზეთის რედაქციის ირგვლივ.

მოგონებები გამოდის ლევან ასათიანის რედაქციით, წინა სიტყვაობით და ვრცელი შენიშვნებით.

# ქართველი მწერლები რუსულ ენაზე

რუსეთის სახელმწიფო ლიტგამომცემლობა მიმდინარე წელს გამოსცემს რუსულ ენაზე მთელ რიგ ქართველ მწერალთა ნაწერებს. მათ შორის გამოცემული იქნება ვაჟა-ფშაველას პოემები, ეგნატე ნინოშვილის რჩეული მოთხრობები, გიორგი წერეთლის „პირველი ნაბიჯი", ტ. ტაბიძის ლექსების წიგნი (ლექსები თარგმნილია პასტერნაკის, ტიხონოვისა და ანტოკოლსკის მიერ), კრებული „საბჭოთა საქართველოს პოეტები" (ლექსები თარგმნილია ბ. ბრიკის მიერ) და ყაზბეგის რომანი „მამის მკვლელი".

პ.-მ. რედაქტორი აკ. თათარიშვილი

პ.-მ. მდივანი ნიკოლოზ ჩაჩავა

## ჩვენი გაზეთის მკითხველთა საყურადღებოდ

ჩვენი გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა 10 მაისს.

მიიღება ხელისმოწერა „სოიუზპეჩატის" რწმუნებულებთან და ფოსტის კანტორებში.

სტ. „კომუნისტი" კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული —ბ-10320